

ადმინისტრაციული აქტი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2023, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2023, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2023, №9

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2023, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიებელი

1. საქართველოს მთავრობის აქტის კანონიერება

მინის ნაკვეთის არასამშენებლო ტერიტორიად მიჩნევის თაობაზე
აქტის კანონიერება 4

2. პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს აქტის კანონიერება

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარის
თქმის თაობაზე ადმინისტრაციული აქტის კანონიერება 46; 63

3. ჯანმრთელობის დაცვის საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება

მოსარჩელის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის
ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენის ვადა 85

საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებაზე რეფერალური
მომსახურების სახელმწიფო კომისიის აქტის კანონიერება 98

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის
ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის
თაობაზე აქტის კანონიერება 116

4. განათლების საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება

ექსპერიმენტულ მუსიკალურ სკოლა-ათწლედში მიღებული
განათლების აღიარება 137

დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
გადაწყვეტილების კანონიერება 153

საჯარო სკოლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობები ... 174

5. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელება

საჯარო ინფორმაციის მიწოდების საფუძველი 189

1. საქართველოს მთავრობის აქტის კანონიერება

მინის ნაკვეთის არასამშენებლო ტერიტორიად მიწნების თაობაზე აქტის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1164(კ-20)

16 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: კურორტის სტატუსის მქონე დასახლებაში მდებარე მინის ნაკვეთის არასამშენებლო ტერიტორიად განსაზღვრის თაობაზე აქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა...მა“ 19.03.2019წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის საქართველოს მთავრობის მიმართ. ამავე სამართალწარმოების ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.05.2019წ. განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მოსარჩელემ მოითხოვა „...ის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცდა ...ის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის ფუნქციურ ზონად განისაზღვრა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.

შპს „ა...მა“ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მშენებლობის შესაძლებლობა იმდენად ინტენსიურად იზღუდება, რომ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მხოლოდ ფორმალურადაა შენარჩუნებული. საკუთრების უფლება მოიაზრებს ნივთის ფლობა-სარგებლობის უფლებას რამდენადაც,

თუ მესაკუთრე შეზღუდულია ქონებით სარგებლობაში, საკუთრების უფლება აზრს კარგავს, ვინაიდან ის, მხოლოდ ქალაქში ასახული სახით იარსებებს. საკუთრების უფლების ასეთი ინტენსივობით შეზღუდვა გაუმართლებელია. მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 19.1, სამოქალაქო კოდექსის 170.1 მუხლებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე: 08.06.2017წ., №ბს-254-252(კ-17); 29.06.2017წ., №ბს-326-324(კ-17) და 21.11.2017წ., №ბს-964-960(კ-17), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 02.07.2007წ. №1/2/384 გადაწყვეტილებაზე. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ ირღვევა თანასწორობის პრინციპი. მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისგან განსხვავებით, მომიჯნავე და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ იდეალურ მიწის ნაკვეთებს მინიჭებული აქვთ ისეთი ფუნქციური ზონა, რომელიც ითვალისწინებს მშენებლობის შესაძლებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.08.2019წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი „...ის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ა...ის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით №... ფუნქციურ ზონად განესაზღვრა ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის სტატუსი; ბათილად ცნობილ ნაწილში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრა მისი ბათილად ცნობის დღიდან; მოჰასუხეს – საქართველოს მთავრობას შპს „ა...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 100 (ასი) ლარის გადახდა.

შეზღუდვის მატერიალურ-სამართლებრივი კანონიერების შესაძენად თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებს. მისი ფორმალური კანონიერება დგინდება შემდგომი კრიტერიუმებით: ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი, რაც იმ კანონით განისაზღვრება, რომელიც შესაბამის ორგანოებს აღჭურავს ასეთი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით; ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოიცეს სზაკ-ით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების წესის გამოყენებით, წერილობითი

ფორმით და აკმაყოფილებდეს სზაკ-ის 52-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს; ნორმატიული აქტის გამოქვეყნება მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობაა. რაც შეეხება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, აქტი უნდა გამოიცეს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საკანონმდებლო აქტებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლება იმ ბუნებითი უფლებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფოს ბაზისს ქმნიან, იგი წარმოადგენს ყოველი ინდივიდის ღირსეული ცხოვრების საფუძველს და ამავედროულად საბაზრო ეკონომიკის, სამოქალაქო ბრუნვის და სამენარმეო ურთიერთობების წინაპირობას. საქართველოს კონსტიტუცია იცავს საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს და ამავედროულად როგორც პიროვნულ უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულებები უზრუნველყოს საკუთრების როგორც ინსტიტუტის დაცვა, ყოველი ინდივიდის მიერ საკუთრების შეუფერხებელი მოხმარება (პოზიტიური ვალდებულება) და იმავედროულად არ ჩაერიოს საკუთრების უფლებაში თვითნებურად (ნეგატიური ვალდებულება). აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება ის ლეგიტიმური მიზანია, რომელიც ამართლებს საკუთრების უფლებაში ჩარევას – როგორც შეზღუდვის, ისე ექსპროპრიაციის ფორმით. საკუთრების უფლების ჩამორთმევისას აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება მკაცრ და კონკრეტულ განმარტებას ექვემდებარება. სასამართლომ აღნიშნა, რომ კერძო სამართლის სუბიექტის საკუთრების უფლების შეზღუდვა უნდა ჩამოყალიბდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვით. საკუთრების უფლების შეზღუდვის შეფასების საზომი თანაზომიერების პრინციპია. საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერების საკითხის დადგენისას კი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ზღვარი – შეზღუდვა საკუთრების უფლებას არ უნდა უკარგავდეს არსს და ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს საკუთრების უფლების შინაარსს. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო გადაწყვეტილების მიღებისას მოსარჩელის საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. სასამართლოს მოსაზრებით, ნორმატიული აქტის სადავო ნაწილი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ზღუდავს საკუთრების უფლებას იმ ხარისხით, რომ შინაარსს უკარგავს საკუთრების უფლებას, როგორც ობიექტურ ღირებულებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან და საერთაშორისო აქტებით განმტკიცებულ სტანდარტებთან. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკ-

ვეთის მომიჯნავედ და მიმდებარედ არსებულ იდენტურ მიწის ნაკვეთებზე, მათი ფუნქციური ზონის (საკურორტო-რეკრეაციული ზონა) გათვალისწინებით, დასაშვებია მშენებლობა. შესაბამისად, გაუგებარია, მათგან განსხვავებით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის მინიჭება რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი ვერ გაართვა მტკიცების ტვირთს, საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი არ იქნა ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა ან ეჭვქვეშ დააყენებდა საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და არგუმენტებს. მხოლოდ ვარაუდი არ შეიძლება გახდეს მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.08.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა – საქართველოს მთავრობამ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე შპს „ა...ის“ მიერ წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მოსარჩელემ ასევე მოითხოვა საქართველოს მთავრობის 02.12.2019წ. №591 დადგენილების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცდა ...ის ქალაქთშენებლობითი დოკუმენტაცია და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფუნქციურ ზონად განისაზღვრა ლანდშაფტური ზონა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.07.2020წ. გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.08.2019წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ა...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეესაბამებოდა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 19.2 მუხლის თანახმად დასაშვებია იყო საკუთრების უფლების შეზღუდვა. მოცემულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთისთვის სამშენებლო გამოყენების პირობების

შეზღუდვა განაპირობა მოსარჩელის მიწის ნაკვეთის ბუნებრივმა მახასიათებლებმა და მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, კერძოდ, უძრავი ნივთი მდებარეობდა განაშენიანების საზღვრებს გარეთ, ინტენსიურად გამწვანებულ ტერიტორიასთან და მოიცავდა ბუნებრივ ლანდშაფტს (გამწვანებულ ტერიტორიას, რომელიც ნაწილობრივ დაფარულია მწვანე ნარგავებით), რაც აუცილებელს ხდიდა მის სამშენებლო გამოყენებისთვის შეზღუდვას ...ის სარეკრეაციო ტერიტორიის დასაცავად, საზოგადოებისთვის ბუნებით მაქსიმალური სარგებლის მიღების შესაძლებლობის მისაცემად და საზოგადოებრივი სივრცეების შესანარჩუნებლად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.12.2013წ. განმარტებაზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შემოწმებისას ცენტრალური საკითხია ის, თუ რითაა განპირობებული სადავო ნორმის მიღების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულია საჯარო მიზნების მისაღწევად. ნორმებით დაწესებული რეგულირება ლოგიკურ კავშირშია მისაღწევ მიზნებთან და წარმოადგენს მათი მიღწევის საშუალებას. სადავო რეგულირებით ხდება საკუთრების უფლების ობიექტის გამოყენების შეზღუდვა, თუმცაღა მისი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა მესაკუთრეს შეუძლია, არ ხდება საკუთრების უფლების იმგვარი შეზღუდვა, რაც საკუთრების არსის დარღვევას გამოიწვევს. არასამშენებლო ტერიტორიაზე მოხვედრილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები არ რჩებიან საკუთრების უფლების გარეშე და მინიჭებული პირობითი კოეფიციენტიდან გამომდინარე, აქვთ მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და სათანადო კომპენსაციის მიღების საშუალება. სასამართლოს მოსაზრებით ადგილი არ ჰქონდა თანასწორობის პრინციპის დარღვევას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ იდენტური მდებარეობის მიწის ნაკვეთებს მინიჭებული ჰქონდათ საკუთრորტო-რეკრეაციული ზონის სტატუსი. დღეისთვის არსებული (ფაქტობრივი) ბუნებრივი მახასიათებლებით მიწის ნაკვეთები, რომელთაც მინიჭებული აქვთ საკუთრორტო-რეკრეაციული ზონის სტატუსი და მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობენ ლანდშაფტურ ტერიტორიაზე, არ იმყოფებოდნენ არსებითად თანაბარ მდგომარეობაში. დროის გარკვეულ პერიოდში სადავო ნორმატიული აქტების მიღებამდე და საკანონმდებლო შეზღუდვების დადგენამდე, მოსარჩელის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ზოგიერთ ნაკვეთზე განხორციელებული ან/და მიმდინარე მშენებლობა, სადაც უკვე ჩამოყალიბებულია განაშენიანება, ვერ განიხილებოდა მო-

სარჩელის ნაკვეთის იდენტურ მდგომარეობაში ყოფნად და ვერ განაპირობებდა მისთვისაც სამშენებლო ზონის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ...ის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის (დანართი №1) 7.2 მუხლი ითვალისწინებს პირობითი კოეფიციენტის გამოყენების შესაძლებლობას. პირობითი კოეფიციენტი ნაკვეთის მინიჭებული აქვს ...ის გენერალური გეგმის საფუძველზე. მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა სამშენებლო მიწის ნაკვეთისათვის განსაზღვრული განაშენიანების სპეციალური პარამეტრებით სარგებლობისას ან განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრების დადგენისთვის. დანართის მე-10 მუხლით დადგენილი იქნა განაშენიანების პარამეტრების გაზრდის საგამონაკლისო შემთხვევები, რაც შესაძლებელს ხდის არასამშენებლო ტერიტორიაზე მოხვედრილი მიწის ნაკვეთის პირობითი კოეფიციენტების გამოყენებას. პალატამ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გარემოება, როდესაც სახელმწიფო იღებს კურორტისათვის მნიშვნელოვან ნაკვეთებს საკურორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ხოლო არასამშენებლო ტერიტორიაზე მოხვედრილი ნაკვეთების მესაკუთრეები არ რჩებიან საკუთრების უფლების გარეშე, მინიჭებული პირობითი კოეფიციენტიდან გამომდინარე, მათ რჩებათ ნაკვეთის გასხვისებისა და პირობითი კოეფიციენტის სხვა ტერიტორიის განვითარებისთვის გამოყენების შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.07.2020წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და დაზუსტებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებასთან მიმართებით არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. კასატორს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მატერიალურ-სამართლებრივად უკანონოა, რადგან არ შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

კასატორი უთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლზე და სამოქალაქო კოდექსის 170.1 მუხლზე და აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის არასამშენებლო ტერიტორიად მიჩნევა არღვევს კერძო პირის საკუთრების უფლებას. საკუთრების უფლება მოიაზ-

რებს ფლობა-სარგებლობის უფლებასაც, რადგან თუ მესაკუთრე შეზღუდულია ქონებით სარგებლობაში, საკუთრების უფლება აზრს კარგავს, ვინაიდან ის მხოლოდ ფორმალურად იარსებებს, შეუძლებელი იქნება საკუთრების პრაქტიკული გამოყენება. მიწის ნაკვეთზე მშენებლობის შეზღუდვა არღვევს საკუთრების უფლების არსს. საკუთრების უფლების შეძენა დროის თვალსაზრისით წინ უსწრებს უძრავ ქონებაზე ფუნქციური ზონით დაწესებული შეზღუდვის შემოღებას. მიწის ნაკვეთი მოსარჩელის კერძო საკუთრებას წარმოადგენს 2005 წლიდან და დროის მითითებული მომენტისთვის არ არსებობდა ...ის მიწათსარგებლობის გეგმა, შესაბამისად არ არსებობდა რაიმე სახის შეზღუდვა ფუნქციური ზონით.

კასატორს მიაჩნია, რომ მიწის ნაკვეთის ინტენსიურად გამწვანებულ ტერიტორიასთან მდებარეობასა და მისი ნაწილობრივ მწვანე ნარგავებით დაფარვაზე სააპელაციო სასამართლოს მითითების მიუხედავად კერძო საკუთრების შეზღუდვა არათანაზომიერია, არ ემსახურება აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, არ დგინდება მისალწვეი ლეგიტიმური/კანონიერი მიზანი. კასატორი აღნიშნავს, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ 2-3 ხეა განლაგებული და უძრავი ნივთის ფართობის სიდიდე, კონფიგურაცია და რელიეფი იძლევა კოტეჯების იმგვარად მშენებლობის შესაძლებლობას, რომ არ დაზიანდეს მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული ინტენსიურად გამწვანებული სივრცე. ამასთან, უძრავი ნივთის სამშენებლო ტერიტორიად მიჩნევის შემთხვევაში, მესაკუთრეს წარმოეშობა კვ (გამწვანების მინიმალური) კოეფიციენტის ათვისების ვალდებულება, რაც გაზრდის გამწვანებულ ტერიტორიას.

კასატორმა აღნიშნა, რომ ირღვევა თანასწორობის პრინციპი, მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე და მიმდებარე არაერთ მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს სამშენებლო ფუნქციური ზონა – საკურორტო-სარეკრეაციო ზონა. კასატორმა შპს „ა...მა“ ყურადღება ასევე გაამახვილა იმაზე, რომ სხვა არაერთ მიწის ნაკვეთს, რომელიც დაფარულია მწვანე ნარგავებით და/ან ემიჯნება ინტენსიურად გამწვანებულ სივრცეს, მოსარჩელის მიწის ნაკვეთისგან განსხვავებით, სამშენებლო ტერიტორიების სტატუსი აქვს მინიჭებული. ადმინისტრაციული ორგანო, რომლის პირდაპირი ვალდებულებაც არის საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის, შეზღუდვის მიზნის და გამოყენებული საშუალების თანაზომიერების მტკიცება, ხეებით დაფარულ 30-ზე მეტი ფართობის მქონე ნაკვეთს ნორმატიული აქტით უხსნის სამშენებლოდ შეზღუდვის ზონას, ანიჭებს მშენებლობის შესაბამის ზონას, ხოლო კასატორის საკუთრებაში არსებულ 8 693 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, რო-

მელზედაც 2-3 ხეა განთავსებული, ანიჭებს სამშენებლოდ შეუსაბამო ფუნქციურ ზონას (ლანდშაფტური ზონა). ასეთ პირობებში შეუძლებელია მიზნის ლეგიტიმურობაზე და სამართლიანი ბალანსის არსებობაზე მსჯელობა.

კასატორი მიუთითებს, რომ პირობითი კოეფიციენტის მექანიზმი არ არის შეზღუდვის თანაზომიერი კომპენსაცია, პრაქტიკულად შეუძლებელია მისი გამოყენება. მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის პირობითი კოეფიციენტი განსაზღვრული არაა. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნორმატიული აქტებით დამტკიცებული რუკები დაყოფილია 29 ერთეულად და თითოეულ მათგანზე დატანილია ...ის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილები, უბნები, კვარტლები. კასატორის ნაკვეთი მოქცეულია მე-8 რუკის არეალში, რომლითაც ნაკვეთი მოქცეულია ლანდშაფტურ ტერიტორიაში. რუკის ტექსტური ნაწილი არ შეიცავს მითითებას პირობითი კოეფიციენტის თაობაზე, ე.ი. ამ რუკის არეალში არსებული ნაკვეთებისთვის პირობითი კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული. სადავო ნორმატიული აქტით პირობითი კოეფიციენტი (ე.წ. კომპენსაცია) მართლაც არის გათვალისწინებული, თუმცა ის არ ეხება კასატორის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთს. ამასთან, არასამშენებლო უძრავი ნივთის პირობითი კოეფიციენტის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ მკვეთრად შეზღუდული რაოდენობის სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე, რაც მესაკუთრეს ფაქტობრივად აიძულებს მისი საკუთრების მინიმალურ ფასად გასხვისებას. კასატორი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ შეზღუდვასა და კომპენსაციის მექანიზმის არარსებობას უთანაბრებს საკუთრების უფლების ფორმალურ ექსპროპრიაციას, რა დროსაც საკუთრების უფლების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 22.06.2022წ. №01/2023 წერილით იმუამდგომლა სამინისტროს უფლებამონაცვლედ სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ცნობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს 01.07.2022წ. განჩინებით, სს.კ-ის 92.1 მუხლის, 26.04.2022წ. კანონით სივრცის დაგეგმვის, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასრულყოფილად დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, მათ არ მიეცათ სწორი სამართლებრივი შეფასება, გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად შპს „ა...ის“ საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის 30.04.2013წ. ამონაწერის თანახმად, შპს „ა...ი“ 8693.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა 19.05.2005წ. დამოწმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 25.03.2013წ. უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის აქტის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, „...ის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილებით დამტკიცდა: ა) ...ის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, თანდართულ რუკებთან ერთად (დანართი №1); ბ) თემატური რუკების დამუშავების პირობები (დანართი №2); გ) ...ის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები (დანართი №3); დ) ...ისა და ...ის სამთო-სათხილამურო არეალის თემატური რუკები (დანართი №4). აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული ...ის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (დანართი №1) შესაბამისად, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით: №... მდებარეობდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში (ლსზ), რის გამოც ნაკვეთი მოექცა სამშენებლოდ შეზღუდულ რეჟიმში. საქართველოს მთავრობის 02.12.2019წ. №591 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 06.03.2018წ. №117 დადგენილება და დამტკიცდა ამაჟამად მოქმედი „...ის გენერალუ-

რი გეგმა“, რომლის მიხედვითაც კასატორის უძრავი ნივთი მდებარეობს „ლანდშაფტური ტერიტორიის ზონაში“. საქართველოს მთავრობის 02.12.2019წ. №591 დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის – „...ის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის“ 5.2 მუხლის თანახმად, „ლანდშაფტური ტერიტორია“ მოიცავს ბუნებრივი ლანდშაფტის ან ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისთვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა. ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: ა) მისი ფუნქციონირებისა და დაცვისთვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობებისა; ბ) რელიგიური/საკულტო შენობა-ნაგებობებისა საგამონაკლისო წესით; გ) სპეციალური ტურისტული მარშრუტის პროექტით შეთანხმებული, პანორამული ხედების მქონე, 100 მ²-მდე ფართის ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო შენობა-ნაგებობისა. სხვა სახის მშენებლობა ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დაუშვებელია.

შპს „ა...მა“ 19.03.2019წ. სარჩელით მოითხოვა საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცდა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია და მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფუნქციურ ზონად განისაზღვრა „ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა“, 28.01.2020წ. დაზუსტებული სარჩელით ასევე მოითხოვა საქართველოს მთავრობის 02.12.2019წ. №591 დადგენილების იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომლითაც დამტკიცდა ...ის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია და მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფუნქციურ ზონად განისაზღვრა „ლანდშაფტური ტერიტორია“.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს მთავრობის 02.12.2019წ. №591 დადგენილებით დამტკიცებული „...ის გენერალური გეგმით“ შპს „ა...ის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი კვლავ მოექცა არასამშენებლო ტერიტორიების საზღვრებში. ამასთან, სადავო ნორმის ახალი რედაქცია არსებითად იმეორებს საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების ძალადაკარგული რედაქციის ნორმატიულ შინაარსს. ახალი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებით სადავო ნაკვეთთან მიმართებაში არ შეცვლილა ის სამართლებრივი შეზღუდვები, რომელიც არსებობდა მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტაციით. საქართველოს მთავრობის 02.12.2019წ. №591 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტაცია დამუშავდა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“

მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (კოდექსის 141.11 მუხლით საქართველოს მთავრობას დაევალა სათანადო ნორმატიული აქტების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა). ორივე შემთხვევაში მოსარჩელის კუთვნილ ნაკვეთებზე ვრცელდება ლანდშაფტური ზონის სამართლებრივი რეჟიმი. ამდენად, დავის სამართლებრივი არსი და სამართლებრივი საფუძვლები არ შეცვლილა, შესაბამისად, აღნიშნული გარემოება (ნორმატიული შინაარსის შენარჩუნება) არსებითად გასაჩივრებული დებულებით განპირობებული პრობლემის ნორმატიულ შინაარსზე მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს (სუსგ 01.10.2020წ., №ბს-845(კ-19); სუსგ 21.05.2020წ., №ბს-1233(კ-18)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო-წარმოების დამთავრება და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება დაკავშირებულია დროის ისეთ მონაკვეთთან, რომლის განმავლობაშიც ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო საკითხთან მიმართებით შესაძლოა ფორმალურ-პროცედურულად მიიღოს არაერთი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა მატერიალური (შინაარსობრივი) მონესრიგება უცვლელი დარჩეს, რამაც არ უნდა დააბრკოლოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერებაზე ეფექტიანი სასამართლო კონტროლი, სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამზადარი სამართლებრივი მონესრიგების შინაარსის კანონმდებლობასთან შესაბამისობა (კანონიერება).

სარჩელის აღძვრის ვადის საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის საგანს შეადგენს ნორმატიული აქტის ნაწილი. სამართალურთიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმცია, იგულისხმება, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა, კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ცოდნა სამართალურთიერთობის ყველა მონაწილის, მათ შორის მოსარჩელის ვალდებულებაა, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.). აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დანიშნულება ან ფუნქცია არ აქვს. თუმცა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კანონმდებლობის ცოდნის პრეზუმციის მოქმედება არ არის უსათუო ნორმის გასაჩივრების მიზნებისთვის, ნორმატიული აქტების მასივის ზრდა განაპირობებს ნორმის გაუქმების მოთხოვნის უშუალო ზიანის მიყენების შემდგომ დასმის პროცესულურ შესაძლებლობას, კერძოდ, ასკ-ის 22.3 მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის სამთვლიანი ვადის ათვლა იწყება ნორმატიული აქ-

ტით უშუალო ზიანის მიყენებიდან. მარტოდენ ნორმატიული აქტის მიღება თავისთავად არ იწვევს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას. მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავს, რომ ...ის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით კომპანიის კუთვნილ ნაკვეთზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის განსაზღვრა მისთვის ცნობილი გახდა 2019 წლის მარტის თვეში, იმავე თვეში შპს „ა...მა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნორმატიული აქტით – მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, დაინტერესებული პირისთვის ზიანის უშუალოდ მიყენება შესაძლოა გამოიხატოს იმაში, რომ მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო არ აკმაყოფილებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას, რადგან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (ე.წ. გაპი) გაიცემა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მოწესრიგების შესაბამისად. შპს „ა...ის“ მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოსთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაშიც კი ადმინისტრაციული ორგანო არ დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნას მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ შემზღუდავ ფუნქციაზე მითითებით. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე შესაძლოა მიწის ნაკვეთის სამშენებლო პოტენციალის შეძენა, განვითარება, შეზღუდვა ან საერთოდ აკრძალვა. სწორედ ასეთი ფაქტორებით გამოწვეული ქონებრივი დანაკარგები (ქალაქგეგმარებითი ზიანი) რეგულირდება კანონმდებლობის (სდასსკ-ის და სზაკ-ის) შესაბამისი მუხლებით. სივრცითი დაგეგმარება და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი მოთხოვნის შესრულება ნებისმიერი პირისთვის სავალდებულოა. ქალაქთმშენებლობითი გეგმა არის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სდასსკ-ის 2.2 მუხ. „3²¹“ ქვ.პ.). დავა დასაშვებია დასახლების მშენებლობითი გეგმის ყველა იმ მოთხოვნის მიმართ, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ განსაზღვრავენ კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე ნებადართული მშენებლობის სახეობას და მოცემულობას. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა შეცილებითი სარჩელი, დავის საგანს შეადგენს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ნაკვეთების ნაწილში. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაცულად მისაჩნევად საკმარისია ის გარემოება, რომ მოთხოვნის შემთხვევაში მშენებლო-

ბის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მოქმედი სამშენებლო შეზღუდვების გათვალისწინებით მიღებული იქნებოდა მოსარჩელისთვის გაპის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, რაც მოსარჩელისთვის უშუალო ზიანის მომტანი იქნებოდა. ამდენად, მოპასუხეების მითითება, რომ მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო სარჩელი ერთი წლის შემდეგ იქნა აღძრული, ამასთანავე ...ის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადება წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამის ერთ-ერთი მიმართულების ნაწილს, რომლის თაობაზეც განცხადებულ იქნა არაერთგზის სხვადასხვა ფორმატში, 26.02.2017წ. და 28.12.2017წ. მოხდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საჯარო განხილვა – ყოველივე აღნიშნული არ გამორიცხავს სარჩელის დასაშვებობას. ასკ-ის 22.3 მუხლით, ხანდაზმულობის ვადის ათვლისთვის დაწესებულია მოსარჩელისთვის ნორმატიული აქტით უშუალო ზიანის მიყენების სტანდარტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველი საქმეზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხთაგანია: ა) პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვა; ბ) კურორტის სტატუსის მქონე დასახლებაში, ტყის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის მდებარეობის გავლენა უძრავი ნივთით კერძო მესაკუთრის მიერ სარგებლობის ფარგლებზე.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონად ლანდშაფტური ტერიტორიის განსაზღვრა და საკუთრების უფლების ამ ინტენსივობით შეზღუდვა (მიწის ნაკვეთის არასამშენებლო ტერიტორიად მიჩნევა) უთანაბრდება საკუთრების უფლების ჩამორთმევას (ფორმალურ ექსპროპრიაციას). მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის მინიჭება არის არა საკუთრების უფლების ჩამორთმევა (ფორმალური ექსპროპრიაცია), არამედ საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების დადგენა (სუსგ 26.01.2021წ., №ბს-1112(კ-18)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლებას არ აქვს აბსოლუტური ძირითადი უფლების ხასიათი, იგი ექვემდებარება შეზღუდვას, რომელიც პროპორციული უნდა იყოს. საკუთრების უფლების შეზღუდვის უფლებამოსილების სახელმწიფოსთვის მინიჭება გამომდინარეობს გარკვეული სამართლებრივი სიკეთეების დაცვის მომეტებული ინტერესის გამო საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციით, ვალდებულებით დატვირთვის შესაძლებლობიდან. შესაბამისად, ნივთის სოციალური ტვირთის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული უძრავი ქონებით მხოლოდ საკუთა-

რი კერძო ინტერესების შესაბამისად სარგებლობაზე მესაკუთრის კერძო ავტონომიის შეზღუდვის შესაძლებლობა. შპს „ა...ის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთის მიმართ შესაძლოა არსებობდეს მომეტებული საჯარო ინტერესი. 23.03.2018წ. ცვლილებამდე მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის 21.2 მუხლის საფუძველზე საკუთრების შეზღუდვის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი იყო აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა (ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 19.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინტერესის არსებობა). მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მიღებული სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები დასახლებული ერთეულის საკითხების მოწესრიგებას, დასახლების ერთიანი მშენებლობითი სქემის შემუშავებას ისახავს მიზნად, შესაბამისად სადავო დადგენილებები მიღებულია საჯარო მიზნების მისაღწევად. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების გეგმების/განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავება და დამტკიცება. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების მიღების დროს მოქმედი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დადგენა საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, 29-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სარეკრეაციო ტერიტორიაზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში მინათსარგებლობის გენერალურ გეგმას ამტკიცებდა საქართველოს მთავრობა. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი ადგენდა, რომ სარეკრეაციო ტერიტორიებისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები იყო საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებდა სარეკრეაციო ტერიტორიებზე უძრავი ნივთების განვითარების, გამოყენების და მათში ცვლილებების შეტანის პროცესებს. ამჟამად მოქმედი სდასსკ-ი ითვალისწინებს განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიისა და განსაკუთრებული რეგულირების ზონის ცენტრალიზებული წესით დადგენის საკითხს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიწის ნაკვეთი მდებარეობს კურორტის ტე-

რიტორიაზე (საქართველოს მთავრობის 03.07.2014წ. №428 დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართი – საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი) და უშუალოდ ემიჯნება ტყის სტატუსის მქონე სივრცეს). საკურორტო ტერიტორია წარმოადგენს განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის სტატუსს, რომლის რეჟიმს საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, ასეთი ტერიტორიისთვის საქართველოს მთავრობა ამტკიცებს გენერალურ გეგმას (სდასსკ-ის 3 6). „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონის 4.1 მუხლის თანახმად, საქართველოს ტურისტული და საკურორტო რესურსები ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს. ტყის სტატუსის მქონე სივრცის დაცვის საკითხებს აწესრიგებდა 22.06.1999წ. ტყის კოდექსი, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 22.05.2020წ. მიღებული ტყის კოდექსით. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29.2 მუხლის თანახმად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიწის ნაკვეთის მიმართ მომეტებული საფარო ინტერესი არსებობს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მითითება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე (სუს გადაწყვეტილებები №ბს-964-960(კ-17), №ბს-254-252(კ-17), №ბს-326-324(კ-17) საქმეებზე) არ არის რელევანტური, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება კურორტულ ზონას (განსაკუთრებული რეგულირების სივრცეს), საქართველოს მთავრობის და არა ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დროის გასვლასთან ერთად შესაძლოა შეიცვალოს (შემცირდეს ან გაიზარდოს) საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები იმისა და მიხედვით, თუ რამდენად მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო კერძო მესაკუთრის მიერ ნივთით სარგებლობას. მიწის ნაკვეთით სარგებლობის კონტროლის ერთ-ერთი სამართლებრივი მექანიზმია ფუნქციური ზონირება, სივრცის დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე, გენერალური გეგმა მოიცავს ფუნქციურ ზონებს (სდასსკ-ის 39.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.). უკეთეს საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები მცირდება, ადგილი აქვს შესაბამის ნაწილში სარგებლობის უფლების შეზღუდვას, რაც არ უთანაბრდება მთლიანად საკუთრების უფლების ჩამორთმევას (ფორმალურ ექსპროპრიაციას), რადგან მიწის ნაკვეთის მესაკუთრე სუბიექტი უცვლელია, იგი ინარჩუნებს ნივთის გასხვისების, მატერიალურ-სამართლებრივი ვალდებულებით დატვირთვისა და კანონით განსაზღვრულ, მართალია შეზღუდულ ფარგლებში, თუმცა სარგებლო-

ბის შესაძლებლობას საკუთარი კერძო ავტონომიის მიხედვით. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია საკუთრების უფლების ჩამორთმევას (ფორმალურ ექსპროპრიაციას), ამასთანავე სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მოპასუხის უფლებამოსილების ფარგლებშია მიღებული (ფორმალური კანონიერება).

კასატორის მოსაზრებით, უძრავი ნივთის შეძენის მომენტში მინათსარგებლობის ერთიანი გეგმის არარსებობა ავტომატურად ნიშნავს მოსარჩელის საკუთრების უფლების შეზღუდვის დაუშვებლობას, საკუთრების უფლების შეძენა დროის თვალსაზრისით წინ უსწრებს შეზღუდვების დაწესებას, რაც კასატორის აზრით სადავო აქტის უკანონობას ადასტურებს და ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთიანი მინათსარგებლობის გეგმის არარსებობა განსახილველ შემთხვევაში არ აუქმებს სახელისუფლებო სუბიექტის უფლებამოსილებას შეიტანოს ცვლილებები კანონმდებლობაში. კერძო პირის მოლოდინი ნორმატიული მოწესრიგების უცვლელობაზე, მუდმივად შენარჩუნებაზე, არსებულ მოწესრიგებაში ნოვაციების შეტანის დაუშვებლობაზე არაა კანონით დაცული. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გეგმა არის მართველობის ორგანოს საქმიანობის მნიშვნელოვანი ფორმა, დაგეგმვის სამართლებრივი რეგულირების ნორმები როგორც წესი აყალიბებენ დაგეგმარების საერთო ამოცანას და დაგეგმარების დროს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს. დაგეგმარების კანონმდებლობა განსაზღვრავს დაგეგმვაზე უფლებამოსილ სუბიექტს, დაგეგმარების პროცედურას, ამოცანებს, პრინციპებს. დაგეგმარების არსისთვის დამახასიათებელია გეგმის შემუშავების თავისუფლება. უკეთეს გეგმა ნორმატიულ აქტშია ასახული, მნიშვნელობას იძენს პირდაპირი და არაპირდაპირი უკუქცევითი ძალის, ასევე კანონიერი ნდობის საკითხები. მართალია საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მინათსარგებლობის გეგმის დამტკიცება მოხდა ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, თუმცა სახელისუფლებო სუბიექტი უფლებამოსილია შეცვალოს კანონმდებლობა და ახალი არანამდვილი (რეტროსპექტული) უკუძალის მქონე ნორმებით მოაწესრიგოს საკუთრების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.06.2012წ. გადაწყვეტილება „ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ“ (Khoniakina v. Georgia), N17767/08, §75). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს გამოუყენებელი შესაძლებლობის შენარჩუნებას, მას არ უსარგებლია მშენებლობის უფლებით სამშენებლო შეზღუდვის დაწესებამდე, შესაბამისად მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობის შემდგომ მშენებლობაზე შეზ-

ლუდვის დაწესებას არანამდვილი უკუძალა აქვს, რაც არ არის გამოორიცხული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოთ მითითებული პრეცედენტული სამართლით. სახელისუფლებო უფლებამოსილების მქონე სუბიექტი აკონტროლებს კერძო მესაკუთრის მიერ უძრავი ნივთით სარგებლობის ფარგლებს, მათ შორის საკუთრების უფლების წარმოშობის შემდეგაც (თუმცა, საკუთრების უფლების შეზღუდვის პროპორციულობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლისთვის კომპენსაციის მიცემის ვალდებულების ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაკისრება). სახელისუფლებო სუბიექტის მიერ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობის კონტროლის უფლებამოსილება განპირობებულია ორი გარემოებით: ა) მიწის ნაკვეთები ამონურვადი რესურსია და ბ) კერძო პირის საკუთრების უფლებას უპირისპირდება მესამე პირების ძირითადი უფლება ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებაზე და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობაზე (საქართველოს კონსტიტუციის 37.3 მუხლის პირველი წინადადება (ძალადაკარგული რედაქცია), ასევე 29.1 მუხლი (ამჟამად მოქმედი რედაქცია)). ამასთან, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით (საქართველოს კონსტიტუციის ძალადაკარგული რედაქციის 37.4 მუხლი, ამჟამად მოქმედი რედაქციის 29.2 მუხლი). საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ინტენსიურად გამწვანებული სივრცის მომიჯნავედ და უშუალოდაც ნაწილობრივ დაფარულია მწვანე ნარგავებით (თუმცა მათი რაოდენობა დაუზუსტებელია, ამ გარემოების მიმართ საკასაციო საჩივარში კასატორი წარადგენს პრეტენზიას). გამწვანებული ტერიტორიის დაზიანების შემთხვევაში, სხვა პირებისთვის შეუძლებელი იქნება ბუნებრივი გარემოთი და მწვანე ნარგავების არსებობით გამოწვეული სიკეთით სარგებლობა, რამაც შესაძლოა ხელყოს მათი ძირითადი უფლება ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრებასა და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობაზე. ამდენად, კერძო საკუთრებით სარგებლობის დროს ერთმანეთს შესაძლებელია დაუპირისპირდეს ორი ძირითადი უფლება, რომლებიც მოქმედებენ როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი და გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. დაუშვებელია რომელიმე მათგანისთვის იმთავითვე/ავტომატურად უპირატესობის მინიჭება, მართელობითი ღონისძიების შერჩევა და შერჩეული ღონისძიების კანონიერების შემოწმება უნდა მოხდეს პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნების დაცულო-

ბის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრების უფლებას არ აქვს აბსოლუტური ძირითადი უფლების ხასიათი, მისი შეზღუდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. საქართველოს კონსტიტუციის 19.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისთვის.“ აღნიშნული მოწესრიგება შეეხება კერძო საკუთრების წარმოშობის შემდგომ პერიოდს, რადგან ქონებაზე კერძო საკუთრების მოპოვებამდე იგი ვერც შეიზღუდება (ასე მაგ., „სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ“ („Sporrong and Lönnroth v. Sweden“), №7151/75, №7152/75, 23.09.1982წ.) საქმეზე სამშენებლო შეზღუდვა დაწესდა უკვე კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (§10, 16, 19 და 23), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა არა იმის გამო, რომ ზოგადად დაუშვებელია კერძო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის შეზღუდვის დაწესება, არამედ იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე სახელმწიფომ შეზღუდვის დაწესების დროს არ დაიცვა სამართლიანი ბალანსი (პროპორციულობა) კერძო პირის საკუთრების უფლებასა და საერთო (საჯარო) ინტერესს შორის, სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მესაკუთრეებისთვის დაკისრებული ტვირთი მიჩნეული იქნებოდა კანონიერად, მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომ ყოფილიყო ტვირთის შემსუბუქების რაიმე მექანიზმი, მაგ. კომპენსაციის მოთხოვნა (§73, პირველი წინადადება)). არათუ შენობის აშენებამდე მშენებლობის აკრძალვა, რაც ობიექტის დემონტაჟთან შედარებით უფრო ნაკლები ინტენსივობის ჩარევას საკუთრების უფლებაში, არამედ მრავალი წლის წინ აშენებული სახლის დემონტაჟიც კი შესაძლოა კანონიერად იქნეს მიჩნეული გარემოს დაცვის მიზნით („ჰამერი ბელგიის წინააღმდეგ“ (Hamer v. Belgium), №21861/03, 27.11.2007წ., §83, 89). „ფინანსურ იმპერატივებსა და თვით ზოგიერთ ძირითად უფლებას, როგორიცაა მაგ. სა-

კუთრების უფლება, არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს გარემოსთან მიმართებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ეს საკითხი კანონმდებლობით აქვს რეგულირებული. შესაბამისად, სახელისუფლებო ორგანოები კისრულობენ გარემოს დამცავი ნორმების ეფექტიანობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, რაც პრაქტიკაში სათანადო დროს მათ ჩარევას გულისხმობს.“ („ჰამერი ბელგიის წინააღმდეგ“ (Hamer v. Belgium), №21861/03, 27.11.2007წ., §79) (გამწვანებულ არეალში მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომელიც სამშენებლო ტერიტორიას არ ემიჯნება, გარემოს დაცვის მიზნით მშენებლობის აკრძალვის დანესების კანონიერებასთან დაკავშირებით შდრ. სუსგ 09.12.2022წ., №ბს-248(კ-19)). ამდენად, გარემოს დაცვის მიზნით, მითუფრო კურორტის ტერიტორიაზე, სახელმწიფო უფლებამოსილია კერძო საკუთრებაში მყოფ უძრავ ნივთზე კანონმდებლობის შეცვლის გზით დაანესოს შეზღუდვა იმ დათქმით, რომ იგი პროპორციული იქნება. შეზღუდვის პროპორციულობას შესაძლოა ადასტურებდეს კერძო მესაკუთრისთვის დაკისრებული ქონებრივი ტვირთის შემამსუბუქებელი მექანიზმის კანონმდებლობით გათვალისწინება. საქართველოს კონსტიტუციის 37.3 მუხლის მეორე წინადადების 1995 წლის 24 აგვისტოდან მოქმედი რედაქცია იმპერატიულად ადგენდა, რომ ყველას (მათ შორის კერძო მესაკუთრეს) ეკისრებოდა ბუნებრივი გარემოს გაფრთხილების ვალდებულება. ამასთან, უკვე აღინიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დამატებით მხედველობაშია მისაღები მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მდებარეობა კურორტის ტერიტორიაზე, სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი სივრცის, კოდით: ... მომიჯნავედ. საქართველოს მთავრობის 03.07.2014წ. №428 დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის (საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი) მიხედვით, ...ს მინიჭებული აქვს კლიმატური კურორტის სტატუსი პროფილაქტიკური, ალერგოლოგიური და პულმონოლოგიური პროფილით. ამდენად, პრინციპში არ არის გამორიცხული სახელისუფლებო სუბიექტის მიერ ნორმატიული ცვლილებებით მიწის ნაკვეთზე კერძო პირის საკუთრების უფლების წარმოშობის შემდეგაც (მათ შორის უძრავი ნივთით სარგებლობის დაგეგმვით) საკუთრების უფლების ფარგლების შემცირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიწის ნაკვეთი მდებარეობს კურორტის სტატუსის მქონე ტერიტორიაზე ტყის მომიჯნავედ.

მოპასუხე და მესამე პირი ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ სადავო ფუნქციური ზონის (ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის/ლანდშაფტური ტერიტორიის) განსაზღვრამდე მოქმედი საქართველოს მთავრობის 12.08.2014წ. №491 დადგენილე-

ბით მოსარჩელის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდებოდა. საქართველოს მთავრობის 15.01.2014წ. №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 12.2 მუხლის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო ზონა წარმოადგენს დასახლების (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი დამხმარე შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა მოიცავს, როგორც წესი, განაშენიანების საზღვრების გარეთ არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო გადაწყვეტილების მიღებისას მოსარჩელის – შპს „ა...ის“ საკუთრების უფლება ნაკვეთზე რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის სახით, საჯარო რეესტრის ჩანაწერის თანახმად, საკუთრების უფლების რეგისტრაცია მიწის ნაკვეთზე განხორციელდა 19.10.2005წ. ნასყიდობის ხელშეკრულების (7475.5 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი) საფუძველზე, მ. ს-ემ 19.06.2006წ. შეისყიდა 1218 კვ.მ. ნაკვეთი, რომელიც შეტანილ იქნა შპს „ა...ის“ საწესდებო კაპიტალში 29.03.2013წ., ორივე ნაკვეთის გაერთიანება მოხდა 30.04.2013წ., მოსარჩელის – შპს „ა...ის“ კუთვნილმა საერთო ფართობმა შეადგინა 8693 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება მიწის ნაკვეთზე რაიმე შეზღუდვის არსებობა საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღებამდე, შესაბამისად, საქმის მასალებით ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება მოსარჩელის კუთვნილი ნაკვეთის შეზღუდული საკუთრების უფლებით აღრიცხვა, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ნაკვეთზე ვრცელდებოდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სამართლებრივი რეჟიმი. საქმის მასალებით არ დასტურდება ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის მომენტისთვის რაიმე შეზღუდვის არსებობა, შესაბამისად, შესაძლებელია სარჩელით შეზღუდვის მოხსნის საკითხის განხილვის მოთხოვნა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხისა და მესამე პირის მოსაზრება მიწის ნაკვეთის მოსარჩელის მიერ შექცნამდე ნაკვეთზე შეზღუდვის არსებობის შესახებ დაუსაბუთებელია.

დაგეგმვა არის კომპლექსური პროცესი, სადაც მრავალი ინტერესი იყრის თავს, რომლებიც ერთმანეთთან უნდა შეჯერდეს და დაბალანდეს. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ქალაქ-

თვეგმარების უფლებამოსილების სამართლიანად განხორციელება. დაგეგმვის პროცესში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის და კერძო ინტერესის შენონასწორება და დაბალანსება (სდასკ-ის მე-9 მუხ. მე-2 ნაწ.). გეგმის დამტკიცების პროცედურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროექტის ობიექტურ შეფასებას ყველა ინტერესის გათვალისწინებით. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა დაინტერესებული პირის, რომელთა საკუთრების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაირღვა მიწათსარგებლობის დაგეგმვის დოკუმენტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით, სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას (27.5 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორგანოს, რომელიც გეგმას ამტკიცებს, შეუძლია პრიორიტეტი მიანიჭოს ცალკეულ ინტერესებს ან დაუქვემდებაროს ისინი სხვა ინტერესებს. გეგმის დამტკიცებისას გამოიყენება ნორმები, რომლებიც უმეტესად კომპეტენციით და არა კერძო პირთა უფლებებით არიან დეტერმინირებული (მიზნობრივ და კონდიციურ ნორმებთან დაკავშირებით შდრ. სუსგ 26.01.2021წ., №ბს-1112(კ-18)). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაგეგმვითი საქმიანობით, განსაკუთრებით კურორტის სტატუსის მქონე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის მდებარეობის შემთხვევაში, საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრის დროს ადმინისტრაციულ ორგანოს ფართო დისკრეცია და ამ თვალსაზრისით მიხედულების ფართე ფარგლები აქვს. ამასთანავე, დისკრეციული უფლებამოსილებისა და შეფასების თავისუფლების მიუხედავად, დასახლების დაგეგმვა მოითხოვს მრავალფეროვანი ცენტრალიზებული წესების დაცვას, ამ მხრივ მოქმედებს მატერიალური კანონიერების კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისობას ადამიანის ძირითად უფლებებთან, დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპებთან, დარგობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, თავსებადობის პრინციპთან და სხვ.. სასამართლო შემოწმებას ექვემდებარება საჯარო და კერძო ინტერესებს შორის პროპორციული ბალანსის დაცულობის საკითხი (შპს „ლეი ლეი“ (Lay Lay Company Limited v. Malta), №30633/11, 23.07.2013წ. §83) და არა სივრცით-ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პოლიტიკა, პრიორიტეტი (მიზანშეწონილობა). არ არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი, უკიდევანო შეფასების სივრცე, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა (სუსგ 24.12.2021წ., №ბს-590(კ-20)), ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება დისკრეციის უშეცდომოდ განხორციელების ვალდებულება, ამდენად, არსებობს მხოლოდ ვალ-

დებულების შესაბამისი დისკრეცია, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია უკანონო გადაწყვეტილების მიღების დისკრეცია. სზაკ-ის 6.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება, ამავე კოდექსის 6.1 მუხლიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. კანონი დისკრეციის ფარგლებს ადგენს ადამიანის ძირითადი უფლებებითა და სხვა სამართლებრივი ნორმებით, რომელთაც ახასიათებთ აბსტრაქციის მაღალი ხარისხი. აღნიშნული ერთი მხრივ ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი შედეგის არჩევის თავისუფლებას (დისკრეციულ უფლებამოსილებას) და ცალკეული შემთხვევებისთვის ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, თუმცა ამასთანავე ზრდის ადამიანის ძირითადი უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის რისკს. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ საზღვრებში დაგეგმარებაზე უფლებამოსილი ორგანო განსხვავებული ინტერესების კოლიზიის დროს იღებს გადაწყვეტილებას რომელიმეს სასარგებლოდ, ადგილი არ აქვს ბალანსის დარღვევას, საჯარო და კერძო ინტერესების მნიშვნელობის შეფასება დიდწილად არის გეგმარებითი რეგულირების თავისუფლების და სასამართლო კონტროლის მნიშვნელოვანი ელემენტი. სამართლის ნორმის აბსტრაქციის ხარისხისა და შესაბამისად თვითნებობის რისკის შემცირების საშუალებაა პროპორციულობის პრინციპი, რადგან მისი თანმიმდევრული ეტაპების მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ამომწურავად შეისწავლება საჯარო და კერძო ინტერესები და შეირჩევა გამართლებული ბალანსი დასაკმაყოფილებელ საჯარო ინტერესსა და კერძო სუბიექტისთვის დასაკისრებელ სამართლებრივ ტვირთს შორის. ზომიერების მოთხოვნა იმპლიციტურად არსებობს ყველა გეგმარებით გადაწყვეტილებაში და მნიშვნელოვნად ზღუდავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პრაქტიკაში გეგმარებითი რეგულირების თავისუფლებას. კერძო და საჯარო ინტერესების შეწონილობის მოთხოვნა არ არის დამოკიდებული კონკრეტულ სამართლებრივ რეგულირებაზე, გამომდინარეობს სახელმწიფო დაგეგმარების არსიდან და შესაბამისად საერთო ხასიათი აქვს. გეგმის შემუშავებისას უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერება (სდასკ-ის მე-9 მუხ. მე-2 ნაწ.). სწორედ, რომ საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და მშენებლობითი გეგმების მეშვეობით უნდა მოხდეს საქართველოს მთელი ტერიტორიისა და მისი ნაწილების გამოყე-

ნებისა და განვითარების მოწესრიგება (სდასკ-ის 2.2 მუხ. „ა“ ქვ.პ.). ამდენად, დისკრეციული უფლებამოსილების კანონით დადგენილი ფარგლების დაკონკრეტებისთვის და დაპირისპირებული ძირითადი უფლებების ურთიერთშეჯერებისთვის გამოიყენება პროპორციულობის პრინციპი (სზაკ-ის მე-7 მუხლი). ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება პროპორციულობის პრინციპის რომელიმე საფეხურის მოთხოვნას, ექვემდებარება ბათილად ცნობას ასკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უშუალოდ ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფლება შეზღუდულია სამშენებლო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებით. საქართველოს მთავრობის როგორც 06.03.2018წ. №117 დადგენილების, ასევე 02.12.2019წ. №591 დადგენილების მიღების მომენტში ადმინისტრაციული ორგანოს ევალებოდა მინის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის განსაზღვრა დაგეგმვის საჭიროების (აუცილებლობის) საფუძველზე (სუსგ 26.01.2021წ., №ბს-1112(კ-18)). საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მე-3 მუხლის „3¹⁵“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საჭიროება ესაა სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიზნების, ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტი და აუცილებლობა, რომლებსაც ადგენს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო“. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაგეგმვის საჭიროების დასადგენად გამოსაყენებელი პროპორციულობის პრინციპი შედგება 4 საფეხურისგან: 1) კანონიერი მიზანი; 2) შესაფერისობა/გამოსადგეგობა; 3) აუცილებლობა (პროპორციულობა ფართო გაგებით) და 4) თანაზომიერება (პროპორციულობა ვიწრო გაგებით). ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული ღონისძიება უნდა აკმაყოფილებდეს ოთხივე საფეხურის მოთხოვნებს იმისთვის, რომ იგი მიჩნეულ იქნეს შეზღუდვის პროპორციულად. დაუშვებელია კანონიერი მიზნის მიღწევა – საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება კერძო ინტერესის გადამეტებული შეზღუდვის ხარჯზე. ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება არაპროპორციული ღონისძიების არჩევისგან თავის შეკავების ვალდებულება. რომელიმე საფეხურის მოთხოვნებთან ღონისძიების შეუსაბამობის შემთხვევაში, იგი მიიჩნევა არაპროპორციულად და საჭირო აღარაა მომდევნო საფეხურის მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შემოწმება. თანაზომიერების მოთხოვნა ანიჭებს იმ პირს, რომელსაც შეეხო დაგეგმარება, უფლებას სამართლიან,

დაბალანსებულ შეფასებაზე, უკანასკნელის დარღვევა ანიჭებს მას საკითხის კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცულობის მოთხოვნაზე მითითების შესაძლებლობას, მესაკუთრეს ეძლევა სარჩელით მისი უფლების დაცვის, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის უფლება, კანონიერება ასეთ შემთხვევაში, სხვა მოთხოვნებთან ერთად ნიშნავს პროპორციულობის სახელმწიფო-სამართლებრივი პრინციპის მოთხოვნასთან შესაბამისობას. ადმინისტრაციული ორგანო, პროპორციულობის პრინციპის ოთხივე საფეხურზე, ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე (სზაკ-ის 96.1 მუხ.). გადაწყვეტილების მიმღებმა, სამართლებრივ საკითხზე დასკვნის გაკეთების მიზნით, უნდა გაითვალისწინოს საკითხისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და თავი შეიკავოს მნიშვნელობის არმქონე რომელიმე გარემოების გათვალისწინებისგან. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დარღვევად მიიჩნევა: ა) საკითხისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არ გათვალისწინება; ბ) საკითხისთვის მნიშვნელობის არმქონე გარემოების გათვალისწინება და ასევე გ) საკითხისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების სრული უარყოფა.

შეზღუდვა უნდა მოხდეს შესაბამისი ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობის პირობებში. შეზღუდვა უნდა ემსახურობოდეს ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს მიზნის მიღწევისთვის გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული საშუალება. მიზანი წარმოადგენს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს, რომლებმაც გარკვეულ გარემოებებში და თანაზომიერების პრინციპის დაცვით, შეიძლება გაამართლოს ინდივიდუალური უფლების შეზღუდვა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 17.11.2022წ. №1/9/1673,1681 გადაწყვეტილება საქმეზე „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). კანონიერი მიზნის საფეხურზე დგინდება სამართლებრივი ნორმით დაცული (დასაკმაყოფილებელი) საჯარო ინტერესი. ამ მიზნის ქვეშ მოაზრებული სიკეთე ნორმატიულად მონესრიგებადი და ფასეული უნდა იყოს. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი მიზანი და არა ისეთი, რომელიც გაუცხოებულია ნორმატიული ნებისგან და არ შეესაბამება მას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19.12.2008წ. №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაქის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართვე-

ლოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-9). თითოეულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოახდინოს საჯარო ინტერესის იდენტიფიცირება (დაკონკრეტება), განახორციელოს მისი ანალიზი (მაგ. სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა) და განსაზღვროს საჯარო ინტერესის ობიექტური ღირებულება (მაგ. მისი გაუთვალისწინებლობის შედეგები). სასამართლო ამონმებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასახელებული ინტერესის სამართლებრივი ნორმებით დაცულობას. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების განმარტებითი ბარათის მიხედვით, ...ის მიწათსარგებლობის გეგმა ერთ-ერთ მიზნად ისახავდა ტყის ფონდის დაზიანების თავიდან არიდებას. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილებით დამტკიცებული ...ის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების (დანართი №3) ალბომი №3-ით დამტკიცებული წესების მიზანია ...ის ტერიტორიის, როგორც საკურორტო-სარეკრეაციო ფუნქციის მქონე ობიექტების შენარჩუნება, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. დადგენილების მიზნებიდან გამომდინარე, ...ის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიის გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება, განაშენიანებული ტერიტორიების დეგრადირებული ურბანული ქსოვილის გაუმჯობესება, ხოლო გაუანაშენიანებელი ტერიტორიების განვითარება ჯანსაღი საცხოვრებელი, საკურორტო-რეკრეაციული ან/და სპორტულ გამაჯანსაღებელი ფუნქციით. სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მე-8 (სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპები) და 38-ე მუხლები (ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის ძირითადი პრინციპები) პირდაპირ მიუთითებენ ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის სფეროში დასაკმაყოფილებელ საჯარო ინტერესებზე. ამავე კოდექსის 8.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამშენებლო სფეროს ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნება და მდგრადი განვითარება, ამავე კოდექსის 38.1 მუხლის თანახმად, ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ლანდშაფტური სახის ესთეტიკური ხარისხის შენარჩუნებისა და ამაღლებისთვის ხელის შეწყობა. გარდა ამისა, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო იცავს ეროვნულ სიმდიდრეს – ტურისტულ და საკურორტო რესურსებს. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შე-

სახებ“ კანონის 4.1 მუხლის მიხედვით, კურორტებისა და საკურორტო ადგილებისათვის დგინდება სანიტარიული დაცვის ზონები, სადაც აკრძალულია სამუშაოები, რომლებიც აბინძურებს ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ზიანს აყენებს ტყეებსა და სხვა მწვანე ნარგავებს, იწვევს ეროზიულ პროცესებს, უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე და კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ მდგომარეობაზე. მითითებული კანონი განსაზღვრავს სანიტარიული დაცვის ზონის 3 სახეობას, სამშენებლო საქმიანობისთვის ყველაზე ნაკლებ შემზღუდავია მესამე ზონა. ამ ზონის ტერიტორიაზე დაშვებულია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც უარყოფითად არ იმოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე და ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე (9.2 მუხ.). საქმის მასალებში დაცულია ორთოფოტო, მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის მითითებით, ასევე ადგილზე გადაღებული ფოტოსურათები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ დაფარულია მწვანე ნარგავებით (თუმცა მათი რაოდენობა დაუზუსტებელია, საქმეში დაცულ აზომვით ნახაზზე მითითებული არაა ნაკვეთზე არსებული თითოეული ხის ადგილმდებარეობა) და უშუალოდ ესაზღვრება ინტენსიურად გამწვანებულ სივრცეს. საკასაციო პალატა დამატებით მოუთითებს, რომ საქმის მასალების მიხედვით, ინტენსიურად გამწვანებული სივრცე სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი ტერიტორიაა კოდით: განსახილველ შემთხვევაში დასაკმაყოფილებელი საჯარო ინტერესია ლანდშაფტის შენარჩუნება (როგორც მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ ინტენსიურად გამწვანებული სივრცის, ტყის, ასევე შესაძლოა თავად მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების) და ამით ...ის კლიმატური საკურორტო რესურსების დაცვა.

პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ლეგიტიმურ მიზანზე მითითება/მისი არსებობა, თავისთავად არ არის საკმარისი, ასევე სავალდებულოა, რომ შემზღუდველი ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება წარმოადგენდეს კანონიერი მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.05.2019წ. გადაწყვეტილება, საქმე №2/2/867, II-23). კანონიერი მიზნის მისაღწევად შერჩეული ღონისძიება შესაფერისი/გამოსადეგია მაშინ, როდესაც არსებობს ლოგიკური კავშირი კანონიერ მიზანსა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეულ ღონისძიებას შორის – ღონისძიება უნდა იძლეოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ფაქტობრივ შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ღონისძიება შეუფერებელი/გამოუსადეგარია. სასამართლო ამონმებს, რამდენად იძლევა ადმინის-

ტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული ღონისძიება მიზნის მიღწევის ფაქტობრივ შესაძლებლობას. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის კონკრეტულ ფუნქციურ ზონად განსაზღვრა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა¹. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილებით დამტკიცებული №3 დანართის – „...ის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 10.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ლანდშაფტის ფუნქციონირების უზრუნველყოფი ან საკულტო ან ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის საჭირო შენობა-ნაგებობისა. ამდენად, კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე სამშენებლოდ შეზღუდვების გავრცელებით უნდა მიიღწეოდეს კანონიერი მიზანი – ლანდშაფტის შენარჩუნება და ამით ...ის კლიმატური საკურორტო რესურსების დაცვა. მშენებლობის აკრძალვა გამორიცხავს ლანდშაფტის ფაქტობრივი მდგომარეობის გაუარესებას როგორც მშენებლობის პროცესით, ასევე ასაშენებელი შენობის ფუნქციონირებით.

გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლებად მზლუდავ) საშუალებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 17.10.2017წ. №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). აუცილებლობის კომპონენტი დამყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი იმავე ეფექტიანობით ვერ მიიღწევა სხვა, მნიშვნელოვნად ნაკლებად მზლუდავი საშუალებით. სწორედ თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნაა, რომ არ არსებობდეს დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად სხვა უფრო მნიშვნელოვნად ნაკლებად შემზღუდველი საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ სადავო რეგულირება იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის რეალიზაციისთვის, რაც პროპორციულობის პრინციპის საწინააღმდეგოა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 12.11.2020წ. №1/2/1475 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20; 17.11.2022წ. №1/9/1673,1681 გადაწყვეტილება საქმეზე „ლ. თოლორაია და სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-54). კანონიერი მიზნის მისაღწევად შერჩეული ღონისძიება აუცილებელია მაშინ, როდესაც არ არსებობს სხვა, შესაფერისი/გამოსადეგი ღონისძიება, რომელიც შერჩეულ ღონისძიე-

ბასთან შედარებით მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი იქნება კანონიერი კერძო ინტერესებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული ღონისძიება არაა აუცილებელი. თითოეულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოახდინოს კერძო ინტერესის იდენტიფიცირება (დაკონკრეტება), განახორციელოს მისი ანალიზი (მაგ. სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა) და განსაზღვროს კერძო ინტერესის ობიექტური ღირებულება (მაგ. მისი გაუთვალისწინებლობის შედეგები) და შემდგომ თავი შეიკავოს არააუცილებელი გადანაწევების შერჩევისგან. ადმინისტრაციული ორგანო ამომებს სხვა შესაფერისი/გამოსადეგი ღონისძიების არსებობას, რომელიც შერჩეულ ღონისძიებასთან შედარებით მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია კანონიერი კერძო ინტერესისთვის. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული ღონისძიების სადავოობის შემთხვევაში, სასამართლო აფასებს სადავო ღონისძიების აუცილებლობას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სასამართლოს მიერ პროპორციულობის პრინციპის აუცილებლობის საფეხურის გადამეტებულად მკაცრი კონტროლი შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში შეჭრის საფრთხეს, რის თავიდან ასაცილებლადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს შეზღუდვის ინტენსივობის ხარისხზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეულ ღონისძიებას უნდა შეეძაროს სხვა ღონისძიება, რომელიც არა უზრალოდ, არამედ მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია კერძო ინტერესებისთვის. აუცილებლობის საფეხურს მჭიდრო კავშირი აქვს შესაფერისობა/გამოსადეგობასთან, რის გამოც მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიების არსებობის შემთხვევაში იმავდროულად უნდა შემოწმდეს ამ ღონისძიების შესაფერისობა/გამოსადეგობა. უკეთეს კერძო ინტერესისთვის მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი ღონისძიება კანონიერი მიზნის მისაღწევად შეუფერებელი/გამოუსადეგარია, მაშინ იგი არ ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოს თავისუფლებას.

ამდენად, პროპორციულობის პრინციპის აუცილებლობის საფეხურზე ჯერ მოწმდება კერძო ინტერესისთვის მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი ღონისძიების არსებობა (1) და შემდგომ – ასეთი ღონისძიების შესაფერისობა/გამოსადეგობა (2). სზაკ-ის 53.4 მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება,

რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა სხვა გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის დასაბუთება (მაგ. კერძო ინტერესებისთვის მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი სხვა ღონისძიების საჯარო ინტერესის დასაკმაყოფილებლად შეუფერებლობის/გამოუსადეგრობის დასაბუთება). იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და ურთიერთშეჯერების თვალსაზრისით აუცილებლობის საფეხური ყველაზე მოცულობითი ეტაპია ღონისძიების პროპორციულობის განხილვის დროს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამშენებლო საქმიანობის მოწესრიგების სფეროში დაგეგმვის საჭიროების ღონისძიების აუცილებლობის გადასაწყვეტად მტკიცების საგანში შემავალი ნორმატიულად მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებებია: ა) მიწის ნაკვეთის იმ სამშენებლო ან არასამშენებლო ტერიტორიის საზღვრის განაპირას მდებარეობა, რომელიც დგინდება საქართველოს მთავრობის 15.01.2014წ. №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 7.5 მუხლის ან საქართველოს მთავრობის 03.06.2019წ. №260 დადგენილების №5 დანართის – „გეგმარებითი ერთეულები და მათი გამოყოფის წესის“ მე-10 პუნქტის საფუძველზე (სამშენებლო/არასამშენებლო ტერიტორიის საზღვრის განაპირას მიწის ნაკვეთის მდებარეობის დასადგენად მხედველობაში მიიღება თავად მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არსებული ფაქტობრივი მოცემულობა, ასევე მომიჯნავე და მიმდებარე სხვა მიწის ნაკვეთების ფუნქციური ზონა/ზონები); ბ) მშენებლობის პროცესით და/ან ასაშენებელი შენობის ფუნქციონირებით გამწვანებული ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის გაუარესების გარეშე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის არსებობა.

საქმის მასალებით არ დასტურდება ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შერჩეულ ღონისძიებასთან შედარებით მნიშვნელოვნად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი ღონისძიების კანონიერი მიზნის მისაღწევად შესაფერისობის/გამოსადეგობის შემოწმება, აღნიშნული სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების №3 დანართით დამტკიცებული „...ის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 1.1 მუხლის თანახმად, ...ის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები შედგენილია მათ შორის საქართველოს მთავრობის 15.01.2014წ. №59 დადგენილებით დამტკიცებული

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ მოთხოვნათა შესაბამისად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქართველოს მთავრობის 15.01.2014წ. №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 12.23 მუხლის მიხედვით, თუ კონკრეტული მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტ კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლო საქმიანობის მიზნით განვითარებისას არცერთი ამ ფუნქციური ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს. იმავე შინაარსის მონესრიგებას შეიცავს საქართველოს მთავრობის 03.06.2019წ. №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 3.6 მუხლი, რომლის თანახმად, თუ კონკრეტული მიწის ნაკვეთი ერთდროულად ხვდება როგორც სამშენებლო, ისე არასამშენებლო ტერიტორიაზე, მაშინ მისი სამშენებლო საქმიანობის მიზნით განვითარებისას არცერთი ტერიტორიის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს. ამდენად, სავალდებულო არაა მიწის ნაკვეთის მთლიან ფართზე მხოლოდ ერთი ფუნქციური ზონის გავრცელება, არამედ შესაძლებელია მიწის ნაკვეთის ორ ან მეტ, მათ შორის როგორც სამშენებლო, ასევე არასამშენებლო ფუნქციურ ზონებში მოქცევა. მიწის ნაკვეთზე ორი ან მეტი ფუნქციური ზონის გავრცელებას განაპირობებს ის გარემოება, რომ ფუნქციურ ზონებად იყოფა არა ინდივიდუალური მიწის ნაკვეთები, არამედ დასახლების ტერიტორია, რომლის სამშენებლო/არასამშენებლო საზღვრები შესაძლოა არ დაემთხვეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს. სადავო აქტის გამოცემის მომენტში მოქმედი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის 27.1 მუხლის თანახმად, დასახლებათა მიწათსარგებლობის (უფლებრივი ზონირების) დაგეგმვის არსია დასახლების ტერიტორიის დაყოფა ერთგვაროვანი მახასიათებლების მქონე მიწათსარგებლობის ზონებად (ქვეზონებად), კონკრეტული ზონების (ქვეზონების) საზღვრების დადგენისას პირველ რიგში გამოიყენება არა ინდივიდუალური მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები, არამედ მაგ. ბუნებრივი და ხელოვნური საზღვრები/მიჯნები, საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, სანარმოო, სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრები და ა.შ. (საქართველოს მთავრობის 15.01.2014წ. №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 7.5 მუხლის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, იგივე მონესრიგებას ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 03.06.2019წ. №260 დადგენილების №5 და-

ნართის – „გეგმარებითი ერთეულები და მათი გამოყოფის წესის“ მე-10 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები). საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ინტენსიურად გამწვანებული ტერიტორიის მომიჯნავედ და თავად მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ, მაგრამ არა სრულად, დაფარულია მწვანე ნარგავებით. ადმინისტრაციული ორგანო არ უთითებს მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობის ინტენსიურად გამწვანებულ ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ. ამასთან, კასატორი – შპს „ა...ი“ უთითებს, რომ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი უშუალოდ ემიჯნება სამშენებლო ტერიტორიას (საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 1), რასაც ადმინისტრაციული ორგანო არ უარყოფს. ამდენად, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მისი ფართობის სიდიდისა (8693 კვ.მ.) და კონფიგურაციის გათვალისწინებით, მდებარეობს ერთი მხრივ ბუნებრივი საზღვრის (ინტენსიურად გამწვანებული სივრცის) და მეორე მხრივ სამშენებლო ტერიტორიის საზღვრის განაპირას. აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, თავდაპირველად ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას, ხოლო საქმის სააპელაციო წესით განხილვის ეტაპზე შესაფასებელად მნიშვნელოვანი გარემოება იყო გამწვანებული ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის გაურესების გარეშე მიწის ნაკვეთის (მათ შორის მისი ნაწილის) სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით არ არის გამორიცხული ნაკვეთის ნაწილზე სამშენებლო ფუნქციური ზონის გავრცელების შესაძლებლობა, ნაკვეთის დანარჩენ ნაწილზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის შენარჩუნებით. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული „...ის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებით, „აუცილებელია სატყეო ტერიტორიებს მიენიჭოს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობა“. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კასატორი მიუთითებს, რომ გამწვანებული ტერიტორიის შესანარჩუნებლად „აუცილებელი არ იყო“ ასეთი ინტენსივობით საკუთრების უფლებაში ჩარევა, რადგან მიწის ნაკვეთის ფართობი, რელიეფი და კონფიგურაცია იძლევა კოტეჯების მშენებლობის შესაძლებლობას ისე, რომ შენარჩუნდეს როგორც თავად ნაკვეთზე, ასევე ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული მწვანე ნარგავები. ამდენად, მოცემულ საქმეზე სადავო მტკიცებულებითი ფაქტია გამწვანებული ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობის გაურესების გარეშე კონკრეტული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

განვითარების შესაძლებლობის არსებობა.

სადავო მტკიცებულებითი ფაქტის გამოკვეთის შემდეგ, საქმის სწორად გადაწყვეტა დამოკიდებულია მტკიცების ტვირთის კანონმდებლობის შესაბამისად გადანაწილებაზე. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსარჩელე და მოპასუხე მხარეს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება მონესრიგებულია ასკ-ის მე-17 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით. მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ უნდა იქნეს გაგებული პროცესუალური მონინაალმდეგე მხარის – მოსარჩელის მიერ სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან გათავისუფლება. კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან. სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს (სუსგ 05.03.2020წ., №ბს-620(კ-19)). სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა იქნეს განაწილებული, რომ მხარეებს დაეკისროთ იმ ფაქტების არსებობის მტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია (სუსგ 11.03.2021წ., №ას-1376-2020). მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ კონკრეტული მინის ნაკვეთი ემიჯნება ინტენსიურად გამწვანებულ სივრცეს (სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალ ტერიტორიას კოდით: ...) და უშუალოდაც ნაწილობრივ დაფარულია მწვანე ნარგავებით, რის გამოც საქართველოს კონსტიტუციის 19.2 მუხლისა და 29.1 მუხლის პირველი წინადადებისა და 29.2 მუხლის საფუძველზე, დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა. 22.05.2020წ. ტყის კოდექსის ამოქმედებამდე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდი მიიჩნევა სახელმწიფო ტყედ, რომლის საზღვრები დადგენილია „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 04.08.2011წ. №299 დადგენილებით (22.05.2020წ. ტყის კოდექსის 96.1 მუხ.). აკრძალულია ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ტყის განადგურებას (22.05.2020წ. ტყის კოდექსის 72.1 მუხ.). ტყის განადგურების გამოწვევად მიიჩნევა ქმედება, რომელიც: ა) იწვევს ტყის ნიადაგის საშუალო ან საშუალოზე მეტ დეგრადაციას; ბ) ტყის ნიადაგს უქმნის მენყრული ან ეროზიული პროცესების აშკარა საფრთხეს; გ) შეუძლებელს ხდის ტყის დროულ აღდგენა-გაშენებას; დ) დაუცველს ხდის ხეებს - ხელს უშლის მათ ზრდას ფართოდ გავრცელებული საფრთხეების (ქარი, ხანძარი, ბიოლოგიური და ქიმიური პრეპარატების გამოყენება, ტყის

მაგნებელ-დაავადებების გავრცელება, ნებისმიერი დაბინძურება) ზემოქმედების გამო. მოსარჩელე სადავოდ არ ხდის მინის ნაკვეთის ინტენსიურად გამწვანებული სივრცის (ტყის) მომიჯნავედ მდებარეობას, თუმცა მიუთითებს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვის აუცილებლობას/საჭიროებას გამორიცხავს ის ფაქტი, რომ მის საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე შესაძლებელია კოტეჯების მშენებლობა კურორტის ტერიტორიაზე გამწვანებული სივრცის დაზიანების გარეშე. კასატორი აღნიშნავს, რომ მისი კუთვნილი მინის ფართობი შეადგენს 8693 კვ.მ, იგი დაფარულია ბალახით, ნაკვეთზე სულ 2-3 ხე მდებარეობს, ნაკვეთის რელიეფი და კონფიგურაცია იძლევა არათუ მეზობლად მდებარე ტყის მასივის, არამედ კასატორის საკუთრებაში მყოფი მინის ნაკვეთზე მდებარე მწვანე ნარგავების შენარჩუნების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოსგან განსხვავებით, მხოლოდ მოსარჩელისთვისაა ცნობილი იმ სამშენებლო საქმიანობის სახეობა და მოცულობა, რომელთა განხორციელებაც მისი მოსაზრებით საკუთარ მინის ნაკვეთზე შესაძლებელია გამწვანებული ტერიტორიის დაზიანების გარეშე. უდავოა უძრავი ნივთის გამწვანებულ სივრცესთან მდებარეობა, ამასთანავე შესაძლო მშენებლობის ფარგლები მხოლოდ კერძო მესაკუთრისთვისაა ცნობილი, ამდენად, შეზღუდვის დასაშვებობის გამომრიცხავი ფაქტის – ტყის დაზიანების გარეშე მშენებლობისა და შენობის ფუნქციონირების შესაძლებლობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეს ეკისრება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო მტკიცებულებითი ფაქტის არსებობის დასადასტურებლად საკმარისი არაა მოსარჩელის ახსნა-განმარტება. სსკ-ის 102.3 მუხლის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მშენებლობის პროცესითა და ასაშენებელი შენობის ფუნქციონირებით გამწვანებული ტერიტორიის ფაქტობრივ მდგომარეობაზე ზემოქმედების შეფასება საჭიროებს სპეციალურ ცოდნას სამშენებლო საქმიანობასა და გარემოს დაცვის სფეროში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მშენებლობა განხრახულია კურორტის ტერიტორიაზე ინტენსიური გამწვანებული სივრცის (ტყის) მომიჯნავედ. ამდენად, გამწვანებული ტერიტორიის დაუზიანებლად კერძო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის განაშენიანების შესაძლებლობა უნდა დადასტურდეს ექსპერტის დასკვნით და არა მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტებით. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ექსპერტიზის ჩატარება სამართლებრივად შესაძლებელია როგორც სასამარ-

თლოს, ასევე მხარის მიერ. სსკ-ის 162.1 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამავე კოდექსის 162.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნის მოსამზადებლად საჭირო ინფორმაციას/მონაცემებს (მშენებლობის სახეობასა და მოცულობას) განსაზღვრავს და ფლობს მოსარჩელე მხარე და არა ასევე სასამართლო, საქსპერტო დასკვნის წარმოდგენა მხოლოდ კერძო მესაკუთრის აქტივობის პირობებშია შესაძლებელი, რის გამოც მისი წარმოდგენის საპროცესო ვალდებულება ეკისრება მოსარჩელე მხარეს. ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკითხის არც ადმინისტრაციული წარმოების და არც სააპელაციო სასამართლოწარმოების წესით განხილვის ეტაპზე სრულყოფილად არ შემოწმებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული ღონისძიების აუცილებლობა (დაგეგმვის საჭიროება), რადგან დაინტერესებულ მხარეს არ მიეცა მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა. საქმის ხელახალი განხილვისას მოსარჩელე მხარეს უნდა მიეცეს საშუალება წარმოადგინოს საექსპერტო დასკვნა მშენებლობის პროცესით და/ან ასაშენებელი შენობის ფუნქციონირებით ინტენსიურად გამწვანებული ტერიტორიის, ტყის ფაქტობრივი მდგომარეობის გაუარესების გარეშე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობის საკითხთან დაკავშირებით.

კანონიერი მიზნის მისაღწევად შერჩეული ღონისძიება არაა თანაზომიერი, როდესაც პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით მისაღებ სიკეთეს (სზაკ-ის 7.1 მუხ.). ამ საფეხურზე განიხილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩეული ღონისძიებით კერძო სუბიექტისთვის დაკისრებული სამართლებრივი ტვირთის სიმძიმესა და დასაკმაყოფილებელი საჯარო ინტერესის ობიექტურ ღირებულებას შორის დამოკიდებულება. ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი გადაწყვეტილების შერჩევისგან, რომელიც არ აკმაყოფილებს სავალდებულო ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის (ინტერესისთვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატე-

ბა მისაღებ სიკეთეს). ამასთან, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმას, რომ საჯარო მმართველობისთვის დამახასიათებელია პირთა ფართო წრის ინტერესებზე ზეგავლენის მქონე ღონისძიებების გატარება, რა დროსაც არაა გამორიცხული, რომ კანონიერი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყოს მხოლოდ ისეთი ღონისძიების გამოყენებით, რომელიც არსებით ზიანს აყენებს ერთეული პირის ან პირთა ჯგუფის კერძო ინტერესს (სუსგ 02.03.2022წ., №ბს-129(კ-19)). ასეთ შემთხვევაში, სავალდებულო ბალანსის დაცვა მიიღწევა განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლისთვის სამართლებრივი ტვირთის შემცირებით, კერძოდ შეზღუდვის რაიმე ფორმით შემსუბუქებით, მაგ. ქონებრივი კომპენსაციით, რაც განაპირობებს შემზღუდავი ღონისძიების კანონიერად მიჩნევას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 23.09.1982წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ“, (Sporrong and Lönnroth v. Sweden), §73, №7151/75, №7152/75). საქართველოს კონსტიტუციის ამჟამად მოქმედი რედაქცია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავს საჯარო ინტერესების გამო საკუთრების უფლების შეზღუდვას (19.2 მუხ.) და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო საკუთრების უფლების ჩამორთმევას (19.3), (მანამდე მოქმედი კონსტიტუციის 21-ე მუხლის რედაქცია საკუთრების უფლების შეზღუდვასაც და ჩამორთმევასაც უკავშირებდა ერთსადაიმავე ტერმინს – „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, უფლების შეზღუდვა უნდა ემსახურობდეს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, მისი არსებობა იძლევა საკუთრების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმაციას (27.12.2013წ. №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გ. აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). კონსტიტუცია არ იძლევა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ დეფინიციას, ამ ცნების შინაარსის განსაზღვრა ცალკეულ შემთხვევაში დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებლობის პეროგატივას წარმოადგენს და მისი შინაარსი ცვალებადია აქტუალური პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად (26.06.2012წ. №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59). იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება მოითხოვს იმგვარ შეზღუდვას, რომელიც საკუთრების უფლებას არსს უკარგავს, შესაძლებელია საკუთრების უფლების ჩამორთმევა 19.3 მუხლში განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, სამართლიანი ანაზღაურების სანაცვლოდ – ექსპროპრიაციის გზით. ამდენად, საკუთრების ჩამორთმევისას აუ-

ცილებელი არის წინასწარი, სრული და სამართლიანი კომპენსაცია, შეზღუდვისას კონსტიტუცია პირდაპირ არ ითვალისწინებს ანაზღაურების აუცილებლობას, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც შესაძლოა სახელმწიფოს დაეკისროს კომპენსაციის ვალდებულება საჯარო ინტერესების გამო საკუთრების უფლებაში ჩარევის დაბალანსების მიზნით. კომპენსაციის მექანიზმის არსებობა გამორიცხავს საკუთრების უფლების არსის რღვევას მიწის ნაკვეთის არასამშენებლო ტერიტორიად მიწნევის შემთხვევებისთვის, როდესაც შეზღუდვა საჭიროა/აუცილებელია საჯარო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპენსაციის მექანიზმს განსაკუთრებული ქონებრივი მსხვერპლისთვის ტვირთის შემცირების მიზნით. სზაკ-ის 209.1 მუხლის თანახმად, თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი. დაინტერესებული მხარე თავდაპირველად მიმართავს ღონისძიების განმმხორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე წერილობითი ან ე.წ. ვირტუალური უარის (სზაკ-ის 177.2 მუხ.) მიღების შემდეგ, საერთო წესის მიხედვით, დასაშვებია იქნება მავალბელი სარჩელით მოთხოვნის წარდგენა ასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე (სუსგ №ბს-616(კ-19), 25.01.2021წ.). განსახილველ შემთხვევაში, სზაკ-ის 209.1 მუხლით გათვალისწინებულმა სამართლებრივმა მექანიზმმა შესაძლოა მნიშვნელობა შეიძინოს, უკეთუ დასტურდება მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციურ ზონად ლანდშაფტური ტერიტორიის დაგეგმვის საჭიროება (ღონისძიების აუცილებლობა). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაძლებელია მესაკუთრეს მხოლოდ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების ინტერესი ჰქონდეს და არ აირჩიოს კომპენსაციის მიღება. ვინაიდან საჯარო მმართველობა დაკავშირებულია არა განცალკევებულ, არამედ სოციალური ურთიერთობების მონესრიგებასთან, საჯარო ინტერესს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ინდივიდის ინტერესთან შედარებით. ღონისძიების კანონიერება დამოკიდებულია არა კერძო სუბიექტის არჩევანზე, არამედ ღონისძიებით პროპორციულობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამდენად, ტერიტორიის სივრცით-ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის პოლიტიკის, პრიორიტეტების განსაზღვრისთვის გადამწყვეტია საჯარო ინტერესი (საქართველოს კონსტიტუციის

19.2 მუხ.) და არა კერძო მესაკუთრის არჩევანი კომპენსაციის მიღება-არმიღებაზე, კომპენსაციის მექანიზმის გამოყენება მესაკუთრის კერძო ავტონომიაა.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება პირობითი კოეფიციენტის გამოყენების შესაძლებლობაზე. მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის სააპელაციო სასამართლოს მითითება პირობითი კოეფიციენტზე. შემზღუდავი ღონისძიების თანაზომიერად მიჩნევისთვის, კომპენსაციის მექანიზმის არსებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სავალდებულო არასამშენებლო მიწის ნაკვეთის პირობითი კოეფიციენტის გამოყენების შესაძლებლობის, როგორც კომპენსაციის მექანიზმის, შეფასება. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების №3 დანართით დამტკიცებული „...ის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ ითვალისწინებენ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტისა (კ-2) და პირობითი კოეფიციენტის ცნებებს. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 განსაზღვრავს ცალკეულ ზონაში, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ, შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სართულების იატაკის ზედაპირების ჯამურ ფართობს (7.1 მუხ.). კ-2 არის შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სართულების იატაკის ზედაპირების ჯამური ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი (7.2 მუხ.). განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი ადგენს ასაშენებელი შენობის ფართობის მაქსიმალურ ზღვარს. საშენებლო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტისგან განსხვავდება არასამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის პირობითი კოეფიციენტი. პირობითი კოეფიციენტი ესაა კოეფიციენტი, რომელიც მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს ...ის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ სხვა სამშენებლო მიწის ნაკვეთის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების შეცვლის მიზნით („რეგულირების წესების“ მე-2 მუხ. „პ“ ქვ.პ.). პირობითი კოეფიციენტი გამოიყენება საპროექტო ტერიტორიის განვითარებისთვის („რეგულირების წესების“ 14.2 მუხ. „გ“ ქვ.პ.). არასამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის პირობითი კოეფიციენტი შესაძლოა დაემატოს სამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს, კერძოდ: თუ არასამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთს პირობითი კოეფიციენტად გან-

საზღვრული აქვს 0.3, ხოლო სამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი 0.2, მაშინ მითითებული კოეფიციენტები იკრიბება და სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი იქნება – 0.5 (შდრ. საქართველოს მთავრობის 06.03.2018წ. №117 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი). აღნიშნული სამართლებრივი საშუალება იძლევა სამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე არაუმეტეს 500 კვ.მ. ფართის შენობის აშენების სამართლებრივ შესაძლებლობას ($1000 \times (0.2 + 0.3) = 500$) ნაცვლად 200 კვ. მეტრისა ($1000 \times 0.2 = 200$). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პირობითი კოეფიციენტი გამოიყენება მხოლოდ პირობითი კოეფიციენტის მქონე მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შემდეგ (რეგულირების წესების 14.2 მუხ. „გ“ ქვ.პ.). იმისთვის, რომ კერძო სუბიექტმა პრაქტიკული ქონებრივი სარგებელი მიიღოს პირობითი კოეფიციენტის გამოყენებით იგი იძულებულია ან გაასხვისოს არასამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე, პირობითი კოეფიციენტის მქონე მიწის ნაკვეთი სხვა კერძო სუბიექტზე ან მიატოვოს საკუთრება არასამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე, პირობითი კოეფიციენტის მქონე მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამდენად, უკეთეს მესაკუთრე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას არასამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე, პირობითი კოეფიციენტით იგი ვერ მიიღებს პრაქტიკულ ქონებრივ სარგებელს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 02.12.2019წ. №591 დადგენილებით დამტკიცებული „...ის სარეკრეაციო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის განაშენიანების მართვის რეგლამენტის“ 7.3 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის პირობითი კოეფიციენტი 0.1, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მესაკუთრისთვის პირობითი კოეფიციენტის გამოყენების შესაძლებლობის მიცემა წარმოადგენდა მისთვის დაკისრებული სამართლებრივი ტვირთის შემცირების საშუალებას. საკასაციო პალატა არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ პირობითმა კოეფიციენტმა შესაძლოა შეამციროს მესაკუთრეზე დაკისრებული სამართლებრივი ტვირთი მხოლოდ უძრავი ნივთის გასხვისების შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება იზრდება პირობითი კოეფიციენტის არსებობის გამო, თუმცა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შენარჩუნების შემთხვევაში, პირობითი კოეფიციენტის გამოყენება მესაკუთრისთვის შეუძლებელია და შესაბამისად მითითებული სამართლებრი-

ვი საშუალება ამ ფორმით არ ახდენს სამართლებრივი ტვირთის შემცირებას. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში 0.1-ის ოდენობით პირობითი კოეფიციენტის მოსარჩელის კუთვნილი მინის ნაკვეთისთვის მინიჭებით ხდება იმ ტვირთის კომპენსაცია, რომელსაც მას დაწესებული სამშენებლო შეზღუდვა აკისრებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამშენებლო შეზღუდვის დაწესება ამცირებს მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, რადგან კლებულობს მესაკუთრისა და სხვა კერძო პირების ინტერესი სამშენებლოდ შეზღუდული მინის ნაკვეთის მიმართ. აღნიშნულის საპირისპიროდ პირობითი კოეფიციენტით იზრდება მინის ნაკვეთთან დაკავშირებული ინტერესი (კერძო პირებს მიეცემათ სხვა, სამშენებლო ტერიტორიაზე მდებარე მინის ნაკვეთისთვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მომატებისა და უფრო მეტი ფართის მქონე შენობის აშენების უფლება), რაც ზრდის სამშენებლო შეზღუდვადაწესებული მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას. შესაბამისად, ერთი მხრივ, მცირდება მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება მასზე სამშენებლო შეზღუდვის დაწესებით, მეორე მხრივ, იზრდება – მისთვის პირობითი კოეფიციენტის მინიჭებით. უკეთეს შეზღუდვის დაწესება აუცილებელია/საჭიროა (პროპორციულობა ფართო გაგებით), მაშინ შეზღუდვის დაწესებით შემცირებულ საბაზრო ღირებულებას და პირობითი კოეფიციენტით მომატებულ საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობა არ უნდა იყოს არსებითი (სზაკ-ის 7.1 მუხ.), რათა სამშენებლო შეზღუდვა მიჩნეულ იქნეს თანაზომიერად (პროპორციულად ვიწრო გაგებით), შესაბამისად, ასეთ დროს პირობითი კოეფიციენტი დასაშვებია ჩაითვალოს კომპენსაციის მექანიზმად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, სამშენებლო შეზღუდვის დაწესების აუცილებლობის, ასევე (აუცილებლობის დადგენის შემთხვევაში) მინის ნაკვეთისთვის პირობითი კოეფიციენტად 0.1-ის განსაზღვრით სამშენებლო შეზღუდვის კომპენსაციის თანაზომიერების გამოკვლევა ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების წესების შესაბამისად (საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებასთან დაკავშირებით მხარისთვის დამატებითი ინფორმაციის და/ან მტკიცებულების წარმოდგენის შეთავაზება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დავალება, ადმინისტრაციულ სასამართლოწარმოებაში ინკვიზიციურობის პრინციპთან დაკავშირებით შდრ. სუსგ 18.10.2022წ., №ბს-376(კ-22)). ამდენად, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოცემულ შემთხვევაში, სამშენებლო შეზღუდვადაწესებული მინის ნაკვეთისთვის პირობითი

კოეფიციენტად 0.1-ის განსაზღვრის კომპენსაციის საშუალებად მიჩნევის შესახებ. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობა (სზაკ-ის 209.1 მუხ.) ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კომპენსაციის გაცემის ვალდებულების წარმოშობას სამშენებლო შეზღუდვით კერძო მესაკუთრისთვის ინდივიდუალური და გადამეტებული ტვირთის დაკისრების გამო, კომპენსაციის მექანიზმის არსებობა განაპირობებს ასეთი ტვირთის კანონიერად მიჩნევას („სპორონგი და ლონროთი შევდეთის წინააღმდეგ“ („Sporrong and Lönnroth v. Sweden“), §73, პირველი წინადადება, №7151/75, №7152/75, 23.09.1982წ.). სზაკ-ის 209.1 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მექანიზმის გამოსაყენებლად დაინტერესებული მხარე თავდაპირველად მიმართავს ღონისძიების განმახორციელებელს კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით, რომლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაც შესაძლოა გასაჩივრდეს საერთო წესების მიხედვით (შდრ. სუსგ №ბს-616(კ-19), 25.01.2021წ.).

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება სამშენებლო შეზღუდვის დაწესებით თანასწორობის პრინციპის დარღვევის შესახებ. დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისაგან განსხვავდება დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. თანასწორობა არ გამოირიცხავს სუბიექტების მიმართ დიფერენცირებულ მოწესრიგებას. თანასწორობა მოითხოვს ერთი მხრივ არსებითად თანასწორი პირობების მიმართ თანასწორ მოპყრობას და მეორე მხრივ, არსებითად უთანასწორო პირობების მიმართ უთანასწორო მოპყრობას. არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები. ამდენად, სუბიექტებს შორის თანასწორობის დაცვის შემომწმებისას, დიფერენცირების არსებობასთან ერთად, აუცილებელია განისაზღვროს, რამდენად არიან შესაძარებელი პირები არსებითად თანასწორი სუბიექტები. კასატორის მოსაზრებით, თანასწორობის პრინციპი ირღვევა იმით, რომ სხვა, იდენტური მიწის ნაკვეთები (სულ 9 ს/კ მქონე მიწის ნაკვეთი), რომლებიც ასევე დაფარულია მწვანე ნარგავებით, მოქცეულია სამშენებლო ტერიტორიაზე განსხვავებით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისგან. საკასაციო პალატა თვლის, რომ მიწის ნაკვეთების იდენტურად მიჩნევისთვის საკმარისი არაა მათზე მწვანე ნარგავების არსებობა. უძრავი ქონების ფაქტობრივი მდგომარეო-

ბიდან გამომდინარე ყველა მიწის ნაკვეთი არაა იდენტური. სხვაობის არსებობის გამო დასაშვებია, რომ ერთი ცალკე არსებული, კონკრეტული მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი საკუთრების უფლების ფარგლები იდენტურად არ ემთხვეოდეს სხვა მიწის ნაკვეთისთვის განსაზღვრულ საკუთრების უფლების ფარგლებს (როგორც აღინიშნა, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მესაკუთრეს წარმოეშვას კომპენსაციის, მაგრამ არა მიწის ნაკვეთის უცილობლად სამშენებლოდ გამოყენების მოთხოვნა). გამწვანებული ტერიტორიის მიუხედავად, დასაშვებია, რომ მიწის ნაკვეთის ფართობისა და კონფიგურაციის გათვალისწინებით, შესაძლებელი იყოს მწვანე ნარგავების დაზიანების გარეშე მიწის ნაკვეთზე მშენებლობა და შენობის ფუნქციონირება, რასაც თავად კასატორიც აღნიშნავს. ასკ-ის 17.1 მუხლისა და სსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსარჩელეა ვალდებული დაასაბუთოს სარჩელი მასში იმ კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების მითითებით, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას (ფაქტის მითითების ტვირთი). მოსარჩელე შპს „ა...“ არ უთითებს სხვა ისეთ ფაქტზე (მიწის ნაკვეთების ფართობის, კონფიგურაციის, რელიეფის და სხვა შესაძარებელი მონაცემების არსებითად იდენტურობაზე), რომელიც შესაძარებელ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის არსებით იდენტურობას დაადასტურებდა.

საფუძველს მოკლებულია კასატორის მითითება სკ-ის 170.1 მუხლზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბაზილად ცნობის საფუძველს არ ქმნის სამოქალაქო კოდექსის 170.1 მუხლი, რომლის თანახმად მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სკ-ს 170.1 მუხლის იმ დანაწესზე, რომელიც ითვალისწინებს დათქმას ნივთის ფლობისა და სარგებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებით, კერძოდ დათქმის თანახმად ნივთით თავისუფალი ფლობა და სარგებლობა უნდა განხორციელდეს „კანონისმიერი ... შებოჭვის ფარგლებში“. მითითებული მუხლი გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლთან ერთობლიობაში, რომლის მიხედვით ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. საქართვე-

ლოს მთავრობის დადგენილებებით მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონირება არის არა კერძო, არამედ საჯარო ხასიათის ურთიერთობა. ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ საკუთრების უფლების შეზღუდვის დაწესების, კანონისმიერი შეზღუდვის უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს კონსტიტუციის 19.2 მუხლი, რომლის საფუძველზე დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა საჯარო ინტერესებისთვის. თავისმხრივ საჯარო ინტერესი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის ძირითად უფლებასთან. ამდენად, მმართველობითი ღონისძიების შერჩევისას ადმინისტრაციული ორგანოსთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილება შეზღუდულია არა კერძო ურთიერთობის მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის 170.1 მუხლით, არამედ კონსტიტუციური რანგის მქონე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე პროცესულობის პრინციპით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.07.2020წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პენიტენციური სამსახურის აღმშენებლობა საბჭოს აქტის კანონიერება

**სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით
შეცვლაზე უარის თქმის თაობაზე ადმინისტრაციული
აქტის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1465(კ-22)

21 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაევალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 3 დეკემბრის №03/21/შ/პ-0653 გადაწყვეტილება; ბ) დაევალოს მოპასუხე სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ე.გ-ის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

სარჩელის თანახმად, ე.გ-ე მსჯავრდებულია გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის განაჩენით სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. აღნიშნული განაჩენი ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო (16.04.2015წ.) და საქართველოს უზენაესი (19.11.2015წ.) სასამართლოების გადაწყვეტილებებით. სასჯელის ათვლა დაიწყო 2013 წლის 24 სექტემ-

ბრიდან. 2015 წლის აგვისტოდან სასჯელს იხდის №... პენიტენციურ დაწესებულებაში. ე. გ-მ სასჯელის 2/3 მოიხადა ჯერ კიდევ 2020 წლის 24 მაისს. აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ადრე ნასამართლობისა და სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური სასჯელის ქონის მოტივით. გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს არ გაუთვალისწინებია მსჯავრდებულის სასარგებლო ფაქტორები, კერძოდ, მსჯავრდებულისათვის განსაზღვრული რისკი არ არის მაღალი, რადგან იგი ჩარიცხულია №... დაწესებულებაში, ხასიათდება დადებითად, მიღებული დისციპლინური სასჯელი დიდი ხნის წინ არის გაქარწყლებული, მსჯავრდებულს შეეხება არა აქვს კრიმინალურ სამყაროსთან, ეწევა ეკლესიურ ცხოვრებას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ე.გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 3 დეკემბრის №03/21/შ/პ-0653 გადაწყვეტილება; დაევალა მოპასუხე სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ე.გ-ის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

პატიმრობის კოდექსის 41-ე, 43-ე მუხლებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ პირველ მუხლზე, მე-6, მე-7, მე-10, მე-13 მუხლებზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ნოტარიულად დამოწმებული პოზიცია პრეტენზიის არქონასთან დაკავშირებით, ასევე გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში ჩართული იყო ეკლესიის მშენებლობის პროცესში, თუმცა საბჭომ ყურადღება გაა-

მახვილა იმ გარემოებაზე, რომ ე. გ-ის მიერ პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, განზრახ მკვლელობა. მსჯავრებული სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი იყო დისციპლინური წესით და ნასამართლობის მქონეა. საბჭომ მიიჩნია, რომ მოცემულ ეტაპზე, ამ კრიტერიუმების თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადანონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლებზე, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შებოჭილ თავისუფლებას, ვინაიდან აღნიშნული ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც ერთი მხრივ, კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მოწესრიგებით, თუმცა შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმის მიზნითა და ფარგლებით. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სრული სასამართლო კონტროლი გამოიწვევდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას, სასამართლო კონტროლის მოცულობა შეზღუდულია იმ გარემოებების შემთხვევებით, არსებობდა თუ არა დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში, ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს, რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული

აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

სასამართლოს განმარტებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, სასჯელის მიზნის მიღწევადობასა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხებს. სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების მე-13 მუხლით დადგენილ ყველა კრიტერიუმის გამოკვლევას, ამ კრიტერიუმების ურთიერთშეპირისპირებასა და მათი პრიორიტეტების დადგენას. თითოეული კრიტერიუმის შეფასებისას, მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის გადამწყვეტისას, მნიშვნელოვანია საბოლოოდ დადგინდეს გამოსწორებულია თუ არა მსჯავრდებულის მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით და მისი გამოსწორებისათვის საჭირო არის თუ არა დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა პენიტენციურ დაწესებულებაში. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე განიცდის და ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. მისი სამომავლო გეგმები უკავშირდება ოჯახს და დასაქმებას. დაწესებულებაში იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს და კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობაში თავაზიანია. მხედველობაშია მისაღები, ასევე, რომ დაზარალებულ მ. მ-ის უფლებამონაცვლეს ე. გ-ის მიმართ რაიმე მატერიალური ან სამართლებრივი პრეტენზია არ გააჩნია და თანხმობას აცხადებს, რომ ე. გ-ის მიმართ გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათი. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ე. გ-ე აქტიურად იღებდა მონაწილეობას ეკლესიის მშენებლობის პროცესში. ზემოაღნიშნული გარემოებები, იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა წინააღმდეგობაში არ მოდის სასჯელის მიზანთან. მოსარჩელის გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მთლიანად მოხდა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე, ქმნის ე. გ-ის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საფუძველს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის

აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, ამავე კოდექსის 43-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ნაწილებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ 1.1 მუხლსა და 13.1 მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლებზე და განმარტა, რომ შუამდგომლობის განხილვისას საბჭომ უნდა გაითვალისწინოს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური მდგომარეობა, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და ნასამართლობის ფაქტზე მითითება და ამ მოტივით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ნიშნავს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლას. კანონი ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტების შემთხვევაში, შესაბამისი პირობების არსებობისას, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან, საბჭო წარმოადგენს სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის შექმნის მიზანს წარმო-

ადგენს აგრეთვე ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს საკმარის მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის უარყოფითად გადანყვევების დასაბუთებასთან დაკავშირებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გაამახვილა ყურადღება მოსარჩელის პოზიციაზე, კერძოდ, მოსარჩელე განიცდის და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მისი სამომავლო გეგმები უკავშირდებოდა ოჯახს და დასაქმებას. ასევე საყურადღებოა, რომ ე. გ-ე დაწესებულებაში იცავდა სარეჟიმო მოთხოვნებს და კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან ურთიერთობაში იყო თავაზიანი. დადგენილია, რომ დაზარალებულ მ. მ-ის უფლებამონაცვლეს ე. გ-ის მიმართ რაიმე მატერიალური ან სამართლებრივი პრეტენზია არ გააჩნია და თანხმობას აცხადებს, რომ ე. გ-ის მიმართ გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათი. დადგენილია ასევე, რომ ე. გ-ე აქტიურად იღებდა მონაწილეობას ეკლესიის მშენებლობის პროცესში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1 მუხლი, მართებულად ცნო ბათილად გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მართებულად დაავალა მოპასუხე (აპელანტი) ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ე. გ-ის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვევითი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით, ის, რომ წარმოადგინა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ნოტარიულად დამოწმებული პოზიცია პრეტენზიის არქონასთან დაკავშირებით, სასჯელის მოხდის პერიოდში ჩართული იყო ეკლესიის მშენებლობის პროცესში, თუმცა საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩადენილია სიცოცხლის წინააღ-

მდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, განზრახ მკვლელობა. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილია დისციპლინური წესით. ასევე ნასამართლობის მქონეა. ვინაიდან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, ნასამართლობა, დასჯა, საბჭომ მოცემულ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.

საბჭომ საკითხის განხილვისას უარყოფითად შეაფასა ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, როგორიცაა დანაშაულის ხასიათი, ნასამართლობა, მსჯავრდებულის ქცევა და სოციალურ აქტივობაში მისი მონაწილეობის მიღების საკითხი. დანაშაულის ხასიათი გამოიხატა შემდეგში, ე. გ-მ შურისძიების მოტივით, დანის გამოყენებით ჩაიდინა თანასოფელის – მ. მ-ის განზრახ მკვლელობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წარსულში დაზარალებული, მ. მ-ე სასჯელს იხდიდა მსჯავრდებულ ე. გ-ის ოჯახის დაყაჩაღებისთვის. როგორც კი მ. მ-ემ დატოვა პენიტენციური დაწესებულება, მას დაუკავშირდა მსჯავრდებული ე. გ-ე და სთხოვა, დაესახელებინა თანამზრახველთა ვინაობა, ხოლო 2013 წლის 23 სექტემბერს, დაახლოებით 22:30 საათზე, სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა 37 ჭრილობა, ყველა ჭრილობა მიყენებულია სიცოცხლის პერიოდში. ამასთან, მსჯავრდებული 2013 წელს ნასამართლობის მქონეა და აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულმა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, შესაბამისად, პირობითი მსჯავრი ვერ გახდა მსჯავრდებულისათვის შემდგომი ქცევის შემცველი, რასაც კვლავ მოჰყვა ახალი დანაშაული.

კასატორის განმარტებით, პენიტენციური დაწესებულება მსჯავრდებულებს სთავაზობს, როგორც ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებს, ისე დამხმარე პროგრამებს, პროსოციალურ აქტივობებს. ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები აერთიანებს ისეთ ფსიქოსოციალურ პროგრამებს, როგორიც არის მაგალითად, „ბრაზის მართვის პროგრამა“, „სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი“ ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამა და სხვა. მსჯავრდებულები, რომლებიც სასჯელს იხდიან ძალადობრივი ხასიათის დანაშაულისთვის, უფრო მეტად უნდა იყვნენ მოტივირებულები, ჩაერთონ ისეთ სოციალურ აქტივობებში, რომლებიც დაარწმუნებდა საბჭოს, რომ მსჯავრდებული ინანიებს ჩადენილ ქმედებას და ზრუნავს რესოციალიზაციაზე. მსჯავრდებული მონაწილეობას იღებდა ეკლესიის მშენებლობაში, რაც საბჭომ

დადებითად შეაფასა, თუმცა ე.გ-ეს მონაწილეობა არ მიუღია არც ძირითად და არც დამხმარე სოციალურ აქტივობაში.

მსჯავრდებულ ე. გ-ის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით საბჭოს შეუფასებელი არ დარჩენია არც ერთი კრიტერიუმი და გადანყვეტილება მიიღო მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. შესაბამისად, დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა ვერ გადანონა უარყოფითი კონტექსტის კრიტერიუმი, რაც „სამართლებრივი სიკეთის“ ხელყოფას გულისხმობს. მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე დანაშაულს, მსჯავრდებულის ინტერესი, გაერკვია დაზარალებულის თანამზრახველთა ვინაობა, მიუთითებს იმაზე, რომ მსჯავრდებულის მიერ მომდინარე საფრთხე საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ მაღალია. შესაბამისად, საბჭოს მიერ მიღებული გადანყვეტილება დასაბუთებულია და გამომდინარეობს მსჯავრდებულის პირად საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, გადანყვეტილებაში მითითებულია ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემისას. არსებული მოცემულობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საბჭოს მიეღო მსჯავრდებულ ე. გ-ის მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანო არ გაცდენილა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს, გადანყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონს, გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განჩინებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის განაჩენით ე. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა 2013 წლის 30 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით და საბოლოოდ, ე. გ-ეს განაჩენითა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განაჩენით ცვლილება არ შეტანილა წინა განაჩენში; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით დანიშნული სასჯელი მსჯავრდებულ ე. გ-ის მიმართ დარჩა უცვლელი. ე. გ-ეს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის 2018 წლის 15 მარტის №3925 ბრძანების საფუძველზე, სასჯელის მოხდა განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და განთავსებულ იქნა №... პენიტენციურ დაწესებულებაში; ბ) ე. გ-ემ სსკ-ის 73-ე მუხლით სასჯელის 2/3 მოიხადა 24.05.2020 წელს. სასჯელის დასაწყისი – 24.09.2013 წელი; სასჯელის დასასრული – 24.09.2023 წელი; გ) ე. გ-ის განმარტებით, მიღებული აქვს საშუალო განათლება და დაკავებული იყო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით. არის დაოჯახებული, ცხოვრობდა მეუღლესთან და მშობლებთან ერთად, მათთან კარგი ურთიერთობა აქვს. ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას აფასებს, როგორც მაღალს. მსჯავრდებულის სამომავლო გეგმები დასაქმებას უკავშირდება. სასჯელის მოხდის პერიოდში ე. გ-ე ჩართული იყო ეკლესიის მშე-

ნებლობის პროცესში; დ) ე. გ-ე სასჯელის მოხდის პერიოდში ნახა-
ლისებული არ ყოფილა. დასჯილი არის ერთხელ, კერძოდ, 2015 წლის
3 მარტის №214303 განკარგულებით აეკრძალა მაღაზიით სარგებ-
ლობა ერთი თვის ვადით. მსჯავრდებული ბოლო პერიოდში რაიმე
სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა. და-
წესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულების მიმართ
არის თავაზიანი; ე) გარდაცვლილი დაზარალებული მ.მ-ის უფლე-
ბამონაცვლეს, ძმას – ი. მ-ეს ე. გ-ის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.
იგი თანხმობას აცხადებს, რომ ე. გ-ის მიმართ გატარდეს კანონით
გათვალისწინებული შეღავათი და გათავისუფლდეს პატიმრობი-
დან; ვ) 2021 წლის 3 დეკემბერს სპეციალური პენიტენციური სამ-
სახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბ-
ჭომ განიხილა შუამდგომლობა და შესაბამისი მასალები მსჯავრდე-
ბულ ე. გ-ის დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის თა-
ობაზე. საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდე-
ბულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი და-
მოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში. ის, რომ წა-
რადგინა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ნოტარიულად და-
მონმებული პოზიცია პრეტენზიის არქონასთან დაკავშირებით,
ასევე მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში ჩართული იყო
ეკლესიის მშენებლობის პროცესში, თუმცა საბჭომ ყურადღება გა-
ამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ე. გ-ის მიერ პირობითი მსჯავრის
პერიოდში ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანა-
შაული, კერძოდ, განზრახ მკვლელობა. მსჯავრდებული სასჯელის
მოხდის პერიოდში დასჯილი იყო დისციპლინური წესით და ნასა-
მართლობის მქონეა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართვე-
ლოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენი-
ტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგი-
ლობრივი საბჭოს 2021 წლის 3 დეკემბრის №03/21/მ/პ-0653 გადაწ-
ყვეტილებით შუამდგომლობა მსჯავრდებულ ე. გ-ის მიმართ დარ-
ჩენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის
თაობაზე მოცემულ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, მართალია, სისხლის
სამართლის წესით სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩე-
ნის დადგენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე
მუხლის მიზნების გათვალისწინებით ბრალდებულის დამნაშავედ
ცნობასა და სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მოსახდე-
ლი სასჯელის, მათ შორის, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის და-
ნიშვნასაც, თუმცა პატიმრობის კოდექსი და მის საფუძველზე სა-
ქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320

ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი“ (შემდგომში – წესი) იძლევა დანიშნული სასჯელის აღსრულების პროცესში ამ ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული შეღავათის მსჯავრდებულზე გავრცელების შესაძლებლობას.

აღნიშნული წესის პირველი მუხლის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს პატიმრობის კოდექსის მე-40, 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს. საბჭოს მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა. მითითებული წესის მე-6 მუხლით დადგენილია საბჭოს უფლებამოსილება, რომლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია განიხილოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულისა და მსჯავრდებულისა, რომელსაც სასჯელის სახედ შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის 3¹ ნაწილის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ან 3¹ ნაწილით გათვალისწინებულ მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; დ) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გათავისუფლდა, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-

6 ნაწილის საფუძველზე; ე) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელსაც წინათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და შეცვლილი სასჯელი გაუქმდა ამ მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-13 მუხლი განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლის თანახმად, შეფასების კრიტერიუმებია: ა) დანაშაულის ხასიათი – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში; ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალებების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას; გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი; ასევე იმას, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული; დ) ოჯახური პირობები – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა; ე) მსჯავრდებულის პიროვნება – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსა-

ხურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, მისი დამცველისა/კანონიერი წარმომადგენლისა) უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს უფლება აქვთ, საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია. ხოლო, მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ. შესაბამისი შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-7 მუხლის თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა არის 2 სახის: ზეპირი მოსმენის გარეშე და ზეპირი მოსმენით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო არსებითად იხილავს წარმოებაში მიღებულ საქმეებს. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ,

ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო მხოლოდ ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, საბჭომ იმსჯელა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-13 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით და სადავო გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში. ის, რომ წარადგინა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ნოტარიულად დამოწმებული პოზიცია პრეტენზიის არქონასთან დაკავშირებით, ასევე მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის პერიოდში ჩართული იყო ეკლესიის მშენებლობის პროცესში, თუმცა საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ე.გ-ის მიერ პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ კი, განზრახ მკვლელობა. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი იყო დისციპლინური წესით და ნასამართლობის მქონეა. მოცემულ ეტაპზე, ამ კრიტერიუმების თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადართვა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 03 დეკემბრის №03/21/შ/პ-0653 გადაწყვეტილებით შუამდგომლობა მსჯავრდებულ ე.გ-ის მიმართ დარჩენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე მოცემულ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლის საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციუ-

ლი ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა სფეროს განეკუთვნება, ვინაიდან საბჭომ, ზემოაღნიშნული დებულების მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც საბჭოს ნევრთა შინაგანი რწმენით იქნება ნაკარნახევი და სადავო საკითხის ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებათა კვალიფიციურ შეფასებაზე დაფუძნებული. მართალია, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს ე.წ. მოქმედების ნულოვან თავისუფლებას, თუმცა არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სივრცეს, რადგანაც არ არსებობს როგორც სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ასევე – სრული მონესრიგება. სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად, სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (სუსგ 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12)).

შეფასების გარკვეული თავისუფლების მიუხედავად, ცხადია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკური პროცესი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს მოქალაქეთა დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენის ინტერესთან. მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.12წ. №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.10წ. №ბს-342-331(კ-10)). დისკრეციული უფლებამოსილების არაგონივრული გაფართოება ან პირიქით შევიწროება წარმოშობს ნეგატიურ დისკრეციას, რაც თავისთავად იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების კანონით დადგენილი მიზნისაგან აცდენას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ-

ლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საკითხის განხილვისას გათვალისწინებულია მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით, ის, რომ წარადგინა დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია პრეტენზიის არქონასთან დაკავშირებით, ასევე მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში ჩართული იყო ეკლესიის მშენებლობის პროცესში, თუმცა ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ე.გ-ის მიერ ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ კი, განზრახ მკვლელობა. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი იყო დისციპლინური წესით და ნასამართლობის მქონეა.

ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა შეფასების ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა ოჯახური პირობები, მსჯავრდებულის პიროვნება, მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში. საბჭომ იმსჯელა ასევე ისეთ კრიტერიუმზე, როგორიცაა დანაშაულის ხასიათი, რასთან მიმართებითაც მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის განაჩენით ე.გ-ის სასჯელი განსაზღვრული აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, ამასთან დანაშაული ჩადენილია პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში. საბჭოს ასევე გათვალისწინებული აქვს მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – მხარეთა შორის ასევე დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მოსარჩელე დანაშაულის ჩადენის მომენტში ნასამართლობის მქონე იყო სსკ-ის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც შეეხება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას.

ამდენად, მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მოქმედებდა რა დისკრე-

ციული უფლებამოსილებას ფარგლებში, მან საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით, სწორად შეაფასა საქმეში არსებული გარემოებები. ასევე, სადავო საკითხის გადანყვეტის დროს დაიცვა აქტის კანონიერების განმსაზღვრელი – ფორმალური და მატერიალური კანონიერება, რის გამოც მართებულად ეთქვა უარი ე.გ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება, რომლითაც ე.გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის – ე.გ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ანაზღაურება მოპასუხე სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს არ დაეკისრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარის თქმის თაობაზე აღმინისტრაციული აქტის კანონიერება

გადანყვებითლება საქართველოს სახელით

№ბს-32(კ-23)

21 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. კ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ნოემბრის №03/21/მ/პ-0569 გადაწყვეტილება; ბ) დაევალოს მოპასუხე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში, ა. კ-ას დარჩენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ.

სარჩელის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაცული უფლება – სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, ა.კ-ას წარმოეშვა 2020 წლის 7 აგვისტოს. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე სრულად აკმაყოფილებდა დადგენილ კრიტერიუმებს, მოპასუხემ 2021 წლის 2 ნოემბრის №03/21/მ/პ-0569 გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ, ყოველგვარი დასაბუთებული მოტივის გარეშე, დარჩენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. საბჭომ არ გაითვალისწინა და რეალურად არ შეაფასა ის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, რაც მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი იყო. არ იქნა გათვალისწინებული, რომ მოსარჩელე ნაწილს მომხდარს, სურს ახალი ცხოვრების დაწყება და წარსულის დავიწყება, სურს მიიღოს განათლება და საზოგადოებაში დაიმკვიდროს ადგილი. მართალია, საბჭოს აქვს საკითხის გადანაცვების დისკრეციული უფლებამოსილება, მაგრამ ის ვალდებულია, გამოიკვლიოს და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე რამდენჯერმეა ნასამართლევ, საბჭოს უნდა ემსჯელა მისი დღევანდელი პიროვნული მახასიათებელი კრიტერიუმებით, მიღწევებისა და რესოციალიზაციის საკითხების ერთობლიობით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ა. კ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პატიმრობის კოდექსის 41-ე, 43-ე მუხლებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ პირველ მუხლზე, მე-6, მე-7, მე-10, მე-13 მუხლებზე მითითებით სასამარ-

თლომ განმარტა, რომ საქმის მასალების მიხედვით 2021 წლის 02 ნოემბერს საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, იმსჯელა მითითებული დებულების მე-13 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით. გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან და თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციასთან მიმართებაში, ერთ-ერთი დაზარალებულის პოზიცია, ის ფაქტი, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისდა ორჯერ და მონაწილეობა აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულს წარსულში ჩადენილი აქვს წარკოტიკული დანაშაული, რომლისთვისაც განსაზღვრული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით და დამატებით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 5 წლის ვადით. მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი შეღავათი, კერძოდ, 2013 წლის 25 იანვარს გათავისუფლდა ამნისტიის საფუძველზე. გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულმა არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და 2013 წლის 14 აპრილს მართავდა ავტომანქანას. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა ჩაიდინა სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა. მანვე ჩაიდინა ძალადობრივი ხასიათის არაერთი დანაშაული, კერძოდ, ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. მანვე ჩაიდინა სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. აღნიშნულ საქმეში დაზარალებულის პოზიცია მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია. მანვე ჩაიდინა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა. მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში ხუთჯერ გამოიწვია დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა. საბჭომ მიიჩნია, რომ დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმის თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა და შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხ-

ლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-6 და მე-7 მუხლებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევა-დადგენა-შეფასებას. სასამართლო ამონმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ, მის კანონიერება-დასაბუთებლობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები იყო არსებული შესაძლებლობებიდან. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რა მიზნითაც საბჭოს მინიჭებული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება. აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს შეფასება სრულად შეესაბამება მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ მოთხოვნებს. საბჭოს მიერ მსჯავრდებულის შეფასება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ასახულია სადავო გადაწყვეტილებაში და მათზე მითითებით მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხი ამ ეტაპზე ადმინისტრაციულმა ორგანომ მიზანშეწონილად მიიჩნია.

პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას. შესაბამისად, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონიძიება მხედველობაში მიიღება მხოლოდ და მხოლოდ მსჯავრდებულის ქცევის ზოგადად შეფასების მიზნით, სასჯელის მოხდის პერიოდში, და არა როგორც დამამძიმებელი გარემოება, გადაწყვეტილების მიღებისას. გასაჩივრებულ აქტში აღწერილია და გათვალისწინებულია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, მისი ოჯახური მდგომარეობა, დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან მიმართება-

ში, ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში, თუმცა აღნიშნული გარემოება სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში შეფასდა შესაბამისი კრიტერიუმებით, რის შედეგადაც საბჭოს მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. კ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ნოემბრის №03/21/მ/პ-0569 გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა.კ-ას სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 43-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-4 ნაწილებზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, მე-6 მუხლზე, მე-10 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-13 მუხლზე, ამავე მუხლის მე-4 პუნქტზე მითითებით პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვინაიდან მან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუ-

ბუქი სახის სასჯელით შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შეფასების შედეგად უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ დანაშაულის ხასიათზე ხაზგასმა და ამ მოტივით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არ ნიშნავს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლას. კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, შესაბამისი პირობების არსებობისას, შინაპატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ საბჭოს შექმნის მიზანია რესოციალიზაცია. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, მიღწეული არის თუ არა სასჯელის მიზანი, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. რესოციალიზაცია გულისხმობს დამნაშავის კანონმორჩილ მოქალაქედ გადაქცევის მიზანმიმართულ პროცესს, მისი შემდგომი თავისუფალი ცხოვრებისათვის მომზადებას. ამასთან, დამნაშავის რესოციალიზაცია თავისთავად კავშირშია ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანთან, ანუ თუ მოხდება დამნაშავის რესოციალიზაცია, თავისთავად შემცირდება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკიც. თითოეული კრიტერიუმის შეფასებისას, მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტით სარწმუნოდ დადგინდეს, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით, გამოსწორებულია თუ არა მსჯავრდებული ან მისი საბოლოო გამოსწორებისათვის წარმოადგენს თუ არა გადაუდებელ აუცილებლობას დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა პენიტენციურ დაწესებულებაში, ანუ გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ უნდა იქონიოს დასაბუთებული მსჯელობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, ხომ არ არის მიღწეული სასჯელის მიზანი. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მსჯავრდებული ა.კ-ა წახალისებულია ორჯერ, კერძოდ: 2019 წლის 24 იანვრის №516 ბრძანებით, დამატებით სატელეფონო საუბრით; 2019 წლის 17 სექტემბრის №6159 ბრძანებით, დამატებით ხანმოკლე პაემნით. მსჯავრდებული ა.კ-ა იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს, დაწესებულების თანამშრომლეთა კანონიერ მოთხოვნებზე რეაგირებს დადებითად. ასევე, დაწესებულე-

ბის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია. ა.კ-ას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, პროფესიით არის ... და ... იგი არის დაოჯახებული, ჰყავს მშობლები, მისი და არის დაოჯახებული და საზღვარგარეთ მცხოვრები. ოჯახთან აქვს კარგი დამოკიდებულება. მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის კარგი. დაზარალებულებს ა.კ-ასათვის ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვიათ. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებული თანახმაა მის განთავისუფლებაზე და წარმოადგენს ნოტარიულად დამოწმებულ ცნობას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ა.კ-ა მოტივირებულია ცვლილებებისაკენ, მზაობას ახდენს განვითარებისაკენ, აქვს სერიოზული სამომავლო გეგმები, გათავისუფლების შემდეგ აპირებს მუშაობას, იცხოვრებს ოჯახთან ერთად და მიხედავს მათ. აქვს აგრო და საოჯახო ბიზნესები, გააგრძელებს საქველმოქმედო საქმიანობას, განსაკუთრებით ცხოველთა დაცვის მიზნით. წამოიწყებს მცირე ბიზნესს ტურისტული მიმართულებით. ა.კ-ა არის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ტაძრის მაზიარებელი მრევლი. კითხულობს წიგნებს, თამაშობს ინტელექტუალურ თამაშებს, ეწევა აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, ვარჯიშობს ინდივიდუალურად. არის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკის აქტიური მომხმარებელი, ესწრება სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან კონსულტაციებს, მოისმინა ტრენინგი „მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობის შესახებ“. მონაწილეობას იღებს ეკლესიის მშენებლობაში შეძლებისდაგვარად. ჩართულია დანაშაულის შემთხვევის მართვაში, საიდანაც ჩართულია ტრენინგებში „სინემა თერაპია“, „სასარგებლო უნარების განვითარება“. ა.კ-ა გამოხატავს მზაობას ცხოვრების წესის შეცვლისთვის, რის მოტივაციასაც აძლევს ოჯახის წევრებისგან მიღებული მხარდაჭერა და სურვილი გამოხატოს მათ მიმართ მადლიერება, აგრეთვე სურს ყავდეს შვილი და იყოს მისთვის სამაგალითო ადამიანი. ა.კ-ა დანაშაულთან მიმართებით აანალიზებს საკუთარ პასუხისმგებლობას და მიზეზებს, აფასებს შექმნილ გარემოებებს, გამოხატავს ფსიქოლოგიურ მზადყოფნას პიროვნული და ქცევითი ცვლილებებისათვის, რაც დაეხმარება დანაშაულებრივი სამყაროსგან თავის არიდებაში. საქმეში დაცული 2021 წლის 8 ივნისის ნოტარიულად დამოწმებული განცხადების თანახმად, ვ. ხ-ე, როგორც დაზარალებული, თანხმობას აცხადებს, რომ მსჯავრდებულმა ა.კ-ამ ვადაზე ადრე დატოვოს სასჯელაღსრულების დაწესებულება, რაზედაც მას არანაირი პრეტენზია არ აქვს და არც მომავალში ექნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნა-

წილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შემდეგ, სურს საზოგადოებასთან/ოჯახთან რეინტეგრაცია. შესაბამისად, მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში სრულად მოხდა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ქმნის ა. კ-ას სასჯელის მოუხდელის ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საფუძველს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს საფუძვლიანად დასაბუთებულ მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მიზეზთან დაკავშირებით. სადავო აქტის დასაბუთება მეტად მწირია, ვინაიდან დასკვნა ეფუძნება მხოლოდ დანაშაულის ხასიათზე მითითებას, ხოლო საკითხი მსჯავრდებულის პიროვნების, სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში სანიმუშო ქცევის, მისი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის დიდი სურვილისა და ამ უკანასკნელთა საუკეთესო ინტერესის კონტექსტში, დამნაშავეს რესოციალიზაციის თაობაზე, არ არის სათანადოდ შეფასებული ანუ სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით არ არის დამაჯერებლად დასაბუთებული მსჯავრდებულის შინაპატიმრობის აღმოჩენის პირობებში რატომ ვერ იქნება მიღწეული სასჯელის მიზნები.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, 2021 წლის 2 ნოემბერის №03-21/მ/3-0569 გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში ნათლად არის ჩამოყალიბებული, რომ საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან და თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციასთან მიმართებით, ერთ-ერთი დაზარალებულის პოზიცია, ის ფაქტი, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისდა ორჯერ და მონაწილეობა აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში, თუმცა საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულს წარსულში ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაული. აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11

ნლის ვადით და დამატებით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 5 წლის ვადით. მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი შეღავათი, კერძოდ, 2013 წლის 25 იანვარს გათავისუფლდა ამნისტიის საფუძველზე. გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულმა არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და 2013 წლის 14 აპრილს მართავდა ავტომანქანას. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა ჩაიდინა სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა. მანვე ჩაიდინა ძალადობრივი ხასიათის არაერთი დანაშაული, კერძოდ, ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. მანვე ჩაიდინა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. აღნიშნულ საქმეში დაზარალებულის პოზიცია მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია. მანვე ჩაიდინა საზოგადოებრივი უშიშროებისა და ნესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა. მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში ხუთჯერ გამოიწვია დისციპლინური ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. შესაბამისად, საბჭოს მხრიდან უარყოფითად შეფასდა არამხოლოდ დანაშაულის ხასიათი, არამედ, უარყოფითად იქნა შეფასებული სამი კრიტერიუმი: დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი (აღნიშნულის შეფასებისას ყურადღება ექცევა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში), მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში (სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად, რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია), მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასა-

მართლობა (წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი. ასევე, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევნი მსჯავრდებული).

ამასთან, არამართებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმ საკითხზე, რომ საბჭოს შექმნის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. აღნიშნული არის სასჯელის მიზანი, რომელიც ხორციელდება პენიტენციურ დაწესებულებაში, საბჭოს მიზნები კი რესოციალიზაციის ხელშეწყობასთან ერთად საზოგადოების უსაფრთხოების დაცვაა.

კასატორის განმარტებით, ადგილობრივი საბჭოს გადანყვევტილების დასაბუთებაში მითითებულია ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის უარყოფითად გადანყვევტილების. გადანყვევტილების სამოტივაციო ნაწილში გარკვევით არის მითითებული, რომ საბჭომ უარყოფითად შეაფასა რამდენიმე კრიტერიუმი და საბოლოო გადანყვევტილება სწორედ ამ უარყოფითად შეფასებული კრიტერიუმების ერთობლიობით მიიღო. მსჯავრდებულ ა. კ.-ას სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხზე მსჯელობისას საბჭოს შეუფასებელი არ დარჩენია არც ერთი კრიტერიუმი და გადანყვევტილება მიიღო მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, საბჭოს მიზნებიდან გამომდინარე.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 23 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 თებერვლის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გან-

ჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა.კ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) ა. კ-ა მსჯავრდებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის განაჩენით, დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. ამავე განაჩენით ა. კ-ას 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. 2013 წლის 25 იანვარს იგი გათავისუფლდა ამნისტიით; ბ) ა. კ-ა მსჯავრდებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 აგვისტოს განაჩენით დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით; გ) ა. კ-ა მსჯავრდებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 ივნისის განაჩენით დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით; დ) ა. კ-ა მსჯავრდებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით, დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წელი, 2 თვე და 10 დღე თავისუფლების აღკვეთა; ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით ა. კ-ას, განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით; ვ) ა.კ-ამ საქართველოს სსკ-ის 73.31 მუხლით სასჯელის 3/4 მოიხადა 2020 წლის 7 აგვისტოს. სასჯელის დასაწყისია – 7.12.2013 წელი, სასჯელის დასასრულია – 7.12.2023 წელი; ზ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მსჯავრდებულის სამიშროების რისკების შე-

ფასების გუნდის 2018 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით, ა.კ-ას დაუდგინდა საშიშროების მომეტებული რისკი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის №454 ბრძანებით, სასჯელის მოსახდელად განესაზღვრა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, №... დაწესებულებაში სასჯელს იხდის 2020 წლის 7 აგვისტოდან; თ) მსჯავრდებული ა.კ-ა დასჯილია ხუთჯერ, კერძოდ: 1. 09.06.2015 წლის №454456 ბრძანებით აეკრძალა ამანათის, ბანდეროლის და გზავნილის მიღება 1 თვის ვადით; 2. 19.06.2015 წლის №485274 ბრძანებით მოთავსდა სამართლო საკანში 10 დღე-ღამით; 3. 31.03.2014 წლის №144874 ბრძანებით სატელეფონო საუბრის უფლება შეეზღუდა 1 თვის ვადით; 4. 19.09.2014 წლის №479456 ბრძანებით შეეზღუდა მაღაზიით სარგებლობის უფლება 1 თვის ვადით; 5. 30.04.2016 წლის №361848 ბრძანებით სატელეფონო საუბრის უფლება შეეზღუდა 1 თვის ვადით; ი) მსჯავრდებული ა.კ-ა წახალისებულია ორჯერ, კერძოდ: 1. 24.01.2019 წლის №516 ბრძანებით – დამატებითი სატელეფონო საუბრით; 2. 17.09.2019 წლის №6159 ბრძანებით – დამატებით ხანმოკლე პაემნით. მსჯავრდებული, ა.კ-ა იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს, დაწესებულების თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნებზე რეაგირებს დადებითად. ასევე, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია; კ) საქმეში წარმოდგენილია №... დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის დახასიათება ა.კ-ას შესახებ, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: ა.კ-ას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, პროფესიით არის ... და იგი არის დაოჯახებული, ჰყავს მშობლები და საზღვარგარეთ მცხოვრები დაოჯახებული და. ოჯახთან აქვს კარგი დამოკიდებულება. მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის კარგი. დაზარალებულებს ა.კ-ასათვის ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვიათ. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებული თანახმაა მის განთავისუფლებაზე და წარმოადგენს ნოტარიულად დამოწმებულ ცნობას. ა. კ-ა მოტივირებულია ცვლილებებისაკენ, მზაობას ახდენს განვითარებისაკენ, აქვს სერიოზული სამომავლო გეგმები, გათავისუფლების შემდეგ აპირებს მუშაობას, იცხოვრებს ოჯახთან ერთად და მიხედავს მათ. აქვს აგრო და საოჯახო ბიზნესები, გააგრძელებს საქველმოქმედო საქმიანობას, განსაკუთრებით ცხოველთა დაცვის მიზნით. წამოიწყებს მცირე ბიზნესს ტურისტული მიმართულებით. მსჯავრდებული ა. კ-ა არის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ტაძრის მახარებელი მრევლი. კითხულობს წიგნებს, თამაშობს ინტელექტუალურ თამაშებს, ეწევა აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, ვარჯიშობს ინდივიდუალურად. არის დაწესებულების

ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკის აქტიური მომხმარებელი, ესწრება სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან კონსულტაციებს, მოისმინა ტრენინგი „მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობის შესახებ“, მონაწილეობას იღებს ეკლესიის მშენებლობაში შეძლებისდაგვარად. ჩართულია „დანაშაულის შემთხვევის მართვაში“, საიდანაც ჩართულია ტრენინგებში – „სინემა თერაპია“, „სასარგებლო უნარების განვითარება“. ა. კ-ა გამოხატავს მზაობას ცხოვრების წესის შეცვლისთვის, რის მოტივაციასაც აძლევს ოჯახის წევრებისგან მიღებული მხარდაჭერა და სურვილი, გამოხატოს მათ მიმართ მაღლიერება, აგრეთვე სურს ყავდეს შვილი და იყოს მისთვის სამაგალითო ადამიანი. ა. კ-ა დანაშაულთან მიმართებით აანალიზებს საკუთარ პასუხისმგებლობას და მიზეზებს, აფასებს შექმნილ გარემოებებს, გამოხატავს ფსიქოლოგიურ მზადყოფნას პიროვნული და ქცევითი ცვლილებებისათვის, რაც დაეხმარება დანაშაულებრივი სამყაროსგან თავის არიდებაში; ლ) 2021 წლის 8 ივნისის ნოტარიულად დამოწმებული განცხადების თანახმად, ვ. ხ-ე, როგორც დაზარალებული, თანხმობას აცხადებს, რომ მსჯავრდებულმა ა. კ-ამ ვადაზე ადრე დატოვოს სასჯელაღსრულების დაწესებულება, რაზედაც მას არანაირი პრეტენზია არ აქვს და არც მომავალში ექნება; მ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ნოემბრის №03/21/მ/პ-0569 გადაწყვეტილებით შუამდგომლობა – მსჯავრდებულ ა.კ-ას სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, მართალია, სისხლის სამართლის წესით სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიზნების გათვალისწინებით ბრალდებულის დამნაშავედ ცნობასა და სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მოსახდელი სასჯელის, მათ შორის, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დაწინაშესაც, თუმცა პატიმრობის კოდექსი და მის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი“ (შემდგომში – წესი) იძლევა დანიშნული სასჯელის აღსრულების პროცესში ამ ნორმატიული აქტებით გათვალისწინებუ-

ლი შეღავათის მსჯავრდებულზე გავრცელების შესაძლებლობას.

აღნიშნული წესის პირველი მუხლის თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს პატიმრობის კოდექსის მე-40, 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს. საბჭოს მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა. მითითებული წესის მე-6 მუხლით დადგენილია საბჭოს უფლებამოსილება, რომლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია განიხილოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულისა და მსჯავრდებულისა, რომელსაც სასჯელის სახედ შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის 3¹ ნაწილის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულიაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ან 3¹ ნაწილით გათვალისწინებულ მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი; დ) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გათავისუფლდა, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე; ე) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელსაც წინათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და შეცვლილი სასჯელი გაუქმდა ამ მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო და-

წესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადანაცვტილების მიღების წესის“ მე-13 მუხლი განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, რომლის თანახმად, შეფასების კრიტერიუმებია: ა) დანაშაულის ხასიათი – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში; ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადანაცვტილება მიღებული; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას; გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი; ასევე იმას, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევ მსჯავრდებული; დ) ოჯახური პირობები – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა; ე) მსჯავრდებულის პიროვნება – აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახ-

მად, მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, მისი დამცველისა/კანონიერი წარმომადგენლისა) უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს და ახლო ნათესავს უფლება აქვთ, საბჭოს წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია. ხოლო, მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ. შესაბამისი შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-7 მუხლის თანახმად, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა არის 2 სახის: ზეპირი მოსმენის გარეშე და ზეპირი მოსმენით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო არსებითად იხილავს წარმოებაში მიღებულ საქმეებს. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ, ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო მხოლოდ ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – საზოგადოებისათვის სა-

სარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, საბჭომ იმსჯელა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-13 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით და სადავო გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან და თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციასთან მიმართებაში, ერთ-ერთი დაზარალებულის პოზიცია, ის ფაქტი, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისდა ორჯერ და მონაწილეობა აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულს წარსულში ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაული. აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით და დამატებით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის 5 წლის ვადით. მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი შეღავათი, კერძოდ, 2013 წლის 25 იანვარს გათავისუფლდა ამნისტიის საფუძველზე. გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულმა არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და 2013 წლის 14 აპრილს მართავდა ავტომანქანას. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა ჩაიდინა სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა. მანვე ჩაიდინა ძალადობრივი ხასიათის არაერთი დანაშაული, კერძოდ, ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. მანვე ჩაიდინა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. აღნიშნულ საქმეში დაზარალებულის პოზიცია მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია. მანვე ჩაიდინა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა. მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში

ხუთჯერ გამოიწვია დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა. საბჭომ მოცემულ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა და მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლის საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა სფეროს განეკუთვნება, ვინაიდან საბჭომ, ზემოაღნიშნული დებულების მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც საბჭოს წევრთა შინაგანი რწმენით იქნება ნაკარნახევი და სადავო საკითხის ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებათა კვალიფიციურ შეფასებაზე დაფუძნებული. მართალია, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს ე.წ. მოქმედების ნულოვან თავისუფლებას, თუმცა არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სივრცეს, რადგანაც არ არსებობს როგორც სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ასევე – სრული მონესრიგება. სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად, სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (სუსგ 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12)).

შეფასების გარკვეული თავისუფლების მიუხედავად, ცხადია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკური პროცესი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს მოქალაქეთა დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენის ინტერესთან. მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.12წ. №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.10წ. №ბს-342-331(კ-10)). დისკრეციული უფ-

ლებამოსილების არაგონივრული გაფართოება ან პირიქით შევიწროება წარმოშობს ნეგატიურ დისკრეციას, რაც თავისთავად იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების კანონით დადგენილი მიზნისაგან აცდენას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საკითხის განხილვისას გათვალისწინებულია მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან და თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციასთან მიმართებით, ერთ-ერთი დაზარალებულის პოზიცია, ის ფაქტი, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში ნახალისდა ორჯერ და მონაწილეობა აქვს მიღებული სოციალურ აქტივობებში. ამასთანავე, საბჭომ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში ხუთჯერ გამოიწვია დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა.

ამდენად, დასტურდება, რომ საკითხის განხილვისას საბჭომ გათვალისწინა შეფასების ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში.

შემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულს წარსულში ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაული. შესაბამისად, საბჭოს გათვალისწინებული აქვს მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – დგინდება, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით და დამატებით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის 5 წლის ვადით. მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი შეღავათი, კერძოდ, 2013 წლის 25 იანვარს გათავისუფლდა ამნისტიის სა-

ფუძველზე. გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდებულმა არ შეასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და 2013 წლის 14 აპრილს მართავდა ავტომანქანას. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა ჩაიდინა სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა. საბჭოს ასევე ნამსჯელი აქვს შეფასების ისეთ კრიტერიუმზე, როგორცაა დანაშაულის ხასიათი – მხარეთა შორის დავას არ ინვესტის ფაქტი, რომ ა.კ-ამ ჩაიდინა ძალადობრივი ხასიათის არაერთი დანაშაული, კერძოდ, ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. მანვე ჩაიდინა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, ჩადენილი ჯგუფურად. აღნიშნულ საქმეში დაზარალებულის პოზიცია მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია. მანვე ჩაიდინა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ვ. ხ-ის ნოტარიალურად დამოწმებულ განცხადება, რომლის თანახმადაც, ეს უკანასკნელი, როგორც დაზარალებული, აცხადებს თანხმობას, რომ მსჯავრდებულმა – ა. კ-ამ ვადაზე ადრე დატოვოს სასჯელაღსრულების დაწესებულება. საყურადღებოა, რომ სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ ა. კ-ას მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 აგვისტოს განაჩენით დგინდება, რომ ვ. ხ-ესთან ერთად დაზარალებულს ან. კ-ც წარმოადგენს, რომლის პოზიციაც არ ყოფილა წარმოდგენილი მსჯავრდებულის მიერ.

ამდენად, მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემაჯავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მოქმედებდა რა დისკრეციული უფლებამოსილებას ფარგლებში, მან საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების გათვალისწინებით, სწორად შეაფასა

საქმეში არსებული გარემოებები. ასევე სადავო საკითხის გადან-
ყვეტის დროს დაიცვა აქტის კანონიერების განმსაზღვრელი – ფორ-
მალური და მატერიალური კანონიერება, რის გამოც მართებულად
ეთქვა უარი ა.კ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-
სამართლო მიიჩნევს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახუ-
რის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს სა-
კასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სა-
აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022
წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი
გადაწყვეტილება, რომლითაც ა. კ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყო-
ფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატაში ა. კ-ას მიერ წარმოდგენილია 02.03.2023წ. განცხა-
დება №57830/25 (სასამართლოში რეგისტრაციის თარიღი
07.03.2023, №ბ-318-23), რომელსაც თანდართული აქვს სსიპ მსჯავ-
რდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენ-
ტრის ცნობა №01/173. კასატორი ითხოვს, რომ მოცემული ცნობა
დაერთოს საქმის მასალებს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის
მე-2 ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს
მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალ-
დებულთა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ
არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამავ
მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო
იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც
ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქ-
მებში. საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, სასა-
მართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების შე-
საძლებლობას, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი
გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამასთან, საპროცესო კა-
ნონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ახა-
ლი ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მტკიცებულებების
მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო
მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს ზემოაღნიშნული ცნობა,
როგორც მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალა-
ქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის
თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის
სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მე-
ორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელ-

მნიშვნელოვან ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის – ა.კ.-ას მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 250 (100+150) ლარის ანაზღაურება მოპასუხე სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოს არ დაეკისრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ე წ ი ტ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. კ.-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ჯანმრთელობის დაცვის საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება

**მოსარჩელის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის
ადმინისტრაციულ ორგანოში წარღვანის ვადა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-228(კ-21)

26 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 19 ივლისს შპს „თ...მა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 6751 ლარის ანაზღაურების დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, შპს „თ...ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინებით შპს „თ...ს“ სარჩელი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 07 ივნისის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური.

2019 წლის 03 დეკემბერს შპს „თ...მა“ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიმართ, მოპასუხეთათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 6751 ლარის სოლიდარულად ანაზღაურების დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შპს „თ...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

კოლეგიამ მიუთითა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №19-55 დადგენილების მე-3, მე-5, მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ დადგენილება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისათვის სავალდებულოდ ითვალისწინებდა დოკუმენტაციის წარდგენას საანგარიშგებო თვის მომდევნო 2 თვის 11 რიცხვამდე, ხოლო მათი აღნიშნულ ვადაში წარუდგენლობის და, საგარანტიო წერილების გამოყენების ვადების დარღვევის შემთხვევაში, გამორიცხავდა მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად ამ ორ პირობას შორის „და“ კავშირის არსებობისა (რაც მოსარჩელეს აფიქრებინებდა კუმულატიური პირობების არსებობას), კანონმდებელმა „და“ კავშირის მძიმით გამოყოფით სწორედ აფიქსირა ნება იმისა, რომ მხოლოდ ერთ-ერთი მოცემულობის (პირობის) არსებობა გამორიცხავდა განუღებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას. სასამართლომ გაიზარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ თუ მიმწოდებლის მიერ ელექტრონულად დროულად იქნებოდა წარდგენილი ინფორმაცია და დადგენილების მე-7 მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული სრული დოკუმენტაცია, რისი მიზანიც მიმწოდებლის მიერ პროგრამის განმახორციელებლის მიერ გაცემული მიმართევებით დაფინანსებული მომსახურებების შესაბამისობის შემოწმებაა, დოკუმენტაციის მატერიალურად წარუდგენლობა არ შეიძლებოდა გამხდარიყო ანაზღაურებაზე ურის თქმის საფუძველი, მაგრამ თუ ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის ელექტრონული პორტალის საშუალებით წარდგენა შეუძლებელი იყო (შეუძლებელი იყო პორტალზე ატვირთვა და გადაგზავნა), მაშინ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევდა მოსარ-

ჩელის პოზიციის გაზიარებას მხოლოდ განეული მომსახურების დაფინანსების შესახებ ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 10.11.2017წ. წერილით ირკვეოდა, რომ ელექტრონულ სისტემაში ვერ ხდებოდა ყველა იმ დოკუმენტაციის წარდგენა, რომლის წარდგენის ვალდებულებაც მხარეს გააჩნდა. ელექტრონულად შესაძლებელი იყო მხოლოდ შემთხვევათა ფორმის რეესტრის წარდგენა, ხოლო სხვა დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენას მოქმედი მოდული არ ითვალისწინებდა. კოლეგიამ აღნიშნა, რომ 06.03.2020წ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ელექტრონულ პორტალზე შეუძლებელი იყო დოკუმენტაციის ატვირთვა, შესაბამის ველებში ხდებოდა მხოლოდ დოკუმენტაციის შინაარსის მითითება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური მხოლოდ დოკუმენტაციის მატერიალურად წარდგენის შემდეგ ამონებდა ელექტრონულად წარდგენილი დოკუმენტაციის შინაარსის და მატერიალურად წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას, რის საფუძველზეც იღებდა გადაწყვეტილებას თანხის ჩარიცხვის შესახებ. ელექტრონულ პორტალზე დოკუმენტაციის ატვირთვის შეუძლებლობა დაადასტურა მოსარჩელის წარმომადგენელმაც (06.03.2020 წლის სხდომის ოქმი 11:34:16). ამდენად, იმ პერიოდისათვის, როდესაც მოსარჩელე მხარის მიერ, ელექტრონული პორტალის საშუალებით განხორციელდა ინფორმაციის წარდგენა, იგი ამავე პორტალის საშუალებით ვერ წარადგენდა ყველა იმ დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიას, რომლის წარდგენის ვალდებულება ჰქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №19-55 დადგენილების მე-7 მუხლის 1¹ პუნქტით, რის გამოც მას ეკისრებოდა ამავე ვადაში დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარდგენის ვალდებულება, რაც მის მიერ განხორციელდა ზემოაღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „თ...ს“ წარმომადგენელმა, მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, შპს „თ...ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-

გის 2020 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლო დასაბუთება და აღნიშნა, რომ აპელანტს განუული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის უნდა მიემართა სამედიცინო მომსახურებიდან მომდევნო ორთვიანი ვადის დაცვით, კერძოდ 2017 წლის იანვრის მკურნალობის ხარჯთან დაკავშირებით 2017 წლის მარტში, ხოლო თებერვლის მკურნალობის ხარჯებთან დაკავშირებით – 2017 წლის 11 აპრილამდე. საქმის მასალებით კი დადგენილი იყო, რომ განუული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების მიზნით მოსარჩელემ მხოლოდ 2017 წლის 21 აპრილს მიმართა განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და მატერიალური სახით წარადგინა მომსახურების განვლის ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია. პალატის მითითებით, ელექტრონულად შესაძლებელი იყო მხოლოდ შემთხვევათა ფორმის რეესტრის წარდგენა, ხოლო სხვა დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენას მოქმედი მოდული არ ითვალისწინებდა. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ საინააღმდეგო მოსაზრების დამადასტურებელი მტკიცებულება აპელანტის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „თ...ს“ წარმომადგენელმა.

კასატორის მითითებით, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური პროგრამების ფარგლებში გაიცა მიმართვები, რომლის თანახმადაც, მერია თანხმობას გამოთქვამდა, რომ შპს „თ...სთვის“ „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 2 აგვისტოს №19-55 დადგენილების შესაბამისად და ამ დადგენილებით განსაზღვრული ოდენობით აენაზღაურებინა გარკვეულ პირებზე განუული სამედიცინო მომსახურების საფასურის ნაწილი – ჯამში 6751 ლარის ოდენობით. წინამდებარე მიმართვებით (საგარანტიო წერილებით) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შპს „თ...ს“ მხრიდან განხორციელდა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შესაბამისად, მოქალაქეებმა მიიღეს სათანადო სამედიცინო მომსახურება. რაც შეეხება გაცემული გარანტიების საფუძველზე თანხის ანაზღაურებას, ეს ვალდებულება არ იქნა შესრულებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურე-

ბის საქალაქო სამსახურის მიერ. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხისა და სასამართლოს მსჯელობა შპს „თ...ს“ მხრიდან შესრულების ვადასთან დაკავშირებით ცალსახად არასწორი იყო. „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ 2016 წლის 1 აგვისტოს №19-55 დადგენილების მე-7 მუხლი განსაზღვრავდა თანხის ანაზღაურების წესს, რომლის თანახმად საქართველოს ფარგლებში არსებული მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა უნდა განხორციელებულიყო პირველიდან 11 რიცხვამდე, საჭიროების მიწოდების (სამედიცინო მომსახურება, სხვა საჭიროება) საანგარიშგებო თვის მომდევნო ორი თვის განმავლობაში, ხოლო მედიკამენტის დაფინანსების შემთხვევაში არაუგვიანეს რეცეპტის მოქმედების ვადის გასვლის საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის პირველიდან 11 რიცხვამდე. ქალაქ თბილისის მერიის მიერ მიმართვები (საგარანტიო წერილები) გაცემულ იქნა თებერვალში, შესაბამისად მხარის აპელირება იმის თაობაზე, რომ რადგან ლ. გ-ის (საგარანტიოს ნომ: ...), ვ. ს-ის (...), ე. მ-ას (...) და გ. კ-ის (...) შემთხვევებში შესრულება 2017 წლის იანვარში განხორციელდა, ამიტომ მისი წარდგენის ვადა სრულდებოდა 2017 წლის 11 მარტის ჩათვლით, მოკლებული იყო საფუძველს. კასატორის მოსაზრებით, ვადის ათვლა იწყებოდა საგარანტიო წერილის გაცემიდან. აღნიშნულის შესახებ მითითებული იყო როგორც თავად საგარანტიო წერილში, ასევე „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ 2016 წლის 1 აგვისტოს №19-55 დადგენილების მე-7 პუნქტით განსაზღვრულ წესში. შესაბამისად, ყველა სადავო შემთხვევის შესრულების წარდგენის ვადა იყო 2017 წლის 11 აპრილის ჩათვლით. საგარანტიოში განსაზღვრული იყო პირობა, რომ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების წარმოდგენა უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს საჭიროების მიწოდების საანგარიშგებო თვის მომდევნო ორი თვის 10 რიცხვისა, ხოლო ვინაიდან №19-55 დადგენილების მე-7 მუხლი სამუშაოების წარდგენის ვადას განსაზღვრავდა 11 რიცხვამდე. შესაბამისად წინამდებარე დადგენილების დანაწესი საგარანტიო წერილის დანაწესთან შედარებით უპირატესი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში შესრულება მოხდა იანვარში და საგარანტიო გაიცა თებერვალში, შესრულების თვედ სწორედ თებერვალი ითვლებოდა. ამასთან, ქალაქ თბილისის მერიის პორტალი არ იძლეოდა საშუალებას მომსახურება ატვირთულიყო ისე, როგორც ამას ითხოვდა მერია. ხსენებული დადგენილების მე-7 მუხლი განსაზღვრავდა თანხის ანაზღაურების წესს, თუმცა, არ

არსებობდა ინფორმაციის ქალაქდმატარებლით წარდგენის ვალდებულება. არსებული ელექტრონული პორტალის მიზანი ყველა სხვა სახელმწიფო სოციალური პროექტების ფარგლებში ინფორმაციის ელექტრონულად წარდგენა იყო. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „თ...მა“ 2017 წლის 10 მარტს, კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით მოახდინა ინფორმაციის მინოდება მერიისათვის, გაუგებარი იყო, რატომ მოხდა ანაზღაურებაზე უარი სწორედ ვადის დარღვევის მიზეზით.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა კასატორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და სამედიცინო მომსახურებების დროული მიწოდება, ასევე სადავოდ არ ხდიდა არც ერთი მხარე იმ ფაქტს, რომ გაწეული მომსახურებების თაობაზე ინფორმაცია მინოდებულ იქნა მერიის სპეციალურ პორტალზე ატვირთვის გზით. აღნიშნულ პორტალზე ატვირთული მონაცემები კი ნათლად წარმოაჩენდა იმ შესრულებებს, რომლებიც კონკრეტულ ფიზიკურ პირებზე, კონკრეტული საგარანტიო წერილების საფუძველზე იქნა განხორციელებული. კასატორის მითითებით, ქალაქდმატარებლის წარმოუდგენლობის გამო ანაზღაურებაზე უარი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ანაზღაურებაზე უარი განიმართებოდა იმ პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელიც დაწერგილი იყო ქალაქდმატარებლის წარდგენასთან დაკავშირებით და არა კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე. კასატორის მითითებით, პაციენტებს მომსახურება გაეწიათ ჯეროვნად, დადგენილი წესით, ხოლო მერიისთვის ინფორმაცია წარდგენილი იყო ელექტრონულად და შემდგომში დამატებით ქალაქდმატარებლითაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „თ...ს“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით შპს „თ...ს“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. მხარეთა მორიგების მიზნით საქმის ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 24 ნოემბერს და 15 დეკემბერს, თუმცა მხარეებმა მორიგებას ვერ მიაღწიეს, შესაბამისად, საქმის განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გარეშე 2023 წლის 26 იანვარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრის საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „თ...ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 04 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2017 წლის იანვარსა და თებერვალში შპს „თ...ში“ მოქალაქეებს ნ. ა-ეს, თ. ბ-ეს, ლ. გ-ეს, მ. კ-ას, გ. კ-ეს, ვ. ლ-ს, ე. მ-ას, ვ. ს-ეს და შ. გ-ს გაენიათ სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება. თითოეულ ზემოხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებით 2017 წლის თებერვალში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისის სოციალური პროგრამების ფარგლებში გაიცა მიმართევები, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანო თანხმობას გამოთქვამდა, შპს „თ...სათვის“ აენაზღაურებინა მითითებული პირების მკურნალობის ხარჯები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ასანაზღაურებელი თანხების ჯამმა შეადგინა 6751 ლარი. გაწეული მომსახურებების თაობაზე ინფორმაცია მიწოდებულ იქნა მერიის სპეციალურ პორტალზე შემთხვევათა ფორმის რეესტრის ელექტრონულად წარდგენის გზით.

2017 წლის 21 აპრილს შპს „თ...მა“ განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს, მატერიალური სახით წარადგინა მომსახურების განვების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია და მოითხოვა 6751 ლარის ანაზღაურება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წერილით შპს „თ...ს“ ეცნობა, რომ შპს „თ...ს“ მიერ მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურება გაწეულ იქნა 2017 წლის იანვარსა და თებერვალში. შესაბამისად, მომსახურების განვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია იანვარში გაწეულ ხარჯთან დაკავშირებით მოსარჩელეს უნდა წარედგინა არაუგვიანეს 10 მარტისა (ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა), ხოლო თებერვლის ხარჯთან მიმართებით – 2017 წლის 10 აპრილისთვის (ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა) და არა 2017 წლის 21 აპრილს. შპს „თ...“ ვალდებული იყო მომსახურების განვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარედგინა როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, რადგანაც ელექტრონულ სისტემაში ვერ ხდებოდა ყველა იმ დოკუმენტაციის წარდგენა,

რომლის წარდგენის ვალდებულებაც მხარეს გააჩნდა. ელექტრონულად შესაძლებელი იყო მხოლოდ შემთხვევათა ფორმის რეესტრის წარდგენა, ხოლო სხვა დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენას მოქმედი მოდული არ ითვალისწინებდა.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კონკრეტულ ბენეფიციარებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება გაენიათ 2017 წლის იანვარსა და თებერვალში. ხაზგასასმელია, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავოდ არ ხდის განუვლი მომსახურების ხარისხს, ღირებულებასა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას. მხარეთა შორის სადავოა მხოლოდ შპს „თ...ს“ მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ ორგანოში ვადაში წარდგენის საკითხი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ ბენეფიციარებს მკურნალობა ჩაუტარდათ ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 1 აგვისტოს №19-55 დადგენილების (ძალადაკარგულია – 06.03.18 №15-49) ფარგლებში, რომლითაც დამტკიცდა „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში – წესი). წესის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, ქვეპროგრამა გულისხმობს მოსარგებლებისათვის სამედიცინო და სხვა სოციალურ საჭიროებათა დასაფინანსებლად მათთვის ფინანსური დახმარების განწევას. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რეგისტრაციის მისამართიც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით არის ქალაქი თბილისი), ა(ა)იპ „თ...ს“ ბენეფიციარები კონკრეტული პრიორიტეტულობით.

წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსარგებლე პირის განცხადებას სამედიცინო მომსახურების და სოციალური საჭიროების დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე, განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სამსახური, თუ მოთხოვნილი თანხის ჯამური ღირებულება არ აღემატება 2000 (ორი ათასი) ლარს. საგარანტიო წერილს გასცემს სამსახურის უფროსი. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მოსარგებლე პირის განცხადებას სამედიცინო მომსახურების და სოციალური საჭიროების დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე, განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშეწყობი კომისიის“, თუ მოთხოვნის ჯამური ღირებულება აღემატება 2000 (ორი ათასი) ლარს. კომისია ასევე გადაწყვეტილებას იღებს ა(ა)იპ „თ...ს“ ბენეფიციარებისათვის მიწოდებუ-

ლი საჭიროების (მედიკამენტი, სამედიცინო მომსახურება, სხვა საჭიროება) ანაზღაურების თაობაზე, მიუხედავად მოთხოვნილი თანხის ოდენობისა. მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებს წარმოადგენს საგარანტიო წერილზე ხელმოწერი პირი.

მითითებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების/ყველა სხვა საჭიროების დაფინანსებაზე გაცემული საგარანტიო წერილი ძალაშია დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული წესის მე-7 მუხლი ითვალისწინებს საგარანტიო წერილის პირობებში ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისათვის აუცილებელ შესაბამის პროცედურას; კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ფარგლებში არსებული მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა უნდა განხორციელდეს პირველიდან 11 რიცხვამდე, საჭიროების მიწოდების (სამედიცინო მომსახურება, სხვა საჭიროება) საანგარიშგებო თვის მომდევნო ორი თვის განმავლობაში, ხოლო მედიკამენტის დაფინანსების შემთხვევაში არაუგვიანეს რეცეპტის მოქმედების ვადის გასვლის საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის პირველიდან 11 რიცხვამდე. ამავე მუხლის 1¹ პუნქტის მიხედვით, ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს: ა) ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა); ბ) სამსახურის მიერ დადგენილი ფორმის შემთხვევათა რეესტრი, რეესტრში წარმოდგენილ თითოეულ შემთხვევაზე: ბ.ა) გაცემული დაფინანსების დოკუმენტის (საგარანტიო წერილი/რეცეპტი) ქსეროასლი; ბ.ბ) ფორმა №IV-100/ა, ასეთი ტიპის დოკუმენტის წარმოების შესაძლებლობის შემთხვევაში; ბ.გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი, გარდა ა(ა)იპ „თ...ის“ (ს/ნ ...) იმ ბენეფიციარების შემთხვევაში, რომელთაც აღნიშნული დოკუმენტი არ გააჩნიათ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წესის მე-7 მუხლის ნორმატიული შინაარსი პროგრამით მოსარგებლე პირისათვის სამედიცინო მომსახურების განევისას ითვალისწინებს მისი ღირებულების ანაზღაურების შემდეგ ეტაპებს: 1. სამედიცინო მომსახურების განევიდან მომდევნო ორი თვის განმავლობაში (პირველიდან 11 რიცხვამდე) შესრულებული სამუშაოს წარმოდგენას და 2. ანგარიშგების მიზნით მე-7 მუხლის 1¹ პუნქტში ჩამოთვლილი სამედიცინო დოკუმენტების წარდგენას. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ აღნიშნული წესი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება შესრუ-

ლებულ სამუშაოში, რაც ფართო განმარტების არეალს ტოვებს და ზოგადად საექიმო საქმიანობას მოიაზრებს („საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „თ...ს“ მიერ აღნიშნული წესით დადგენილ ვადებში ადმინისტრაციულ ორგანოს ელექტრონულად გაეგზავნა საგარანტიო წერილებში მითითებული პირების სასარგებლოდ განეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე ინფორმაცია, რასთან დაკავშირებით მისი არასაკმარისობის თვალსაზრისით ადმინისტრაციულ ორგანოს შპს „თ...სთვის“ არ განუსაზღვრავს ვადა დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენის შესახებ (ზაკ-ის 83-ე მუხლი).

საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესზე, რომელიც ბენეფიციარებზე განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე უარს ითვალისწინებს მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით (და არა 1¹ პუნქტით) გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის ვადის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო წერილების გამოყენების ვადების დარღვევის შემთხვევაში, ასევე, სამსახურის მონიტორინგის განყოფილების დასკვნის საფუძველზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ შპს „თ...ს“ ფაქტობრივად, ბენეფიციარებზე განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე უარი უთხრა წესის მე-7 მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგებისთვის აუცილებელი სამედიცინო დოკუმენტაციის ამავე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის გამო, რა შემთხვევასაც ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 1 აგვისტოს №19-55 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი არ ითვალისწინებდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. ამასთან, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №19-55 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის

განხორციელების წესი სწორედ სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე იქნა შემუშავებული. მითითებული პროგრამის ბენეფიციარები იძულებით გადაადგილებული პირები, ა(ა)იპ „თ...ს“ ბენეფიციარები და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები არიან. მნიშვნელოვანია, რომ მათთვის მომსახურების განევა ეფექტიანად და შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. აღნიშნულ პროცესთან პირდაპირ კავშირშია მომსახურების გამწვევი სამედიცინო დაწესებულებებისათვის გარკვეული გარანტიების შექმნა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს მომსახურების ადეკვატური ანაზღაურება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც უტყუარად დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ ბენეფიციართათვის ჯეროვანი მომსახურების განევა და აღნიშნულის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილ ვადაში მიწოდება, სამედიცინო დაწესებულებისათვის მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ამასთან, საფრთხეს უქმნის მსგავსი სოციალური პროგრამების განხორციელებას და ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება შპს „თ...ს“ მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამედიცინო დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ფაქტი. ამასთან ხაზგასასმელია, რომ არასრული დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლოა გამხდარიყო სრულყოფილი დოკუმენტაციის წარსადგენად დამატებითი ვადის დაწესების და არა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ წარმატებით დაძლია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი. ადმინისტრაციულმა ორგანომ კი სათანადო მტკიცებულებებით ვერ გააქარწყლა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები, შესაბამისად, სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შპს „თ...ს“ სასარგებლოდ დაკისრების როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოთხოვნას სამედიცინო მომსახურების ღირებულების მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრების შესახებ (სკ-ის 463-ე მუხლი), მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2021 წლის 25 ივნისის №ას-467-2020 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი (შდრ. სუსგ №ას-164-158-2011, 01 აგვისტო, 2011). გარდა ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებულნი. კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერი მოვალისაგან თანაბრად უნდა შეეძლოს ვალდებულების მთლიანი ანდა ნაწილობრივი შესრულების მოთხოვნა... საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძვლით წარმოიშვას: ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების საგნის განუყოფლობა (Numerus Clausus).“ მოცემულ შემთხვევაში, შპს „თ...ს“ სასარჩელო მოთხოვნას მის მიერ კონკრეტული სოციალური პროგრამის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება წარმოადგენს. მოცემული სოციალური პროგრამის განხორციელების მომწესრიგებელი კანონმდებლობა – ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 1 აგვისტოს №19-55 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს აკისრებს. ამდენად, სადავო თანხის ანაზღაურებაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებლობა არ დასტურდება, რაც გამორიცხავს მოპასუხეების სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვე-

ტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და შპს „თ...ს“ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით ჯამში გადახდილი 815.1 ლარის ($202.53 + 275.0 + 337.55$) ანაზღაურება;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა:

1. შპს „თ...ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 04 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „თ...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს დაევალოს მოსარჩელის სასარგებლოდ 6751 (ექვსი ათას შვიდას ორმოცდათერთმეტი) ლარის ანაზღაურება;

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს დაევალოს მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 815.1 ლარის (202.53+275.0+337.55) ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საზღვარგარეთი მკურნალობის დაზინანსებაზე
რეზერვუარი მომსახურების სახელმწიფო კომისიის
აქტის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-281(კ-22)

21 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაევალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2021 წლის 11 მარტს თ. ქ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასარჩელო მოთხოვნისა და მოპასუხეთა წრის დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ მოპასუხედ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური მომსახურების კომისია და მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი რეფერა-

ლური მომსახურების სახელმწიფო კომისიის 2021 წლის 3 თებერვლის №2 ოქმი თ. ქ-ას დაფინანსებაზე უარის თქმის ნაწილში; ბ) მოპასუხეს დაევალოს, მიმართოს უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით – უკრაინაში ქალაქ ...ში განხორციელდეს თ. ქ-ას ჯანმრთელობის პრობლემების გამოკვლევა და გამოკვლევის შედეგების მიხედვით მოხდეს საჭირო მკურნალობის ფინანსური კალკულაციის გადმოცემა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ქ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი „რეფერალური მომსახურების – სახელმწიფო კომისიის“ 2021 წლის 3 თებერვლის №2 ოქმი თ. ქ-ას დაფინანსებაზე უარის თქმის ნაწილში და დაევალა მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური მომსახურების კომისიას, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე თ. ქ-ასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) საქმეში წარმოდგენილია თ. ქ-ას მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარდგენილი განცხადებები უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროში წერილის გაგზავნის თაობაზე, რომლითაც მოხდება თ. ქ-ას ჯანმრთელობის პრობლემების გამოკვლევა და გამოკვლევის შედეგების მიხედვით საჭირო მკურნალობის ფინანსური კალკულაციის გადმოცემა; ბ) სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 10 ნოემბრის №04/23886 ცნობის თანახმად, 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, თ. ქ-ა სახელმწიფო გასაცემლების ერთიან სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულია სახელმწიფო პენსიის მიმღებად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, თ. ქ-ას მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი განმეორებით დადგენილი აქვს 1999 წლის 31 მაისიდან (მეორე ჯგუფი – უვადოდ). 2021 წლის 12 იანვარს გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №IV-100/ა თანახმად, თ. ქ-ას ძირითადი და თანმხლები დაავადებებია: ორმხრივი ნეფროლითიაზი №20, წინამდებარე ჯირკვლის

ჰიპერპლაზია №40, სპერმატოცელე №43.4, ორგანული ხასიათის იპოტენცია №48.4, მუხლის წინა კედლის სწორ კუნთების დიასტაზა №43, ორმხრივი საზარდულის მარჯვენამხრივი საზარდულის პოსტოპერაციული რეციდიული თიაქარი №40.2, მსხვილი ნაწლავის დივერტიკულოზი №57.3, სწორნაწლავის ქრ ფისტულა №60.4, ქრ ვენური დაავადება 187.2. ავადმყოფობის მიმდინარეობა არის ქრონიკული სახის. სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები: გერმანიაში ჩატარებული გამოკვლევებითა და პროფესორის რეკომენდაციით პაციენტს ესაჭიროება ორმხრივი ურს – ჩატარება ლაზერიტოტრიპსიით. პაციენტის განცხადებით, არ ენდობა საქართველოში კლინიკებს, ამიტომ მისი დაჟინებული თხოვნით გაუკეთდეს ზემოთ აღნიშნული ოპერაცია საზღვარგარეთ კლინიკაში. ასევე ესაჭიროება: 1. კოლონოსკოპია, 2. გეგმური წესით ოპერაცია ფისტულექტომია და ჰემოროიდექტომია, 3. გეგმური წესით თიაქარკვეთა პლასტიკა მასალის გამოყენებით, 4. რეკომენდირებულია ლაზერული აბლაცია მარჯვენა კანქვეშა ვენების; გ) „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების განევის შესახებ გადანყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების თანახმად შექმნილი კომისიის №2 სხდომის ოქმიდან ამონაწერის მიხედვით, თ. ქ-ა ბოლო რამდენიმე წელია დაჟინებით ითხოვს საზღვარგარეთ მკურნალობის (უროლოგიური და პროქტოლოგიური ოპერაციების) დაფინანსებას. კატეგორიულ უარს აცხადებს საქართველოში მკურნალობაზე, ვინაიდან არ ენდობა ქართველ ექიმებს. მოქალაქეს მრავალგზის განემარტა საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების საკითხის განსახილველად აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ, რაც არ განუხორციელებია – მოქალაქის გადმოცემით, უცხოეთის (უკრაინის) კლინიკა არ გასცემს წინასწარ ინვოისს, პაციენტის ობიექტური მონაცემების შეფასების გარეშე. მოქალაქე დაჟინებით ითხოვს მხარდაჭერის წერილის გაგზავნას (მიმართვას მინისტრის ხელმოწერით) უკრაინაში, მისთვის აუცილებელი სერვისების განევისა და აღნიშნულის ანაზღაურებაზე სამინისტროს ვალდებულების დაფიქსირებით და დაჟინებით მოითხოვს კომისიამ განიხილოს და თანხმობა გამოთქვას აღნიშნულ საკითხზე. მითითებული საკითხი ერთხელ უკვე განხილულ იქნა 2020 წლის 32-ე სხდომაზე და კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ხელმოწერით მოქალაქეს წერილობით ეცნობა, რომ ფინანსური მხარდაჭერის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება მოქალაქეზე გაიცეს, არის კომისიის დადებითი გადანყვეტილება, მიღებული მოქალაქის დოკუმენტაციის განხილ-

ვის და წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კომისია გამოთქვამდა მზადყოფნას განეხილა თ. ქ-ას საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების საკითხი, აუცილებელი დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, თუმცა დამატებითი დოკუმენტაცია არ იქნა წარდგენილი. საკითხის განხილვისას, კომისიამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ დაფინანსების განხილვის პროცედურისა და განხილვისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის თაობაზე თ. ქ-ა არაერთგზის იყო ინფორმირებული, როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით. ამასთან, კომისია არ ეთანხმება მოსარჩელის მოთხოვნას, დაუფინანსდეს საზღვარგარეთ მკურნალობა, როდესაც აღნიშნული სერვისის მიღება მას საქართველოშიც შეუძლია, ამ დაჟინებული მოთხოვნის ერთადერთი ახსნა უნდობლობაა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, არ დაკმაყოფილდეს თ. ქ-ას მოთხოვნა, უკრაინაში მისი მკურნალობის ხარჯებზე რაიმე სახის ფინანსური ვალდებულების აღებასა და მხარდაჭერის წერილზე. ამავე დროს კვლავ გამოთქვამენ მზადყოფნას, განიხილონ მოსარჩელის დაფინანსების საკითხი, აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021 წლის 9 თებერვლის №01/1803 წერილით კვლავ განემარტა მოსარჩელეს აუცილებლად საჭირო დოკუმენტების წარდგენის შესახებ, ასევე მითითებულია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის დაფინანსების საკითხი განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დარგის პროფესიული ასოციაციის ან ექსპერტის წერილობითი დასკვნა დაადასტურებს, რომ მოთხოვნილი სამედიცინო სერვისის მიღება საქართველოში შეუძლებელია.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე თ. ქ-ამ, არაერთხელ მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოითხოვა მისი მკურნალობის უზრუნველყოფისთვის საგარანტიო წერილის გაგზავნა შესაბამის კლინიკაში, რომელიც მისთვის არის მისაღები და რომელსაც ენდობა. ამასთან, მოსარჩელე მოითხოვდა შექმნილიყო ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით კომისია, რომელიც განიხილავდა მოსარჩელის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მის საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებულ საკითხებს. „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების შესაბამისად შეიქმნა კომისია, თუმცა მოსარჩელის მოთხოვნა, სადავოდ გამხდარი 2021 წლის 3 თებერვლის №2 ოქმის შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მის მიერ სრულყოფილად არ იქნა წარდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, ამასთან, კომისია არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას, რომ დაუფინანსდეს მკურნალობა საზღვარგარეთ, როდესაც აღნიშნული სერვისის მიღება შესაძლებელია საქართველოში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა სრულფასოვნად გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელიც აუცილებელი წინაპირობა იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, მოსარჩელე თ. ქ-ამ არაერთხელ მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მკურნალობის საკითხზე, გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი განცხადებებისა და სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ მოსარჩელე მხარის ინტერესსა და მის მოთხოვნას წარმოადგენდა სამინისტროს მხრიდან გარკვეული კალკულაციის, ე.წ. მხარდაჭერის წერილის გაგზავნა მისთვის სასურველ კლინიკაში, რომელიც მდებარეობს უკრაინაში, თუმცა თ. ქ-ას საკითხის განხილვის დროს, კომისიამ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ მკურნალობის დაფინანსებასა და მის საფუძვლებზე და განმარტა, რომ ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გაიცეს მოქალაქეზე არის კომისიის დადებითი გადაწყვეტილება. ამასთან, თ. ქ-ას მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის ძირითად მიზეზად კომისია უთითებს საჭირო დოკუმენტების წარუდგენლობას.

სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული აქტის გამოცემისას მოპასუხის მიერ დარღვეულია ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. ეს ბალანსი გაუმართლებლად, დაუსაბუთებლად და დარღვეული კერძო ინტერესის საზიანოდ და საჯარო ინტერესის სასარგებლოდ. ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა ბალანსის საჯარო ინტერესის სასარგებლოდ დარღვევის მიზანშეწონილობაზე და სათანადოდ, დამაჯერებლად უნდა დაესაბუთებინა იგი, რაც მას არ განუხორციელებია. სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალების საფუძველზე და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, პირის კერძო ინტერესი – მიიღოს მისთვის სასურველი სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოს დახმარებით, არის უპირატესი და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი, რამეთუ არ მოხდეს მისი

უფლების დარღვევა და მხოლოდ განსახილველი საკითხის მომ-
ნესრიგებელი მატერიალური კანონმდებლობის ფორმალური დაც-
ვა. ვინაიდან საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლესა და მის ჯან-
მრთელობას, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მოქალა-
ქის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, კერძოდ, მოქალაქის უფლე-
ბა ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსა-
ხურებაზე, რაც საქართველოს კონსტიტუციით არის გათვალისწი-
ნებული.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მი-
ერ სრულფასოვნად უნდა იქნეს გამოკვლეული, თუ რატომ ითხოვს
მოქალაქე დაჟინებით საზღვარგარეთ მკურნალობას, რა კონკრე-
ტულ მიზეზებსა და გარემოებებზე მითითებით არ ენდობა ეროვ-
ნული ჯანდაცვის სისტემასა და მასში შემავალ სამკურნალო და-
წესებულებებს. აღნიშნული უნდობლობის ფაქტი, ასევე მოსარჩე-
ლის მოთხოვნა კალკულაციისა და მხარდაჭერის წერილის საქარ-
თველოს ფარგლებს გარეთ არსებულ კლინიკაში, კერძოდ, უკრაი-
ნაში გაგზავნა, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპა-
სუხეს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებდა, და-
მატებითი ადმინისტრაციული წარმოება ჩაეტარებინა აღნიშნული
საკითხის სრულყოფილი შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, და-
ედგინა თუ რა მიზნითა და საფუძველზე მითითებით უცხადებს
მოქალაქე უნდობლობას ეროვნული ჯანდაცვის სისტემას, ასევე
მხარდაჭერის წერილის გაგზავნის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო ად-
მინისტრაციული წარმოების ფარგლებში კომისიის შესწავლისა და
განხილვის საგანი, თუმცა აღნიშნული არ იქნა სრულფასოვნად გა-
მოკვლეული და შეფასებული.

სასამართლოს მოსაზრებით, იმისათვის, რომ მოხდეს მოსარ-
ჩელის ინტერესებისა და მოთხოვნების ამომწურავად შესწავლა,
ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საკითხის განხილვი-
სას თ. ქ-ა თავად უნდა იქნეს მინვეული, ვინაიდან მოპასუხე ადმი-
ნისტრაციული ორგანო ვალდებულია, თავისი კომპეტენციაში შე-
მავალი საკითხები განიხილოს ყველა ფაქტობრივი თუ სამართლებ-
რივი გარემოების გამოკვლევის, მხარეთა ახსნა-განმარტებების
მოსმენისა და მტკიცებულებათა გამოთხოვა-შესწავლის შედეგად,
რადგან სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ჯანმრთელო-
ბის დაცვის უფლება და მათ წინაშე კანონმდებლობით გათვალის-
წინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება.

განსახილველ შემთხვევაში, კომისია მოთხოვნის დაკმაყოფი-
ლებაზე უარის თქმის ძირითად მოტივად უთითებს მოსარჩელის
მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულებე-
ბის წარუდგენლობას, რაც ცალსახად არ უნდა იქნეს მოსარჩელის-

თვის მკურნალობის დაფინანსებასა თუ მხარდაჭერის წერილის გაგზავნაზე უარის თქმის საფუძველი, იმ პირობებში, როდესაც სადავო გარემოებას არ წარმოადგენს მოსარჩელის ჯანმრთელობის მძიმე, ქრონიკული მდგომარეობა. ამასთან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები, მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური მომსახურების კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, როგორც ქართული ისე, საერთაშორისო კანონმდებლობა აღიარებს პაციენტის უფლებას, თავისუფლად აირჩიოს სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დანესებულება, ასევე მოიძიოს მეორე აზრი. პაციენტის აღნიშნული უფლებიდან გამომდინარე, გაუმართლებელია პაციენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის გამოკვლეული და დადგენილი, თუ რა კონკრეტულ მიზეზებსა და გარემოებებზე მითითებით არ ენდობა განმცხადებელი ეროვნული ჯანდაცვის სისტემასა და მასში შემავალ სამკურნალო დანესებულებებს, რამ გამოიწვია აღნიშნული უნდობლობა და რატომ აჩერებს იგი არჩევანს უკრაინაში მკურნალობაზე. პირის კერძო ინტერესი – სახელმწიფოს დახმარებით მიიღოს მისთვის სასურველი სამედიცინო მომსახურება, არის უპირატესი და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი გარემოება, რათა არ მოხდეს პაციენტის ჯანმრთელობის დაცვის უფლების არსებითი დარღვევა, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამართლებული იქნება განსახილველი საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური კანონმდებლობის მხოლოდ ფორმალური დაცვით და არა ამ დანაწესთა დადგენის მიზნის შინაარსობრივი ანალიზით.

პალატის განმარტებით, ვინაიდან საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლის უფლებას, რომლის დაცვის უზრუნველყოფის და სამედიცინო სფეროში მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი და ხარისხი-

ნი მომსახურების მიწოდების ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებული იყო ამომწურავად, სრულყოფილად და დამაჯერებლად დაესაბუთებინა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მართებულობა და მიზანშეწონილობა, რაც წინამდებარე შემთხვევაში არ იქნა განხორციელებული. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორად მოხდა გასაჩივრებული აქტის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობა და მოპასუხეს სწორად დაევალა სადავო საკითხთან მიმართებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა თ. ქ-ას ნაწილში.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს ადმინისტრაციულ წარმოებაში თ. ქ-ას სრულყოფილი მონაწილეობა, რათა საკითხის განხილვისას სრულყოფილად და ამომწურავად მოხდეს მისი რეალური ინტერესის და მოთხოვნების დადგენა, არ გაჩნდეს კითხვები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან მიმართებით. ასევე, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შესწავლილ იქნეს მისთვის სასურველ კლინიკაში ე.წ. მხარდაჭერის წერილის გაგზავნის შესაძლებლობის საკითხიც, რამეთუ როგორც მხარე მიუთითებს, აღნიშნული წერილის გაგზავნის პირობებში არსებობს მაღალი ალბათობა მის მიერ დაყენებული საკითხი გადაწყდეს მის სასარგებლოდ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური მომსახურების კომისიამ.

კასატორი მიუთითებს, რომ „რეფერალური მომსახურების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულია დაფინანსების მაძიებლის განაცხადის განხილვის წესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი იმ დოკუმენტების წუსხა, რომელიც წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს, რის შესახებაც მხარე ინფორმირებული იყო, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით.

კასატორი ასევე მიუთითებს №331 დადგენილების მე-4 მუხლის 1¹ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისიის მიერ განსახილველი დოკუმენტაცია ეგზავნება სამინისტროს შესაბამისი დარგის ექსპერტს, საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის აუცილებლობის თაობაზე დასკვნისათვის. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი ცალსახად მიუთითებს, რომ შესაბამისი მიმართულების ექსპერტის დასკვნა, საზღვარგარეთ მკურნალობის საკითხის დაფინანსების საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუკი მკურნალობა შესაძლებელია ქვეყნის შიდა სამედიცინო რესურსით, საზღვარგარეთ დაფინანსების საკითხი დაუსაბუთებელია.

კასატორი აღნიშნავს, რომ კომისიის კომპეტენციაა, კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს მიღებული განცხადებები და საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის თაობაზე. როდესაც განმცხადებელი აბსტრაქტულ გარემოებებს უთითებს, ადმინისტრაციული ორგანო, საგამოძიებო ფუნქციას ვერ შეითავსებს და ვერ გამოიკვლევს, რატომ არ ენდობა პაციენტი ზოგადად ქართულ მედიცინას. თუკი პაციენტის უნდობლობა გამომწვეულია კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების/სამედიცინო პერსონალის უკანონო ქმედებით, საკითხის შესწავლის მიზნით, მას შეუძლია მიმართოს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს. გაურკვეველია, როგორ უნდა გამოიკვლიოს კომისიამ, რატომ არ ენდობა პირი ქართულ მედიცინას, მაშინ როდესაც არანაირ კონკრეტულ ფაქტებზე მითითება არ ხდება.

კომისიამ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სზაკის 6.1 მუხლის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დაცვით. მოსარჩელეს არაერთხელ მიეთითა განცხადებაზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის თაობაზე, თუმცა მის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მომხდარა, შესაბამისად, კომისია სხვაგვარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. კომისია განცხადებებს განიხილავს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მოკლებულია შესაძლებლობას, განმცხადებლის ნაცვლად მოიძიოს დოკუმენტაცია, ეს ყოველივე მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. იგი არ მონაწილეობს საზღვარგარეთ სერვისის მომწოდებლის მოძიებაში და განიხილავს მხოლოდ მის მიერვე შერჩეული დაწესებულებიდან მოქალაქის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ სრუ-

ლად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყევტილება მიიღო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. სასამართლოს ჰიპოთეტური მითითება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არის დაუსაბუთებელი და არ შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. სადავო აქტი არის კანონიერი და არ არსებობს მისი ბათილობის კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლები.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური მომსახურების კომისიის საკასაციო საჩივარი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 იანვრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური მომსახურების კომისიის უფლებამონაცვლედ დადგინდა ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდი“.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განჩინებით, ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყევტილება, რომლითაც თ. ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დე-

ბულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც შეიცავს პაციენტთა უფლებათა შესახებ დებულებებს, ეფუძნება საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს, პაციენტის უფლებათა ევროპულ ქარტიას, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიღებულ რეკომენდაციებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში აისახა ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა კონვენცია ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის შესაბამისად, (1) მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით; (2) სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დანებს, უზრუნველყოფს და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მითითებას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და განმარტავს, რომ საქართველოში უფლება ჯანმრთელობაზე, როგორც პირის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, განმტკიცებულია არა მხოლოდ კანონმდებლობით, არა-

მედ ეს უფლება აღიარებულია, როგორც კონსტიტუციური უფლება. შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ჯანდაცვის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს, რაც ბუნებრივია, მოიცავს უსაფრთხო, ხარისხიან და სათანადო მომსახურებას, როგორც მკურნალობის პროცესში, ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარების დროს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმყოფება სხვა სახელმწიფოში, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, ჯანმრთელობის დაცვის უფლება გარანტირებული აქვთ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, ხოლო მათი არარსებობისას მოქმედებს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც პირი იმყოფება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის (საქართველოსთან მიმართებით ძალაშია 2001 წლის 1 მარტიდან) მე-3 მუხლს, რომლის შესაბამისად, მხარეებმა, თავისი იურისდიქციის ფარგლებში, ჯანმრთელობის დაცვაზე მოთხოვნილებებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით, უნდა გაატარონ სათანადო ღონისძიებები შესაფერისი ხარისხის ჯანმრთელობის დაცვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება ასევე უზრუნველყოფილია ევროპის სოციალური ქარტიის მე-11 მუხლით, რომლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უშუალოდ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ: 1. ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების მაქსიმალურად აღმოფხვრას; 2. ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ინდივიდუ-

ალური პასუხისმგებლობის წახალისებისათვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას; 3. შეძლებისდაგვარად ეპიდემიურ, ენდემურ და სხვა დაავადებათა, ისევე როგორც, უბედურ შემთხვევათა აღკვეთას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით კი, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა არის სოციალური უფლება და იგი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, მომსახურების სხვადასხვა სახის შესაძლებლობა, მომსახურების მაღალი ხარისხი, ასევე, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა გეოგრაფიული (ტერიტორიული) თვალსაზრისით. ამასთან, ჯანმრთელობის დაცვის თანაბარი ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, მათ შორის, ქვეყნის შესაძლებლობებთან, კადრების რესურსთან, დაფინანსებასთან, არჩევანის თავისუფლებასთან, საზოგადოების ინფორმირებულობასთან, ტექნიკური რესურსების ხარისხსა და ა.შ. სახელმწიფო აღიარებს ყველა პაციენტის თანასწორობის პრინციპს, რაც მოცემულია „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.

ამავე კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული საკანონმდებლო ნორმა იძლევა გარანტიას საქართველოს მოქალაქეებისათვის, დაბრკოლების გარეშე მიიღონ სახელმწიფოში სამედიცინო მომსახურება, რომელსაც ახორციელებს საქართველოს საკანონმდებლოპროექტის პირი (მომსახურების გამწვევი). აღ-

ნიშნული კი მოიცავს ყველა სახის პროფესიულ და საყოველთაო სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებას, მათ შორის, დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პროფილაქტიკას ან სამედიცინო რეაბილიტაციას.

მოქალაქეები სამედიცინო მომსახურების სფეროში კანონით გათვალისწინებული გარკვეული უფლებებით სარგებლობენ. ეს უფლებები, რა თქმა უნდა, სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობასაც შეეხება. სწორედ ამგვარი უფლების რეალიზაციის მიზნით არის შექმნილი ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდში“ (შემდგომში – ფონდი) კომისია, რომლის საქმიანობას წარმოადგენს „რეფერალური მომსახურების, „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ სხვა განსაზღვრული შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში სამედიცინო დახმარების განხორციელების შესახებ შესაბამისი გადანაწილების მიღების ხელშეწყობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კომისიის საქმიანობის წესი დადგენილია „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების განხორციელების შესახებ გადანაწილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებით.

აღნიშნული დადგენილებით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) დამტკიცებული „კომისიის საქმიანობის წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამედიცინო დახმარების კომპონენტის მოსარგებლე არის პირი, რომელიც შესაბამისი განაცხადით მოითხოვს სამედიცინო მომსახურებასთან/დახმარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას.

დადგენილია, რომ თ. ქ-ას მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარდგენილი იყო განცხადებები, რომლითაც იგი ითხოვდა მიმართვის წერილი გაგზავნილიყო უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროში, რომლითაც მოხდებოდა თ. ქ-ას ჯანმრთელობის პრობლემების გამოკვლევა და გამოკვლევის შედეგების მიხედვით საჭირო მკურნალობის ფინანსური კალკულაციის გადმოცემა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „კომისიის საქმიანობის წესის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათ-

ვალისწინებულ შემთხვევებში, კომისიის სახელზე დაწერილ განცხადებას თან უნდა ახლდეს: ა) მაძიებლის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა), სადაც მკაფიოდ და დეტალურად იქნება განმარტებული ყველა პუნქტი, შესაბამისი ICD-10 და/ან NCSP კოდების მითითებით: დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი (ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადებები, გართულებები), გადატანილი დაავადებები, ანამნეზი, ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები, ავადმყოფობის მიმდინარეობა. საზღვარგარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, ფორმა №IV-100/ა-ში დამატებით უნდა იყოს ექიმის რეკომენდაცია საზღვარგარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის საჭიროების თაობაზე (ICD-10 და NCSP კოდების მითითებით); გ) სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანგარიშფაქტურა, კალკულაციით; უცხოეთიდან წარმოდგენილ ანგარიშფაქტურასა და კალკულაციაში (ნათარგმნი და დამოწმებული ნოტარიალურად) მითითებული უნდა იქნეს დანახარჯები შემდეგი ჩაშლის მიხედვით: გ.ა) არასამედიცინო მომსახურება (ტრანსფერი, სასტუმრო, თანმხლები პირი სხვა); გ.ბ) სამედიცინო მომსახურება: გ.ბ.ა) ოპერაციული ჩარევა; გ.ბ.ბ) კონსერვატიული მკურნალობა; გ.ბ.გ) დიაგნოსტიკა; გ.ბ.დ) ქიმიოთერაპია; გ.ბ.ე) სხივური თერაპია და სხვა; დ) საბანკო ანგარიში მკურნალობისთვის საჭირო დანარჩენი თანხის დაფიქსირებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს იმ სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის სახელზე დაწერილ განცხადებას. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ თ. ქ-ას ადმინისტრაციულ ორგანოში არ წარუდგენია ზემოაღნიშნული ნების შესაბამისად უცხოეთში გაცემული ანგარიშფაქტურა და კალკულაცია. საყურადღებოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მოტივირებული იყო იმ საფუძველზე, რომ იგი არ ენდობა საქართველოში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებს და ამიტომ, მისი დაჟინებული მოთხოვნა არის გაუკეთდეს ოპერაცია საზღვარგარეთ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილებით დამტკიცებული „კომისიის საქმიანობის წესის“ მე-4 მუხლის 1¹ პუნქტზე, რომლის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისიის მიერ განსახილველი დოკუმენტაცია ეგზავნება სამინისტროს შესაბამისი დარგის ექ-

სპერტს, საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის აუცილებლობის თაობაზე დასკვნისათვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 24 ნოემბრის №01-469/ო ბრძანებით დამტკიცებულია კომისიის მუშაობის საქმიანობის ზოგადი პრინციპები, შეზღუდვები, პრიორიტეტები, დაფინანსების მოცულობა და დაფინანსების მექანიზმები (დანართი №2). აღნიშნული დანართის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: ა) საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობისთვის საჭირო დახმარების მეთოდოლოგია განისაზღვრება იგივე პრიორიტეტების მიხედვით, რაც საქართველოში ჩასატარებელი ჩარევის დროს და განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი დარგის ექსპერტის წერილობითი დასკვნა დაადასტურებს, რომ მოთხოვნილი სამედიცინო სერვისის მიღება საქართველოში შეუძლებელია; ბ) საზღვარგარეთ მკურნალობისთვის საჭირო დახმარების მოცულობა განისაზღვრება არაუმეტეს 10 000 სავალუტო ერთეულის ეკვივალენტისა ლარში; გ) საზღვარგარეთ დაფინანსების განხილვისთვის წარმოდგენილი უნდა იქნეს ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან მკურნალობისთვის საჭირო დანარჩენი თანხის დაფიქსირებით; დ) საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის/დიაგნოსტიკის მოთხოვნის შემთხვევაში, კომისიის მიერ განსახილველ დოკუმენტაციას დამატებით უნდა ახლდეს ელექტრონულად გადმოგზავნილი სამინისტროს შესაბამისი დარგის ექსპერტის დასკვნა, რომელშიც მითითებული იქნება საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობის აუცილებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით და გულისხმობს, რომ პაციენტი თავისი სოციალური სტატუსით, ან დიაგნოზით, ან ასაკობრივი პროგრამის, ან მომსახურების ფორმის მიხედვით, შესაბამისი პროგრამების ფარგლებში, მიიღებს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მომსახურებას. ამასთან, პაციენტს აქვს არა მხოლოდ სამედიცინო პერსონალის და სამედიცინო დაწესებულების არჩევის უფლება, არამედ ასევე უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეიცვალოს სამედიცინო მომსახურების გამწევი. აღნიშნული არ გულისხმობს უპირობოდ, მხოლოდ პაციენტის სურვილის გამო, ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდმა“ „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში უზრუნველყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ მკურნალობისთვის საჭირო დახმარების განევა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხ-

ლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოდასახელებული საკანონმდებლო ნორმით განმტკიცებულია კანონიერების პრინციპი, რაც კანონის უზენაესობას ეფუძნება და ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, დაიცვას კანონის მოთხოვნები. ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა შებოჭილია კანონმდებლობით, რაც ნიშნავს, რომ მათ ეკრძალებათ მიმართონ ისეთ ღონისძიებას, რომელიც კანონსაწინააღმდეგო იქნება. ანუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ნორმატიულ საფუძვლებს საჭიროებს, რომელიც მოიცავს როგორც კანონს, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოებს (კერძო სამართლის სუბიექტებისაგან განსხვავებით) ეკრძალებათ იმ უფლებამოსილებების განხორციელება, რომელთაც კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს და მათი საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით. მართალია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ კრძალავს, ადმინისტრაციულმა ორგანომ შეასრულოს კანონით გაუთვალისწინებელი ფუნქცია, მაგრამ აღნიშნული უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება ან სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა გასცდეს ზოგადი უფლებამოსილების საზღვრებს, რომელიც მას კანონის საფუძველზე აქვს განსაზღვრული. ამასთან საყურადღებოა, რომ კანონისმიერი დათქმის საფუძველი შეიძლება იყოს კანონქვემდებარე აქტებიც, ვინაიდან ისინი კანონიდან გამომდინარეობს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თ. ქ-ას მოთხოვნა არის დაევალოს მოპასუხეს, მიმართოს უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით – უკრაინაში ქალაქ ...ში განხორციელდეს თ. ქ-ას ჯანმრთელობის პრობლემების გამოკვლევა და გამოკვლევის შედეგების მიხედვით მოხდეს საჭირო მკურნალობის ფინანსური კალკულაციის გადმოცემა. ასევე დადგენილია, რომ თ. ქ-ას კომისიის მიერ მრავალგზის განემარტა, რომ კომისია გამოთქვამდა მზადყოფნას განეხილა მისი საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების საკითხი, აუცილებელი დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, თუმცა ასეთი დოკუმენტები მოსარჩელეს არ წარუდგენია. ანუ მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს იმგვარი მოქმედების განხორციელებას, რომელსაც არა თუ, არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილება, არამედ, ამავე დადგენი-

ლების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის (როგორც სადავო პერიოდში მოქმედი, ასევე ამჟამად არსებული რედაქცია) მიხედვით, მითითებული ქმედება თავად განმცხადებლის ვალდებულებას წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დაადგინა საკითხის მართებულად გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელი გარემოებები. შესაბამისად, საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ პირობებში არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტილად სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობა. მითითებული ნორმის გამოყენება „სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-355-340(2კ-09)).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა:

1. ა(ა)იპ „საქართველოს სოლიდარობის ფონდის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ქ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე აქტის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-497(კ-20)

12 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 18 მაისს ს/ს „კ...მა“ სასარჩელო განცხადებით მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 12 დეკემბრის №04/90282 და სსიპ სოციალური

მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №04/23679 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ს/ს „კ...ს“ მიერ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში“ პაციენტების – ლ. ღ-ის (1 300 ლარი), გ. ო-ას (1 515.83 ლარი), ლ. მ-ეის (1 472.5 ლარი), ი. მ-ეისა (1 200 ლარი) და ვ. გ-ის (1 372.5 ლარი) მიმართ განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების, სულ 6 860.83 ლარის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს/ს „კ...ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს/ს „კ...მა“, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 თებერვლის განჩინებით ს/ს „კ...ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ ლ. ღ-ი, გ. ო-ა, ლ. მ-ეი, ვ. გ-ი და ი. მ-ეი წარმოადგენდნენ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1.1. დანართით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებით მოსარგებლე პირებს.

პაციენტები ლ. ღ-ი, გ. ო-ა, ლ. მ-ეი, ვ. გ-ი და ი. მ-ეი 2016 წლის ივნისის თვეში მკურნალობდნენ ს/ს „კ...ში“. მითითებულ პაციენტებს დაესვათ დიაგნოზი – პნევმონია (ნოზოლოგიური კოდი J18.9), სუნთქვის მწვავე უემარისობა (ნოზოლოგიური კოდი J96.0).

პაციენტებს ს/ს „კ...ში“ მომსახურება გაენიათ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტით.

შემთხვევა №637110331 – პაციენტი ლ. ღ-ი მკურნალობდა 07.06.2016-დან 11.06.2016-მდე დიაგნოზით: J96.0. I ღონის მკურნალობა/მკურნალობა, კოდი 2000001.

11.06.2016-დან 12.06.2016-მდე დიაგნოზით J18.9/პნევმონია. დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია, კოდი 9000000011.

შემთხვევა №1012326756 – პაციენტი გ. ო-ა მკურნალობდა 11.06.2016-დან 16.06.2016-მდე დიაგნოზით: J96.0. I ღონის მკურ-

ნალობა/მკურნალობა, კოდი 2000001.

16.06.2016-დან 17.06.2016-მდე დიაგნოზით J18.9/პნევმონია. დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია, კოდი 9000000011.

შემთხვევა №2153600237 – პაციენტი ლ. მ-ეე მკურნალობდა 21.06.2016-დან 25.06.2016-მდე დიაგნოზით: J96.0. I დონის მკურნალობა/მკურნალობა, კოდი 2000001.

25.06.2016-დან 27.06.2016-მდე დიაგნოზით J18.9/პნევმონია. დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია, კოდი 9000000011.

შემთხვევა №539466701 – პაციენტი ი. მ-ეე მკურნალობდა 09.06.2016-დან 13.06.2016-მდე დიაგნოზით: J96.0. I დონის მკურნალობა/მკურნალობა, კოდი 2000001.

შემთხვევა №234198004 პაციენტი – ვ. გ-ი მკურნალობდა 12.06.2016-დან 16.06.2016-მდე დიაგნოზით: J96.0. I დონის მკურნალობა/მკურნალობა, კოდი 2000001.

16.06.2016-დან 18.06.2016-მდე დიაგნოზით J18.9/პნევმონია. დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია, კოდი 9000000011.

ს/ს „კ...ს“ 2016 წლის 19 ნოემბრის №36-3-2/2604209575-1460773318 „ანაზღაურებაზე უარის“ და „სადავო“ სტატუსის მქონე შემთხვევათა რეესტრის თანახმად, №637110331, №1012326756, №2153600237, №539466701, №234198004 წარდგენილ შემთხვევებს, შემთხვევის ტიპი – გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელი თანხა (ლარებში) – შემთხვევების შესაბამისად: 1 300, 1 515.83, 1 472.5, 1 200, 1 372.5 (ჯამში 6 860.83) განესაზღვრათ სტატუსი – „არ ექვემდებარება ანაზღაურებას“ საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე (რამდენადაც მიწოდებული ინფორმაცია არ ემთხვეოდა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებდა პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების პირობებს).

2017 წლის 18 იანვარს, ს/ს „კ...ს“ წარმომადგენლებმა – ნ. გ-იმა, თ. მ-იმა და ი. ხ-ემ №5741 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 12 დეკემბრის №04/90282 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №04/23679 გადაწყვეტილებით ს/ს „კ...ს“ 2017 წლის 18 იანვრის №5741 ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სააგენტომ მიიჩნია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება.

რებოდა ძირითადი ნოზოლოგიური კოდი (J18.9-პნევმონია).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავოა პაციენტების ლ. ლ-ის, გ. ო-ას, ლ. მ-ის, ვ. გ-ის და ი. მ-ისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების საკითხი. კერძოდ, აპელანტი თვლის, რომ პაციენტებისთვის გაწეული მომსახურება უნდა ანაზღაურდეს ორი ნოზოლოგიური კოდით – პნევმონია (ნოზოლოგიური კოდი J18.9) და სუნთქვის მწვავე უკმარისობა (ნოზოლოგიური კოდი J96.0), ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოსაზრებით ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ერთი ნოზოლოგიური კოდი – პნევმონია (ნოზოლოგიური კოდი J18.9). შესაბამისად, გასარკვევია პნევმონიის მკურნალობა მოიცავდა თუ არა სუნთქვის მწვავე უკმარისობის მკურნალობასაც და ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ პნევმონიის ნოზოლოგიური კოდით თუ ასევე ანაზღაურებას ექვემდებარება სუნთქვის მწვავე უკმარისობის ნოზოლოგიური კოდიც.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „კლინიკური პრაქტიკის ეროვნულ რეკომენდაციაზე (გაიდლაინი)“, რომელიც შეეხება მწვავე პნევმონიას მოზრდილებში, რომლის თანახმად, პნევმონიის ერთ-ერთ გართულებას წარმოადგენს სუნთქვის მწვავე უკმარისობა და მიუთითა საქმის განხილვისას მხარეების მიერ დადასტურებულ გარემოებაზე, რომ ზოგადად პნევმონიის გართულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სუნთქვის მწვავე უკმარისობა. ამ შემთხვევაშიც, პნევმონიის გართულებამ გამოიწვია სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ხოლო სუნთქვის მწვავე უკმარისობის გამო წარმოიშვა პაციენტების სტაციონარული მკურნალობის საჭიროება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პაციენტების ძირითად დიაგნოზს წარმოადგენდა პნევმონია, ხოლო სუნთქვის უკმარისობა წარმოადგენდა პნევმონიის თანმდევ გართულებას. პნევმონიის მკურნალობა, ცხადია, თავის მხრივ მოიცავდა მისი ყველა გართულების, მათ შორის, სუნთქვის მწვავე უკმარისობის მკურნალობასაც.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ვინაიდან „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით სუნთქვის მწვავე უკმარისობას მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი კოდი (J96.0), სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება და მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურებისთვის

ნოზოლოგიური კოდის მინიჭება თავისთავად არ გულისხმობს, რომ ყველა მათგანი ექვემდებარება დამოუკიდებლად ანაზღაურებას. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს პაციენტისთვის დასმული დიაგნოზის და მის ფარგლებში ჩატარებული მკურნალობის გათვალისწინებით.

განსახილველ შემთხვევაში, პაციენტებისთვის ჩატარებულ მკურნალობასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „კლინიკური პრაქტიკის ეროვნულ რეკომენდაციაზე (გაიდლაინი)“, რომლის მიხედვით, პნევმონიის მკურნალობის სქემა მოიცავს ოქსიგენოთერაპიას. კერძოდ, რეკომენდაციაში მითითებულია შემდეგი: „ყველა პაციენტს უნდა ჩაუტარდეს ოქსიგენოთერაპია ჟანგბადის სატურაციის განსაზღვრით და $SpO_2 > 92\%$ დონეზე შენარჩუნებით. მაღალი კონცენტრაციის ჟანგბადი შეიძლება პაციენტს მიეცეს გაურთულებელი პნევმონიის დროსაც (რეკომენდაცია D)“.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პნევმონიის გართულებას წარმოადგენდა სუნთქვის მწვავე უკმარისობა და შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ საქმეში წარმოდგენილი ზემოთმითითებული პაციენტების სამედიცინო დოკუმენტაციიდან არ დგინდება, აპელაციის მიერ პაციენტებისთვის განსხვავებული სამედიცინო მომსახურების გაწევის ფაქტი, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო პოლიბროფილური განყოფილების თერაპიულ პალატაში მათი მოთავსების შემთხვევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიჩნია, რომ სადავო აქტები მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს/ს „კ...მა“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ შეფასებებს და აღნიშნავს, რომ სასამართლოს არ ჰქონდა ის კომპეტენცია განემარტა და დაესაბუთებინა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები. სამედიცინო განათლების გარეშე

წარმოუდგენელი იყო საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დადგენა.

კასატორი აღნიშნავს, რომ პაციენტებს აღენიშნებოდათ არასტაბილური რესპირაცია, რის გამოც აუცილებელი იყო მათთვის მუდმივად ჟანგბადის მიწოდება, მინიმალური აპარატული მხარდაჭერა და მუდმივი მეთვალყურეობა, რაც არ ხდება ჩვეულებრივ პალატაში. სწორედ ამიტომ მოხდა პაციენტების მოთავსება ინტენსიური თერაპიის პალატაში და სუნთქვის მწვავე უკმარისობის კოღის მინიჭება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ სუნთქვის მწვავე უკმარისობა წარმოადგენს პნევმონიის გართულებას და სწორედ ამ გართულების გამო ხდება მათი ჰოსპიტალიზაცია და არა ყველა იმ პაციენტისა, რომელსაც აღენიშნება პნევმონია. თუმცა ასეთი პაციენტებიც არ საჭიროებენ ინტენსიური თერაპიის პალატაში მოთავსებას, თუ ისინი არ განეკუთვნებიან რისკ ჯგუფს ასაკის ან სხვა დაავადების გამო. კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ წარდგენილი სტაციონარული დოკუმენტებიდან არ იკვეთება პაციენტებისთვის განსხვავებული სახის მკურნალობის ჩატარების ფაქტი ინტენსიური თერაპიის პალატაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ს/ს „კ...ს“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სს „კ...ს“ საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწ-

მეზის შედეგად მიიჩნევს, რომ ს/ს „კ...ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-4 მუხლის „ა“-„გ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია: ა) მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში; ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება; გ) ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში; კ) პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობა, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მიუთითებული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით, რასაც განახორციელებს სათანადო სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტი, განურჩევლად საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმისა.

სადავო პერიოდში მოქმედი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36-ე დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველი მუხლის თანახმად, პროგრამის მიზანია: ა) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის, კერძოდ: ა.ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; ა.ბ) ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით; ა.გ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ბ) ამ დადგენილების 2¹ მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრო-

ბის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 ან/და 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებებით განსაზღვრული შესაბამისი მოსარგებლეებისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა იმავე დადგენილებებით განსაზღვრული სადაზღვევო ვაუჩერის შესაბამის სამედიცინო მომსახურებებზე; გ) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ვეტერანებისთვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა ამ დადგენილებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით განისაზღვრა პროგრამით მოსარგებლეთა წრე, პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელი პირი (რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს) და პროგრამის განმახორციელებელი დანესებულება (რომელსაც წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – განმახორციელებელი)).

ამდენად, საქმის მასალებით დადგენილია, რომ პაციენტები ლ. ღ-ი, გ. ო-ა, ლ. მ-ე, ვ. გ-ი და ი. მ-ე წარმოადგენდნენ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1.1. დანართით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების პირობებით მოსარგებლე პირებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დადგენილი ფორმითა და ვადებში მიმწოდებელი უზრუნველყოფს განმახორციელებელთან საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენას ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ნუსხა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) შემთხვევათა რეესტრი – განუული სამედიცინო მომსახურების თვითური ჯამური ანგარიში (დადგენილი ფორმის შესაბამისად), რომელიც მოიცავს: ა.ა) მოსარგებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს და დაბადების თარიღს; ა.ბ) დიაგნოზსა და განხორციელებულ ჩარევებს დადგენილი კლასიფიკატორის შესაბამისად; ა.გ) თითოეული შემთხვევის დეტალურ კალკულაციას – საჭიროების შემთხვევაში; ბ) ფორმა №IV-100/ა-ს (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად); გ) განმახორციელებლის მიერ დად-

გენილი ფორმის ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს (შემდგომში – ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი).

ამავე პროგრამის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისას ხდება: ა) მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების დადარება ფორმა №IV-100/ა-სა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შემთხვევათა რეესტრთან; ბ) შემთხვევათა რეესტრსა და ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტში ჯამური ფინანსური მონაცემების სისწორის გადამოწმება; გ) წარდგენილი დოკუმენტაციის შედარება მიმწოდებლის მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და მონიტორინგის შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროგრამის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირდეს ორ ჯგუფად: ა) ასანაზღაურებელი შემთხვევა; ბ) შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას. ამავდროულად მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ინსპექტირების შედეგად, განმახორციელებელი მიიჩნევს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების პირობებს; ზ) თუ სახეზეა №1 დანართის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, ანაზღაურებას არ დაექვემდებარება შემთხვევის დასრულებულად დაფიქსირების შემდეგ დამატებული ან შეცვლილი კოდი; ი) ადგილი აქვს კალკულაციაში წარდგენილი ფინანსური ინფორმაციის შეუსაბამობას მოთხოვნილ ჯამურ თანხასთან ან ჩატარებული მომსახურების მოცულობასთან; კ) ადგილი აქვს მიმწოდებლის მიერ შეტყობინების სისტემაში ერთი მკურნალობის ეპიზოდის/შემთხვევის ფარგლებში დაფიქსირებული რამდენიმე პროგრამული შემთხვევიდან რომელიმე პროგრამული შემთხვევ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, შესაბამისი კოდ(ებ)ის არასწორად დაფიქსირებას. ასეთ შემთხვევაში, არ ანაზღაურდება არასწორად დაფიქსირებული პროგრამული შემთხვევა/შემთხვევები და მასთან ერთად, არ ანაზღაურდება ამ მკურნალობის ეპიზოდის/შემთხვევის ასანაზღაურებელი თანხის 10%.

საკაცაციო სასამართლო მიუთითებს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 12 დეკემბრის №04/90282 გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც პაციენტები ლ. ლ-ი, გ. ო-ა, ლ. მ-ე, ვ. გ-ი და ი. მ-ე 2016 წლის ივნისის თვეში მკურნა-

ლობდნენ ს/ს „კ...ში“. მითითებულ პაციენტებს დაესვათ დიაგნოზი – პნევმონია (ნოზოლოგიური კოდი J18.9), სუნთქვის მწვავე უკმარისობა (ნოზოლოგიური კოდი J96.0).

პაციენტებს ს/ს „კ...ში“ მომსახურება გაენიათ გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტით.

სამედიცინო შემთხვევებს №637110331, №1012326756, №2153600237, №539466701, №234198004 შემთხვევის ტიპი – გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელი თანხა (ლარებში) – შემთხვევების შესაბამისად: 1 300, 1 515.83, 1 472.5, 1 200, 1 372.5 (ჯამში 6 860.83) განესაზღვრათ სტატუსი – „არ ექვემდებარება ანაზღაურებას“ საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში, მთავარ შესაფასებელ საკითხს წარმოადგენს ის გარემოება, პნევმონიის მკურნალობა ავტომატურად მოიცავდა თუ არა სუნთქვის მწვავე უკმარისობის მკურნალობასაც და ანაზღაურება უნდა მომხდარიყო მხოლოდ პნევმონიის ნოზოლოგიური კოდით თუ ასევე ანაზღაურებას ექვემდებარებოდა სუნთქვის მწვავე უკმარისობის ნოზოლოგიური კოდიც.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ს/ს „კ...ს“ 2016 წლის 11 ივლისის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №82/7 ცნობის მიხედვით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) პაციენტი – ვ. გ-ი 2016 წლის 12 ივნისს შეიყვანეს ს/ს „კ...ში“. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი: მარცხენამხრივი მწვავე პნევმონია J18.9, სუნთქვის მწვავე უკმარისობა – J96.0.

მოკლე ანამნეზში მითითებულია, რომ: პაციენტს აწუხებს ძლიერი საერთო სისუსტე, ხველა, ჰაერის უკმარისობა, ტემპერატურის მომატება 390C, გადმოცემით ავადმყოფი ავადაა რამდენიმე დღეა, ჰქონდა შემცივნება, ხველა, ჰაერის უკმარისობა, ბინაზე იღებდა ანტიბიოტიკებს, სტაციონირების დღეს დაენყო ძლიერი სისუსტე, პროფუზული ოფლიანობა, ჰაერის უკმარისობა. პაციენტი მამის მიერ გადაყვანილ იქნა ს/ს „კ...ს“ გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში, სადაც ჩაუტარდა გამოკვლევები და კონსულტაციები. პაციენტი გადაყვანილ იქნა პოლიპროფილური დეპარტამენტის ინტენსიური თერაპიის პალატაში, სადაც უტარდებოდა კარდიომონიტორინგი ოქსიგენოთერაპია (ოქსიგენაცია 7-8ლ/წთ), P-95 რითმული, T/A – 140/80 mm/Hg. R – 29°, SpO2-90%, Cor – ტონები მოყრუებული, Pulmo – ორივე მხარეს ძლიერ შესუსტებული სუნთქვის ფონზე მრავლობითი მშრალი ხიხინი, ქვემო ველში მარცხნივ

სველი ხიხინი და კრეპიტაცია. მუცელი რბილი, შარდვა თავისუფალი, დეფეკაცია რეგულარული. კლინიკაში ყოფნის შემდგომ დღეებში გრძელდებოდა სუნთქვის გაძნელება, ტემპერატურა. მკურნალობის ფონზე მდგომარეობის თანდათანობით სტაბილიზაციის შემდგომ ჩატარდა გულმკერდის საკონტროლო რენტგენოგრაფია, დინამიკა იყო დადებითი. პაციენტი გადაყვანილ იქნა 16.06.16 13:00 თერაპიულ პალატაში, სადაც გრძელდებოდა ანტიბაქტერიული და სიმპტომური მკურნალობა. საჭიროების დროს ოქსიგენოთერაპია.

ჩატარებული მკურნალობა: ოქსიგენოთერაპია (WAA721), კარდიომონიტორინგი (WAA891), ინტენსიური მკურნალობა (WAA8), პრიმაცეფი, რაციოცეფი, დიკლოფენაკი, ფიზიოლოგიური ხსნარი, ინჰალაცია ბეროდუალით, ვიტ. C, ლან – 30, რინგერი 500,0 ი/ვ. ენტენორმი, დექსამეტაზონი, პრიმაცეფი, დიკლოფეროლი, ტოფტი, პუროქსანი, დექსამეტაზონი.

სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად (8217/16) – ინტენსიური თერაპიის პალატაში ვ. გ-ის ჩაუტარდა ოქსიგენოთერაპია და კარდიომონიტორინგი, თერაპიულ პალატაში გადაყვანის შემდეგ გაუგრძელდა მკურნალობა დანიშნულებით, კარდიომონიტორინგითა და ოქსიგენოტერაპიის თანხლებით.

სტაციონარიდან განერიას არსებულ მდგომარეობაში მითითებულია დამაკმაყოფილებელი. მიეცა რეკომენდაცია ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის გაგრძელების და დაენიშნა შესაბამისი მედიკამენტები სახლის პირობებში.

ს/ს „კ...ს“ 2016 წლის 28 ივნისის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ?8/96 ცნობის მიხედვით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა) პაციენტი – გ. ო-ა 2016 წლის 11 ივნისს შეიყვანეს ს/ს „კ...ში“. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი: მარჯვენამხრივი მწვავე პნევმონია J18.9, სუნთქვის მწვავე უკმარისობა – J96.0.

მოკლე ანამნეზში მითითებულია, რომ: გადმოცემით ავადმყოფი ავადაა რამდენიმე დღეა, დაეწყო ძლიერი ხველა, ქოშინი, ნახველის გაძნელებული გამოყოფით, მოემატა ტემპერატურა 38,5-მდე, ოფლიანობა, თავბრუსხვევა, სუნთქვის გაძნელება...

თანდათანობით განვითარდა სუნთქვის მზარდი უკმარისობა. ავადმყოფმა თვითდინებით მიმართა კლინიკის მიმღებს და გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტს. ავადმყოფობის მიმდინარეობა იყო მწვავე და იგი მოთავსდა პოლიპროფილური დეპარტამენტის ინტენსიური თერაპიის პალატაში, სადაც ჩაუტარდა ჰემოდინამიკის მონიტორინგი, ოქსიგენოთერაპია, კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები, დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა ობ. HR – 87, T/A – 135/80 mm/Hg. R – 30, SpO₂-88%, t – 37,5° C Cor – ტონები

გაფანტული მშრალი მსტვინავი ხიხინი, კრეპიტაცია. მუცელი პალპაციით რბილი, უმტკივნეულო, ღვიძლი ნეკნთა რკალიდან არ გამოდის, ელენთა არ ისინჯება. მკურნალობის ფონზე მდგომარეობა გაუმჯობესდა, მდგომარეობა რჩებოდა საყურადღებო, უჩიოდა პერიოდულად ხველას, ჰაერის უკმარისობას, სუნთქვის გაძნელებას. ინტენსიური თერაპიის პალატიდან გადავიდა მკურნალობის გაგრძელების მიზნით ზოგად თერაპიულ პალატაში 16.06.16წ. 13:00სთ, მიეცა სათანადო დანიშნულება, გაგრძელდა მკურნალობა. პერიოდულად აღენიშნებოდა ხველა, ჰაერის უკმარისობა, სუნთქვის გაძნელება. შემცირდა ჟანგბად დამოკიდებულების ხარისხი.

ჩატარებული მკურნალობა: რაციოცეფი, ტოპტი 500 მგ. პუროქსანი, ინჰალაცია ოქსიგენოთერაპია (WAA721), პესტო 1მლ, NaCl 0,9%-500,0, ვიტ. C 2მლ, ბაუზოლი, ქალმი, სუპრალგონი, ზანტაკი, ენტენორმი, კოლინი, ატარაქსი. რინგერი 500,0, ანალგინი, დიმედროლი 1%-1მლ. დექსამეტაზონი 4მგ.

გ.ი-ას სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად (8196/16) – ინტენსიური თერაპიის პალატაში ჩაუტარდა ოქსიგენოთერაპია და კარდიომონიტორინგი, თერაპიულ პალატაში გადაყვანის შემდეგ გაუგრძელდა მკურნალობა დანიშნულებით, კარდიომონიტორინგითა და ოქსიგენოტერაპიის თანხლებით.

სტაციონარიდან განერისას არსებულ მდგომარეობაში მითითებულია, რომ ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მიეცა რეკომენდაცია ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის გაგრძელების და დაენიშნა შესაბამისი მედიკამენტები სახლის პირობებში.

ს/ს „კ...ს“ 2016 წლის 05 ივლისის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №8082 ცნობის მიხედვით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა) პაციენტი – ი. მ-ეე 2016 წლის 09 ივნისს შეიყვანეს ს/ს „კ...ში“. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი: მარცხენამხრივი მწვავე პნევმონია J18.9, სუნთქვის მწვავე უკმარისობა – J96.0.

მოკლე ანამნეზში მითითებულია, რომ: გადმოცემით ავადმყოფი ავადაა რამდენიმე დღეა, დაავადება დაეწყო შემცივნებით, ტემპერატურის მომატებით 38,5-მდე, თანდათანობით მოემატა ხველა, სუნთქვის გაძნელება... 09.06.2016წ. დაეწყო ძლიერი შეტევითი ხველა, ქოშინი, გამოიხატა სუნთქვის მზარდი უკმარისობა. ახლობლების მიერ გადაყვანილ იქნა სს „კ...ს“ გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში, ჩაუტარდა გამოკვლევები, სპეციალისტთა კონსულტაციები და მოთავსდა პოლიპროფილური დეპარტამენტის ინტენსიური თერაპიის პალატაში, სადაც უტარდებოდა კარდიომონიტორინგი ოქსიგენოთერაპია (ოქსიგენაცია 7-8ლ/წთ),

P-100' რითმული, T/A – 160/90 მმ/Hg. R – 29', SpO₂-90%, Cor – ტონები მოყრეუბული, Pulmo – ორივე მხარეს ძლიერ შესუსტებული სუნთქვის ფონზე მრავლობითი მშრალი ხიხინი, ქვემო ველში მარცხნივ სველი ხიხინი და კრეპიტაცია. მუცელი რბილი, შარდვა თავისუფალი, დეფეკაცია რეგულარული. კლინიკაში ყოფნის შემდგომ დღეებში გრძელდებოდა სუნთქვის გაძნელება, ტემპერატურა. მკურნალობის ფონზე მდგომარეობის თანდათანობით სტაბილიზაციის შემდგომ ჩატარდა გულმკერდის საკონტროლო რენტგენოგრაფია, დინამიკა იყო დადებითი. პაციენტი საჭიროებდა მკურნალობის გაგრძელებას თერაპიულ პალატაში, რაზეც უარი განაცხადა.

ჩატარებული მკურნალობა: ოქსიგენოთერაპია (WAA721), კარდიომონიტორინგი (WAA891), ინტენსიური მკურნალობა (WAA8), პრიმაცეფი, დექსამეტაზონი, ლან-30, ფრაქსიპარინი, პუროქსანი, ინჰალაცია ბეროდუალით, კეტოტიფენი, ვიტ. C, რინგერი 500,0 ი/ვ. დიკლოფენაკი.

ი. მ-ეის სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, (8082/16) – ინტენსიური თერაპიის პალატაში ჩაუტარდა ოქსიგენოთერაპია და კარდიომონიტორინგი, მან უარი განაცხადა თერაპიულ პალატაში მკურნალობის გაგრძელებაზე.

სტაციონარიდან განერისას არსებულ მდგომარეობაში მითითებულია, რომ ავადმყოფის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი. მიეცა რეკომენდაცია ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის გაგრძელების და დაენიშნა შესაბამისი მედიკამენტები სახლის პირობებში.

ს/ს „კ...ს“ 2016 წლის 13 ივლისის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №8675 ცნობის მიხედვით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა) პაციენტი – ლ. მ-ეე 2016 წლის 21 ივნისს შეიყვანეს ს/ს „კ...ში“. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ან სრული დიაგნოზი: მარცხენამხრივი პნევმონია J18.9, არტერიული ჰიპერტენზია II (ESC-ESH) – I10.

მოკლე ანამნეზში მითითებულია, რომ: ავადმყოფმა მიმართა კლინიკას თვითდინებით, ჩივილებით: სუნთქვის გაძნელება, ჰაერის უკმარისობა და ქოშინი. ძლიერი საერთო სისუსტე, ტემპერატურის მომატება 390C-მდე, შეტევითი ხასიათის ხველა ნახველის გამოყოფის გაძნელებით, გულის ფრიალი, ოფლიანობა, გამოხატული იყო ტაქიპნოე, ორთოპნოე, გადმოცემით, ჩივილები დაეწყო 4 დღის წინ. აღენიშნა ცხელება, ხველა. მკურნალობდა სიმპტომურად. მდგომარეობა დინამიკაში გაუარესდა. ჩივილებს დაერთო სუნთქვის გაძნელება და ქოშინი. ძლიერი საერთო სისუსტე, რის გამოც მოთავსდა პოლიპროფილური განყოფილების ინტენსიური თერაპიის პალატაში, სადაც უტარდებოდა ოქსიგენოთერაპია 8-9ლ/

ნთ, აყვანილ იქნა კარდიომონიტორულ კონტროლზე, დაეწყო შე-
საბამისი მკურნალობა, შემდგომ დღეებში გრძელდებოდა სუნ-
თქვის გაძნელება, ქოშინი, ჰაერის უკმარისობა, ძლიერი საერთო
სისუსტე, სპაზმური, შეტევითი ხასიათის ხველა, $R - 26'-28'$, $SpO_2 -$
 $94-93\%$ (ოქსიგენაციის ფონზე), უტარდებოდა მუდმივ რეჟიმში ოქ-
სიგენოთერაპია 7-8ლ/წთ. მდგომარეობის შედარებით სტაბილიზა-
ციის შემდგომ პაციენტი 25.06.2016წ. 18:00სთ. გადაყვანილ იქნა
თერაპიულ პალატაში, სადაც გრძელდებოდა ჰაერის უკმარისობის
მოვლენები, ხველა. პერიოდულად ესაჩიროებოდა ოქსიგენაცია.

ჩატარებული მკურნალობა: ოქსიგენოთერაპია (WAA721), ოფ-
ლოტასი, რაციოცეფი, ფიზიოლოგიური ხსნარი, რინგერი, დექსა-
მეტაზონი, პუროქსანი, ინჰალაცია ბეროდუალით, ანალგინი, კარ-
დიოფორსი, ფრაქსიპარინი, ენოზიდ -H, დიმედროლი.

ლ. მ-ის სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის თანახ-
მად, (8675/16) – ინტენსიური თერაპიის პალატაში ჩაუტარდა ოქ-
სიგენოთერაპია და კარდიომონიტორინგი, თერაპიულ პალატაში გა-
დაყვანის შემდეგ გაუგრძელდა მკურნალობა დანიშნულებით, კარ-
დიომონიტორინგითა და ოქსიგენოტერაპიის თანხლებით.

სტაციონარიდან განერისას არსებულ მდგომარეობაში მითითე-
ბულია, რომ ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მიეცა რე-
კომენდაცია ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალო-
ბის გაგრძელების და გულმკერდის რენტგენოლოგიური კვლევა 10
დღის შემდეგ.

ს/ს „კ...ს“ 2016 წლის 24 ივნისის ჯანმრთელობის მდგომარეო-
ბის შესახებ №7983 ცნობის მიხედვით (სამედიცინო დოკუმენტა-
ცია ფორმა №IV -100/ა) პაციენტი – ლ. ღ-ი 2016 წლის 07 ივნისს
შეიყვანეს ს/ს „კ...ში“. დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შე-
სახებ ან სრული დიაგნოზი: მარჯვენამხრივი პნევმონია J18.9, არ-
ტერიული ჰიპერტენზია II (ESC-ESH) – I10.

მოკლე ანამნეზში მითითებულია, რომ: ავადმყოფმა მიმართა
კლინიკას თვითღინებით, ჩივილებით: სუნთქვის გაძნელება, ჰაე-
რის უკმარისობა და ქოშინი. ძლიერი საერთო სისუსტე, ტემპერა-
ტურის მომატება 390C-მდე, შეტევითი ხასიათის ხველა ნახველის
გამოყოფის გაძნელებით, გულის ფრიალი, ოფლიანობა, ურტიკა-
ლური ტიპის გამონაყარი მთელს სხეულზე. გამოხატული იყო ტა-
ქიპნოე, ორთოპნოე, ყლაპვა თავისუფალი. გადმოცემით, ჩივილე-
ბი დაეწყო 5 დღის წინ. აღენიშნა ცხელება, ხველა. ოჯახის ექიმის
მიერ დაესვა პნევმონიის დიაგნოზი. დაწყებულ იქნა მკურნალობა
ანტიბიოტიკით. მდგომარეობა დინამიკაში გაუარესდა. ჩივილებს
დაერთო სუნთქვის გაძნელება და ქოშინი. ძლიერი საერთო სისუს-
ტე, ღამით აღენიშნა გამონაყარი სხეულზე, ქავილი, რის გამოც მო-

თავსდა პოლიპროფილური განყოფილების ინტენსიური თერაპიის პალატაში, სადაც უტარდებოდა ოქსიგენოთერაპია 8-9ლ/წთ, აყვანილ იქნა კარდიომონიტორულ კონტროლზე, დაენყო შესაბამისი მკურნალობა, შემდგომ დღეებში გრძელდებოდა სუნთქვის გაძნელება, ქოშინი, ჰაერის უკმარისობა, ძლიერი საერთო სისუსტე, სპაზმური, შეტევითი ხასიათის ხველა, $R - 26' - 28'$, $SpO_2 - 94 - 93\%$ (ოქსიგენაციის ფონზე), უტარდებოდა მუდმივ რეჟიმში ოქსიგენოთერაპია 7-8ლ/წთ. მდგომარეობის შედარებით სტაბილიზაციის შემდგომ პაციენტი 11.06.2016წ. 12:00სთ. გადაყვანილ იქნა თერაპიულ პალატაში, სადაც გრძელდებოდა ჰაერის უკმარისობის მოვლენები, ხველა. პერიოდულად ესაჩიროებოდა ოქსიგენაცია.

ჩატარებული მკურნალობა: ოქსიგენოთერაპია (WAA721), ოფლოტასი, სინოგალი, ფიზიოლოგიური ხსნარი, ზანტაკი, პუროქსანი, ფრაქსიპარინი, დექსამეტაზონი, სუპრალგონი, პულმიკორტი, ინჰალაცია ბეროდუალით, კვადრიპინი, კაპტოპრილი, ცეტეკი, ანალგინი.

სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად (7983/16) – ინტენსიური თერაპიის პალატაში ლ. ღ-ს ჩაუტარდა ოქსიგენოთერაპია და კარდიომონიტორინგი, თერაპიულ პალატაში გადაყვანის შემდეგ გაუგრძელდა მკურნალობა დანიშნულებით, კარდიომონიტორინგითა და ოქსიგენოტერაპიის თანხლებით.

სტაციონარიდან განწერისას არსებულ მდგომარეობაში მითითებულია, რომ ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მიეცა რეკომენდაცია ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის გაგრძელების და გულმკერდის რენტგენოლოგიური კვლევა, ღვიძლის ფუნქციური სინჯების კონტროლი.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, სამედიცინო ბარათებში მითითებული სამედიცინო ჩვენებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პაციენტებს – ლ. ღ-ს, გ. ო-ას, ლ. მ-ეეს, ვ. გ-ისა და ი. მ-ეეს ს/ს „კ...ში“ შესვლისას გამოხატული ჰქონდათ სუნთქვის მწვავე უკმარისობა, აღენიშნებოდათ არასტაბილური რესპირაცია, რის გამოც მოთავსებულნი იქნენ ინტენსიური თერაპიის პალატაში, ხოლო მდგომარეობის დასტაბილურების შემდეგ მკურნალობა გაუგრძელდათ პოლიპროფილური განყოფილების თერაპიულ პალატაში. შესაბამისად, მითითებულ პაციენტებს დაესვათ დიაგნოზი – პნევმონია (ნოზოლოგიური კოდი J18.9), სუნთქვის მწვავე უკმარისობა (ნოზოლოგიური კოდი J96.0).

სადავო აქტის თანახმად, ლ. ღ-ის, გ. ო-ას, ლ. მ-ეეს, ვ. გ-ისა და ი. მ-ეეს შემთხვევებს, პროგრამის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად (წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტა-

ციის ინსპექტირების შედეგად, განმახორციელებელი მიიჩნევს, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ ემთხვევა შეტყობინებაში არსებულ ინფორმაციას და/ან არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების პირობებს.), განესაზღვრა სტატუსი – არ ექვემდებარება ანაზღაურებას, იმ საფუძველზე, რომ კლინიკის მიერ აღნიშნულ შემთხვევებში სრულად მიწოდებული უნდა ყოფილიყო ერთი პროგრამული კოდი – J18.9/პნევმონია, დაუზუსტებელი/გადაუდებელი თერაპია, კოდი 9000000011. სადავო გადაწყვეტილებაში სხვა რაიმე სახის დასაბუთება მითითებული არ არის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე (მონინალმდეგე მხარე) ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გამოცემული სადავო აქტებით, სათანადოდ არ არის გამოკვლეული და დასაბუთებული, პნევმონიის მკურნალობა ავტომატურად მოიცავს თუ არა სუნთქვის მწვავე უკმარისობის მკურნალობასაც და ანაზღაურებას, რის საფუძველზე ექვემდებარება მხოლოდ პნევმონიის ნოზოლოგიური კოდი და არა სუნთქვის მწვავე უკმარისობის ნოზოლოგიური კოდიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 12 დეკემბრის №04/90282 გადაწყვეტილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და დასაბუთების გარეშე. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც სადავო საკითხი გამოირჩევა სპეციფიურობით და დაკავშირებულია სამედიცინო სფეროსთან, რომელიც მოითხოვს შესაბამისი სამედიცინო საკითხის სიღრმისეულ და დეტალურ ცოდნას, ხოლო სადავო აქტები არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოს სათანადო დასაბუთებას, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 12 დეკემბრის №04/90282 გადაწყვეტილების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობას (ამ მიმართებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე – CASE OF LOPES DE SOUSA FERNANDES v. PORTUGAL (Application no. 56080/13), § 198-199.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის

თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის თანახმად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სამართლოს წინაშე, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლი სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთს აკისრებს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს და ავალდებულებს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები №ბს-626-596(კ-07); №ბს-1236(კ-18)).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას – ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრე-

სატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილება; 2020 წლის 17 სექტემბრის №ბს-974(2კ-19) განჩინება).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 12 დეკემბრის №04/90282 გადაწყვეტილება (შესაბამის ნაწილში) და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

რაც შეეხება, სასარჩელო მოთხოვნას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №04/23679 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მაღალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 12 დეკემბრის №04/90282 გადაწყვეტილების „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ პაციენტების – ლ. დ-ის, გ. ო-ას, ლ. მ-ეის, ი. მ-ეისა და ვ. გ-ის შემთხვევების ნაწილში კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №04/23679 გადაწყვეტილების ს/ს „კ...ს“ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ს/ს „კ...ს“ საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის

თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შე-
საბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გა-
მოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აა-
ნაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტი-
ლების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადავო საკითხის ასკ-
ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, სსიპ ჯან-
მრთელობის ეროვნულ სააგენტოს ს/ს „კ...ს“ სასარგებლოდ უნდა
დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასა-
მართლოში გადახდილი 181.12 ლარის, სააპელაციო სასამართლო-
ში გადახდილი 274.43 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახ-
დილი 343 ლარის (სულ 798.55 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე
ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე
მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ს/ს „კ...ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 თებერვლის განჩინება და
საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს/ს „კ...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობი-
ლი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 12 დე-
კემბრის №04/90282 გადაწყვეტილება „საყოველთაო ჯანმრთელო-
ბის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსა-
ხურების ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ“ პაციენტების ლ.
დ-ის, გ. ო-ას, ლ. მ-ეის, ი. მ-ეისა და ვ. გ-ის შემთხვევების ანაზღაუ-
რებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სსიპ ჯანმრთელობის
ეროვნულ სააგენტოს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნე-
ლობის მქონე გარემოებების შეფასების და გამოკვლევის შემდეგ,
კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 აპრილის №04/23679 გადაწყვეტილება ს/ს „კ...ს“ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში;

6. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს ს/ს „კ...ს“ სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 798.55 ლარის (181.12+274.43+343) ანაზღაურება;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. განათლების საკითხთან დაკავშირებით აქტის კანონიერება

ექსპერიმენტულ მუსიკალურ სკოლა-ათნაღები მიღებული განათლების აღიარება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-837(კ-20)

27 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ადმი-
ნისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 15 თებერვალს ი. ა-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითა-
რების ეროვნული ცენტრის მიმართ. მოსარჩელემ სსიპ განათლე-
ბის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 15 იან-
ვრის MES 1 18 00029912 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის
ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
(ი. ა-ის მიერ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერ-
ვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ მუსიკალურ სკოლა-ათ-
ნაღებში 1993-1996 წლებში მიღებული განათლების აღიარების თა-
ობაზე) გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ი. ა-ის სარ-
ჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტ-
ლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითა-
რების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 15 იანვრის MES 1 18 00029912
გადაწყვეტილება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნულ ცენტრს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე
გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დად-

გენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 25¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ლიცენზირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს; ხოლო პირის მიერ პროგრამის ნაწილობრივ გავლა – საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ნაწილის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება და განათლების აღიარების საკითხის გადანაცვება ევა-

ლება საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად, რაც წარმოადგენს დასაბუთებული გადან-ყვეტილების მიღების წინაპირობას. ამასთან, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ნებისმიერ სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესით“ რეგულირებული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების მიერ მიღებული განათლების აღიარების შესაძლებლობა იმთავითვე გულისხმობს მათ მიერ მიღებული განათლების შესახებ სრულყოფილი დოკუმენტაციის არარსებობას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ბრძანებით რეგლამენტირებული განათლების აღიარების მიზანს წარმოადგენს აღმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული პირების მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას სწორედ ამ პირობებში.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1997 წლის 6 ოქტომბრის №1217-გ განკარგულებით თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას ნება დაერთო, მუსიკის ახალგაზრდა მასწავლებელთა და სტუდენტთა პედაგოგიური და მეთოდური მომზადების დონის ამაღლების მიზნით, მეთოდისა და პედაგოგიური პრაქტიკის კათედრასთან 1978 წლის 1 იანვრიდან გაეხსნა ექსპერიმენტული სკოლა-ათნლედი.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 6 ივლისის №3/175 ბრძანებით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათნლედი ლიკვიდირებული/გაუქმებული იქნა 2006 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის 29 დეკემბრის №03/09-5110 წერილის თანახმად, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას-

თან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედით და-
არსების დღიდან – ლიკვიდაციამდე (1978-2006 წწ.) ახორციელებ-
და მხოლოდ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგადასა-
განმანათლებლო დისციპლინების სწავლების უფლების გარეშე. შე-
საბამისად, აღნიშნული სამუსიკო სკოლის მოსწავლე ასევე სწავ-
ლობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ე.წ. საშუალო
სკოლაშიც, რომლის დასრულებისას მას ეძლეოდა ზოგადი განათ-
ლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონ-
სერვატორიის 2017 წლის 31 მარტის №1/264-22(5872) და 2017 წლის
19 აპრილის №1/296-22(5933) წერილების მიხედვით, თბილისის ვა-
ნო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან
არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედის სრული
დოკუმენტაცია (მათ შორის, სოციალურ-უფლებრივი ხასიათის) გა-
დაეცა სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს.

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2017 წლის 8 ნოემბრის
№10/175927 წერილის თანახმად, თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპე-
რიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედს არსებობის მანძილზე
(1977-2006 წწ.) სახელწოდება არ შეუცვლია. არქივში შესულია მხო-
ლოდ 1978-2006 წლებში ხანგრძლივად შესანახი საარქივო დოკუ-
მენტები, რომლებიც მოიცავს თანამშრომელთა დანიშვნა-გათავი-
სუფლების ბრძანებებსა და ხელფასის ბარათებს. არასრულადაა
წარდგენილი ბრძანებები მოსწავლეთა შესახებ და აკადემიური
მოსწრების აღრიცხვის ჟურნალები. სხვა ინფორმაცია, კერძოდ:
ბრძანებები ძირითადი საქმიანობის შესახებ, წესდება/დებულება,
პედსაბჭოსა და სახელმწიფო-საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის
ოქმები, მოწმობა-ატესტატების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნა-
ლები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები არქივში სახელმწი-
ფო დაცვაზე არ არის შესული.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონ-
სერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა
– ათწლედის 1993 წლის №17/7 ბრძანებით ი. ა-ი ჩაირიცხა სამუსი-
კო სკოლა – ათწლედის ... განყოფილების მე-9 კლასში.

1995-1996 სასწავლო წლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრე-
ბის ჟურნალის მიხედვით, ი. ა-მა 1996 წელს დაასრულა სასწავლე-
ბელში სწავლების სრული კურსი. მე-11 კლასში ი. ა-მა მიიღო შემ-
დეგი შეფასება: I -ლი სემესტრი: სოლფეჯიო – 3, ანალიზი – 3, ჰარ-
მონია – 3, სავალდებულო ფორტეპიანო – 3, გუნდი – 5, ხმის დაყე-
ნება-ჩათვლა, ქართული ჰარმონია – 3; II სემესტრი: სოლფეჯიო –
3, ჰარმონია – 4, მუს. ლიტერატურა – 3, სავალდებულო ფორტეპი-

ანო -3, გუნდი – ჩათვლა, ხმის დაყენება – 4, ქართული ჰარმონია – 5, კოლოქვიუმი – 4.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მოსარჩელის მიერ 1993-1996 წლებში თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამუსიკო სკოლა არ წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო საკითხი სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ შეაფასა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სკოლა, წარმოადგენდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებას და ჰქონდა თუ არა სადავო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სწორედ აღნიშნული ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში უნდა შეეფასებინა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტულ მუსიკალურ სკოლა – ათწლეუდში ი. ა-ის მიერ 1993-1996 წლებში მიღებული განათლების აღიარების საკითხი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე-34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 15 იან-

ერის MES 1 18 00029912 გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხეს უნდა დავალებოდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის მიერ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტულ მუსიკალურ სკოლა – ათწლედში 1993-1996 წლებში მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება საკასაციო გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლი, რომელიც განსაზღვრავს აქტის ბათილად ცნობის პირობებს. ცენტრმა სრულად დაიცვა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფორმალური და მატერიალური კანონიერება.

ცენტრმა აქტის გამოცემისას იხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესით“.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ ერთი მხრივ, დადგენილად ცნო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოს კულ-

ტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის 29 დეკემბრის №03/09-5110 წერილის თანახმად, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედის დაარსების დღიდან ლიკვიდაციამდე (1978-2006წწ.) ახორციელებდა მხოლოდ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინის სწავლების უფლების გარეშე. აღნიშნული სამუსიკო სკოლის მოსწავლე ასევე სწავლობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ე.წ. საშუალო სკოლაშიც, რომლის დასრულებისას მას ეძლეოდა ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი. მეორე მხრივ, ცენტრს დაავალა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევა, მაშინ როდესაც თავად სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოება. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა, თუ რა დამატებითი ობიექტური გარემოებები შეიძლებოდა გამორკვეულიყო, რომელთა შედეგად ცენტრი მივიდოდა ი. ა-ის მიმართ კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტამდე.

კასატორის მითითებით, სასამართლო გადაწყვეტილებაში ვერ უთითებს, თუ რომელი კანონის მოთხოვნა დაარღვია ცენტრმა. სასამართლოს მსჯელობა და მიღებული გადაწყვეტილება ემყარება მხოლოდ კანონიერი ნდობის პრინციპს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არც კი არსებობს. ასევე, არასწორად განმარტა კანონიერი ნდობის არსი და მისი მნიშვნელობა, არ მოუხდენია მისი შეპირისპირება კანონიერების პრინციპთან.

კასატორი აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონიერი ნდობა ი. ა-ს მის მიერ მიღებული განათლების მიმართ ობიექტურად ვერც ექნებოდა, ვინაიდან, სამუსიკო სკოლა-ათწლედში სწავლასთან ერთად ამ სკოლის მოსწავლეს პარალელურად შეეძლო ესწავლა საშუალო სკოლაშიც, სადაც მიღებული განათლების შედეგად მის სახელზე გაიცემოდა საგანმანათლებლო დოკუმენტი – ატესტატი, აღნიშნული გარემოება, კასატორის მითითებით, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სამუსიკო სკოლა-ათწლედის არ წარმოადგენდა კვალიფიკაციის მიმნიჭებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას. იგი ახორციელებდა მხოლოდ სამუსიკო პროგრამების სწავლებას, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლების გარეშე.

კასატორის მითითებით, სასამართლო გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას მუსიკალური სკოლა-ათწლედის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლების უფლებამოსილების საკითხის თაობაზე, რითაც უხეშად დაირღვა „საქარ-

თველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის სავალდებულო კრიტერიუმი, რომლის დადგენის მიზნებისთვისაც ცენტრი ამონმებს პირის მიერ პროგრამის სრულად გავლას, მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმის/ბრძანების არსებობას ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალს ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ სხვა სახის დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს. ხოლო პირის მიერ პროგრამის ნაწილობრივ გავლას – საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ნაწილის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. თუმცა ცენტრს, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, უფლება აქვს ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდგომ უარი უთხრას მოსარჩელეს საკითხის განხილვაზე იმ მიზეზით, რომ გამოსაკვლევი საკითხი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას.

კასატორის მითითებით, ვინაიდან ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა არ წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, შესაბამისად, ცენტრი მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ი. ა-ის მიერ 1993-1996 წლებში ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში მიღებული განათლების აღიარების საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება დაუსაბუთებელია, ვინაიდან ცენტრმა გადანყვეტილება მიიღო საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. სახეზე არ არის აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები, ვინაიდან იგი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, მატერიალური და ფორმალური კანონიერების წინაპირობების დაცვით, შესაბამისად, არც ახალი აქტის გამოცემის ვალდებულების წინაპირობა არსებობდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესაშინებლად წარმოება-

ში იქნა მიღებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა- განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს – ი. ა-ის მიერ ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში, 1993-1996 წლებში, მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 15 იანვრის MES 1 18 00029912 გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1997 წლის 6 ოქტომბრის №1217-გ განკარგულებით თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას ნება დაერთო, მუსიკის ახალგაზრდა მასწავლებელთა და სტუდენტთა პედაგოგიური და მეთოდური მომზადების დონის ამაღლების მიზნით, მეთოდისა და პედაგოგიური პრაქტიკის კათედრასთან 1978 წლის 1 იანვრიდან გაეხსნა ექსპერიმენტული სკოლა-ათწლედ.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 6 ივლისის №3/175 ბრძანებით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედ ლიკვიდირებული/გაუქმებული იქნა 2006 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის 29 დეკემბრის №03/09-5110 წერილის თანახმად, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედ დაარსების დღიდან – ლიკვიდაციამდე (1978-2006 წწ.) ახორციელებ-

და მხოლოდ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლების უფლების გარეშე. შესაბამისად, აღნიშნული სამუსიკო სკოლის მოსწავლე ასევე სწავლობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ე.წ. საშუალო სკოლაშიც, რომლის დასრულებისას მას ეძლეოდა ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 2017 წლის 31 მარტის №1/264-22(5872) და 2017 წლის 19 აპრილის №1/296-22(5933) წერილების მიხედვით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედის სრული დოკუმენტაცია (მათ შორის, სოციალურ-უფლებრივი ხასიათის) გადაეცა სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს.

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2017 წლის 8 ნოემბრის №10/175927 წერილის თანახმად, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედს არსებობის მანძილზე (1977-2006 წწ.) სახელწოდება არ შეუცვლია. არქივში შესულია მხოლოდ 1978-2006 წლებში ხანგრძლივად შესანახი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების ბრძანებებსა და ხელფასის ბარათებს. არასრულადაა წარდგენილი ბრძანებები მოსწავლეთა შესახებ და აკადემიური მოსწრების აღრიცხვის ჟურნალები. სხვა ინფორმაცია, კერძოდ: ბრძანებები ძირითადი საქმიანობის შესახებ, წესდება/დებულება, პედსაბჭოსა და სახელმწიფო-საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები, მოწმობა-ატესტატების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები არქივში სახელმწიფო დაცვაზე არ არის შესული.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათწლედის 1993 წლის №17/7 ბრძანებით ი. ა-ი ჩაირიცხა სამუსიკო სკოლა-ათწლედის ... განყოფილების მე-9 კლასში.

1995-1996 სასწავლო წლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჟურნალის მიხედვით, ი. ა-მა 1996 წელს დაასრულა სასწავლებელში სწავლების სრული კურსი. მე-11 კლასში ი. ა-მა მიიღო შემდეგი შეფასება: I-ლი სემესტრი: სოლფეჯიო – 3, ანალიზი – 3, ჰარმონია – 3, სავალდებულო ფორტეპიანო – 3, გუნდი – 5, ხმის დაყენება-ჩათვლა, ქართული ჰარმონია – 3; II სემესტრი: სოლფეჯიო – 3, ჰარმონია – 4, მუს. ლიტერატურა – 3, სავალდებულო ფორტეპიანო – 3, გუნდი – ჩათვლა, ხმის დაყენება – 4, ქართული ჰარმონია – 5, კოლოქიუმი – 4.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ი. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 15 იანვრის MES 1 18 00029912 გადაწყვეტილება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 21 ნოემბრის გასაჩივრებული განჩინებით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და აღნიშნულთან მიმართებაში მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.04.18წ. №ბს-990-986(2კ-17) განჩინებაზე, რომლის თანახმადაც საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მითითებული მუხლით რეგლამენტირებული სასამართლოსათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადავო საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემა, არ წარმოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემო-

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი.

ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები (კანონით დადგენილი წესით), ამდენად, სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, შეიძლება არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს ან შეაფასოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სა-

სამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის მონაწილეთა ვალდებულებას წარმოადგენს, მათ მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ. თავის მხრივ, სასამართლოს ვალდებულებაა, მხარეებს მისცეს მტკიცებულებათა წარდგენისა და საკუთარი პოზიციების დაცვის პროცესუალური შესაძლებლობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ხასიათი მოსამართლეს პროცესში აქტიურ როლს ანიჭებს და აძლევს შესაძლებლობას, იზრუნოს საქმის მართებული გადაწყვეტისათვის საჭირო ინფორმაციისა თუ მტკიცებულებათა დამატებით მოპოვებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეიქმნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრი, ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას. ამავე კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრულია, ცენტრის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები, კერძოდ, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. ამავე კანონის 25¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყე-

ტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს; ხოლო პირის მიერ პროგრამის ნაწილობრივ გავლა – საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ნაწილის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 15 იანვრის MES 1 18 00029912 გადაწყვეტილებას, საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა არ წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რის გამოც ცენტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხილა ი. ა-ის მიერ 1993-1996 წლებში ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში მიღებული განათლების აღიარების საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საკმარისად არ არის დასაბუთე-

ბული არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით. საქმეში დაცული თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლა-ათნლედის 1993 წლის №17/7 ბრძანებით ი. ა-ი ჩაირიცხა სამუსიკო სკოლა-ათნლედის ... განყოფილების მე-9 კლასში, ხოლო 1995-1996 სასწავლო წლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჟურნალის მიხედვით, ი. ა-მა 1996 წელს დაასრულა სასწავლებელში სწავლების სრული კურსი. მე-11 კლასში ი. ა-მა მიიღო შემდეგი შეფასება: I-ლი სემესტრი: სოლფეჯიო – 3, ანალიზი – 3, ჰარმონია – 3, სავალდებულო ფორტეპიანო – 3, გუნდი – 5, ხმის დაყენება-ჩათვლა, ქართული ჰარმონია – 3; II სემესტრი: სოლფეჯიო – 3, ჰარმონია – 4, მუს. ლიტერატურა – 3, სავალდებულო ფორტეპიანო – 3, გუნდი – ჩათვლა, ხმის დაყენება – 4, ქართული ჰარმონია – 5, კოლოქვიუმი – 4. ამდენად, ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან ნათელია, რომ ი. ა-ი სამუსიკო სკოლაში სწავლის პერიოდში სხვა სასწავლო დისციპლინებს არ გადიოდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლის სტატუსი, კერძოდ, ის გარემოება სკოლა ახორციელებდა მხოლოდ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს თუ ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობასაც, ვინაიდან, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და არა სხვადასხვა სამუსიკო, სახელოვნებო თუ სხვა ტიპის პროგრამების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება. აღნიშნული გარემოების დადგენა შესაძლებელია დამატებით იმ ფაქტის გამორკვევით, სამუსიკო სკოლაში სწავლის პარალელურად ი. ა-ი სწავლობდა თუ არა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და შესაბამისად, მიღებული აქვს თუ არა მას შესაბამისი სკოლის დამამთავრებელი ატესტატი.

ამასთან, განსახილველ საქმეზე ასევე ბუნდოვანი და დაუდგენელია, თუ როგორ განხორციელდა ი. ა-ის მიერ სამუსიკო სკოლის ათნლედის 3 წელიწადში დასრულება. საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ ი. ა-ი სამუსიკო სკოლაში ჩაირიცხა მე-9 კლასში და დაასრულა 11 კლასი (1993-1996 წლები). ამდენად, დასადგენია ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლას ხომ არ ჰქონდა ე.წ. ტექნიკუმი/კოლეჯის სტატუსი და 3-წლიანი სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამის გავლის შედეგად ხომ არ იძლეოდა შესაბამის კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში გაუგებარია თუ რამ განაპირობა ი. ა-ის პირდა-

პირ მე-9 კლასში ჩარიცხვა და მის მიერ ათწლეულის სრული კურსის სამ წელიწადში დასრულება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამუსიკო სკოლის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთან არსებობა ავტომატურად არ აქცევს სკოლას – კვალიფიკაციის მიმნიჭებელ დაწესებულებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საქმის მასალებში წარმოდგენილი არასაკმარისი მტკიცებულებისა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოცემულ საკითხზე ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ი. ა-ის მიერ ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სამუსიკო სკოლაში 1993-1996 წლებში მიღებული განათლების აღიარების კანონიერების საკითხზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და საბოლოოდ საქმეზე მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-143(კ-21)

1 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 17 მარტს ა. ც-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 თებერვლის MES 6 20 00193345 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (შპს „მ...ის ინსტიტუტის“ მიერ ა. ც-ის სახელზე 2010 წელს გაცემული ბაკალავრის MMCI №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურების შესახებ) გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2020 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ც-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ა. ც-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ... ინსტიტუტის რექტორის 2002 წლის 2 სექტემბრის №25 ბრძანებით, ... ფაკულტეტის ...ის სპეციალობის დღის განყოფილებაზე, პირველი კურსის სტუდენტად ა. ც-ის ჩარიცხვა სრულ შესაბამისობაში იყო იმ დროს მოქმედ კანონმდებლობასთან, თუმცა ვინაიდან, ... ინსტიტუტის რექტორის 2004 წლის 21 ივლისის №14 ბრძანებით, ... ფაკულტეტის დღის განყოფილების მეორე კურსის (ჯგ. №2) სტუდენტი ა. ც-ე ამოირიცხა ინსტიტუტიდან აკადემიური ჩამორჩენილობის და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ა. ც-ეს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ სტუდენტის სტატუსის აღსადგენად იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების ვალდებულებას და მიუთითა, რომ 2006 წლის 7 ოქტომბრის მდგომარეობით (ა. ც-ის შპს „მა....ის ინსტიტუტში“ ჩარიცხვის დღეს მოქმედი რედაქციით) „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული/ამოირიცხული პირების ამავე ან სხვა დაწესებულებაში ჩარიცხვა/აღდგენა, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულნი იყვნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, ნებადართული იყო მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2005 წლიდან პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით პირველ სა-

ფეხურზე სწავლის უფლებას აბიტურიენტები მოიპოვებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მხოლოდ მონაწილეობა არ იყო საკმარისი სწავლის უფლების მოსაპოვებლად, არამედ მიღებული ქულების შესაბამისად გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენდა გამოცდა-გავლილი აბიტურიენტების სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ესწავლათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე პროფესიული უმაღლესი განათლების ან აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამით. შესაბამისად, აბიტურიენტს, ერთი მხრივ, მონაწილეობა უნდა მიეღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში და გადაეღაზა მინიმალური ზღვარი, მეორე მხრივ კი, მის მიერ მიღებული შედეგი საკმარისი უნდა ყოფილიყო გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ სიაში მოხვედრისთვის, რასაც უკავშირდებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა.

ა. ც-ემ მონაწილეობა მიიღო 2005 წლის და 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში, თუმცა მან ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ... ინსტიტუტიდან გარიცხვის შემდეგ, 2006 წელს, აპელანტმა შპს „მა...ის ინსტიტუტში“ სწავლის უფლება მოიპოვა არა კანონის თანახმად, საყოველთაოდ დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით, არამედ, ეროვნული გამოცდების ჩაბარების გვერდის ავლით, მხოლოდ უნივერსიტეტის ბრძანების საფუძველზე. თავად საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ჩაირიცხა აპელანტი – შპს „მა...ის ინსტიტუტი“ იყო არააკრედიტებული. შესაბამისად, 2006 წლის მდგომარეობით სახელმწიფოსაგან არ ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება განეხორციელებინა სტუდენტების ჩარიცხვა, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2008 წელს აპელანტი ასევე ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხა შპს „მა...ის ინსტიტუტის“ ... ფაკულტეტის მესამე კურსზე.

სააპელაციო პალატამ ასევე გამორიცხა აღნიშნული დიპლომის მიმართ აპელანტის კანონიერი ნდობის არსებობა, ვინაიდან მოსარჩელე ჯერ შპს „მა...ის ინსტიტუტში“, ხოლო შემდეგ შპს „მა...ის ინსტიტუტში“ ჩაირიცხა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, კანონმდებლობით დადგენილი წესის (ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლა) გვერდის ავლით. ასევე, სახეზე იყო ინსტიტუციური აკრედიტაციის გარეშე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფაქტი. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ აპელანტის მხრიდან კანონიერი ნდობის ამოქმედების სამართლებრივ საფუძველს გამორიცხავდა ის გარემოება, რომ ინსტიტუციური აკ-

რედიტაციის გავლის გარეშე განხორციელებული საგანმანათლებლო მომსახურეობის შედეგად გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტს სახელმწიფო არ სცნობდა და არ უკავშირებდა იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც გამომდინარეობდა სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ც-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ მან სტუდენტის სტატუსი მოიპოვა ერთიან ეროვნულ გამოცდების დანერგვამდე. მართალია 2004 წელს ის ამოირიცხა ინსტიტუტიდან აკადემიური ჩამორჩენილობის და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, თუმცა ეს მოქმედება თავისი შინაარსით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი წესების შესაბამისად, წარმოადგენდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების ფორმას და ის ხორციელდებოდა როგორც აკადემიური ჩამორჩენილობის, ასევე ფინანსური დავალიანების გამო და სტუდენტს უფლება ჰქონდა შესაბამისი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში (ფინანსური დავალიანების დაფარვა) ყოველგვარი გამოცდების გარეშე აღდგენილიყო და გაეგრძელებინა სწავლა იმავე ან/და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ ა.ც-ის ამოირიცხვა განხორციელდა ფინანსური დავალიანების გამო და არა კონკრეტული საგნის სწავლის შედეგის დაუძლეველობის საფუძველზე.

კასატორის მითითებით, სასამართლომ გამოიყენა უმაღლესი განათლების შესახებ კანონი და განმარტა, რომ ა. ც-ეს 2004 წლის შემდგომ (ამოირიცხვა) სწავლის გაგრძელების უფლება ჰქონდა მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე და მას არ ჰქონდა უფლება, აღნიშნული გამოცდების ჩაბარების გარეშე გადაყვანის წესით გადასულიყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და იქ გაეგრძელებინა/დაესრულებინა განათლების მიღება. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ეროვნულ გამოცდებამდე, მისი უმაღლესი სასწავლებელში ჩარიცხვის ფაქტი და ასევე ის გარემოება, რომ როგორც ფინანსური დავალიანების, ასევე აკადემიური მოუსწრებლობის და სხვა ნებისმიერი საფუძვლის შემთხვევაში, იმ პერიოდისათვის ხორციელდებოდა სტუდენტის ამოირიცხვა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით ნათლად არის გაწერილი წესი, რა შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და რა შემთხვევაში სტატუსის შეჩე-

რება. საკითხის შინაარსობრივი ანალიზის შედეგად ნათელია რომ ა. ც-ის არ დაუკარგავს სტუდენტის სტატუსი და მას უფლება ჰქონდა სწორედ ა. ც-ის ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე მოეხდინა გადაყვანის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა, სწავლის გაგრძელება და დასრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 მარტის განჩინებით (მოსამართლე – ალექსანდრე წულაძე) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ც-ის საკასაციო საჩივარი.

მოსამართლე ალექსანდრე წულაძის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ არჩევის გამო, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე გ. აბუსერიძეს.

მოსამართლე გ. აბუსერიძემ 2021 წლის 26 ივლისის განჩინებით საქმეზე განაცხადა თვითაცილება, რის შემდეგაც, 2021 წლის 13 სექტემბერს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული საქმე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განაწილდა მოსამართლე – ქ. ცინცაძეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ა. ც-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ც-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ... ინსტიტუტის რექტორის 2002 წლის 2 სექტემბრის №25 ბრძანებით, 2002 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში მისაღები გამოცდების პირველი და მეორე ეტაპის შედეგების მიხედვით, 2002-2003 სასწავლო წლის ... ფაკულტეტის ...ის სპეციალობის დღის განყოფილებაზე, პირველი კურსის სტუდენტად ჩაირიცხა ა. ც-ე. რექტორის 2003 წლის 20 ივლისის №14 ბრძანებით, ... ფაკულტეტის დღის განყოფილების პირველი კურსის (ჯგ. №2) სტუდენტი ა. ც-ე გადაყვანილ იქნა მეორე კურსზე. ... ინსტიტუტის

რექტორის 2004 წლის 21 ივლისის №14 ბრძანებით, ... ფაკულტეტის დღის განყოფილების მეორე კურსის (ჯგ. №2) სტუდენტი ა. ც-ე ამოირიცხა ინსტიტუტიდან, სწავლის საფასურის გადაუხდელობის და აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

საქმეზე დადგენილია, რომ შპს „მა...ის ინსტიტუტის“ რექტორის 2006 წლის 7 ოქტომბრის №21 ბრძანებით ა. ც-ე ჩაირიცხა შპს „მა...ის ინსტიტუტში“ ...ის სპეციალობის მე-2 კურსზე. შპს „მა...ის ინსტიტუტის“ რექტორის 2008 წლის 24 მარტის №08/11 ბრძანებით ა. ც-ე ჩაირიცხა შპს „მა...ის ინსტიტუტის“ ... ფაკულტეტის მე-3 კურსზე. შპს „მა...ის ინსტიტუტმა“ 2010 წლის 27 იანვარს ა.ც-ის სახელზე გასცა დიპლომი MMCI №... (რეგისტრაციის №...), რომლის თანახმად, შპს მა...ის ინსტიტუტის ... ფაკულტეტის 2009 წლის 29 ივლისის №09/29 გადაწყვეტილებით ა. ც-ეს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამართლის სპეციალობით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს დადგენილად მიჩნეულ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, 1992 წლის 3 ივლისს გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №... ლიცენზია, რომლითაც ნება დართო საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს გ. გ-ას რეგისტრაციაში გაეტარებინა ბ...ის ინსტიტუტი, როგორც ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი. ქ. თბილისის ...ის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს „ბ...ის ინსტიტუტი“ (რეგისტრაციის №...)

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-18/155 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 18 იანვრის №11 ოქმის საფუძველზე, ბ...ის ინსტიტუტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი, არ არის ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის – საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2019 წლის №1755418 წერილის შესაბამისად, ბ...ის ინსტიტუტში 2005 წელს და 2006 წელს ჩარიცხულები არიან აბიტურიენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 12 ნოემბრის ბრძანებით შევიდა ცვლილება უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინ-

სპექციის 2007 წლის 01 აგვისტოს №11740/006-5/4-274 ბრძანების საფუძველზე, შპს „ბ...ის ინსტიტუტს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „მარ...ის ინსტიტუტი“. 2008 წლის 13 თებერვალს აღნიშნულ იურიდიულ პირს ეწოდა შპს „მ...ის ინსტიტუტი“, ხოლო 2010 წლის 29 ივნისიდან ეწოდებოდა შპს „მ...ის სასწავლო უნივერსიტეტი“. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის 23-ე პუნქტის შესაბამისად, შპს „მ...ის სასწავლო უნივერსიტეტს“ ცენტრში წარდგენილი ჰქონდა ჩარიცხულ პირთა სია და საქმიანობას ახორციელებდა ლიცენზირებულ რეჟიმში. თუმცა, აღნიშნულმა იურიდიულმა პირმა 2016 წლის 11 მაისს №497665 კორესპონდენციით აცნობა ცენტრს, რომ 2014 წლიდან შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 4 მაისის MES 9 20 00361152 წერილის თანახმად, ა. ც-ემ მონაწილეობა მიიღო 2005 წლის და 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში, თუმცა მან ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კერძოდ, 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, მის მიერ მიღებულ შეფასებას წარმოადგენდა: ქართული ენა და ლიტერატურა – 55 ქულა (სკალირებული ქულა – 151,0), ზოგადი უნარები – 46 ქულა (სკალირებული ქულა – 146,6), ინგლისური ენა – 48 ქულა (სკალირებული ქულა – 150,0). 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, მის მიერ მიღებულ შეფასებას წარმოადგენდა: ქართული ენა და ლიტერატურა – 59 ქულა (სკალირებული ქულა – 148,5), ზოგადი უნარები – 32 ქულა (სკალირებული ქულა – 135,5), ინგლისური ენა – 67 ქულა (სკალირებული ქულა – 158,8).

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 თებერვლის MES 6 20 00193345 გადაწყვეტილებით განმცხადებელს უარი ეთქვა MMCI №... ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე, იმ საფუძველით, რომ ა.ც-ის მიერ შპს „მ...ის ინსტიტუტში“ სწავლების პერიოდი, მისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია და მის სახელზე გაცემული ბაკალავრის MMCI №... დიპლომი არ იყო აღიარებული სახელმწიფოს მიერ. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, ნამდვილობის დადასტურების წინაპირობას წარმოადგენდა პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლა) ჩარიცხვა და მიღებული განათლების სახელმწიფო აღიარების თაობაზე ცენტრისთვის განცხადებით მიმართვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია განათ-

ლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა (მუხლი 1). ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას.

მოცემული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. ხოლო, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესსა და საფასურებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად.

მითითებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საქართველოში გაცემული უმაღლესი/პროფესიული განათლების და მაღასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ან საგანმანათლებლო პროგრამის გავლის/მიღებული შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების მიზნით, პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლისა და პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების/მიღებული შეფასებების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს ადასტურებს პირის სახელზე გაცემული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის დროს

ცენტრი ამონმებს საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილებას, სწავლის პერიოდისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის სახელმწიფო აღიარებას და ამ დოკუმენტში კვალიფიკაციის ასახვისას, მის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მითითებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, 2005 წლიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი დამატებით ამონმებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის ფაქტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რესტრის მონაცემებით გადამონმებად სხვა ინფორმაციას.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 თებერვლის MES 6 20 00193345 გადაწყვეტილებით, განმცხადებელს – ა. ც-ეს უარი ეთქვა MMCI №... ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე, იმ საფუძვლით, რომ მის მიერ შპს „მ...ის ინსტიტუტი“ სწავლების პერიოდი, მინიჭებული კვალიფიკაცია და მის სახელზე გაცემული ბაკალავრის MMCI №... დიპლომი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. გადაწყვეტილების თანახმად, ნამდვილობის დადასტურების წინაპირობას წარმოადგენს პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლა) ჩარიცხვა და მიღებული განათლების სახელმწიფო აღიარების თაობაზე ცენტრისთვის განცხადებით მიმართვა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ... ინსტიტუტის რექტორის 2002 წლის 2 სექტემბრის №25 ბრძანების თანახმად, 2002 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში მისაღები გამოცდების პირველი და მეორე ეტაპის შედეგების მიხედვით, 2002-2003 სასწავლო წლის ... ფაკულტეტის ...ის სპეციალობის დღის განყოფილებაზე, პირველი კურსის სტუდენტად ჩაირიცხა ა. ც-ე. ... ინსტიტუტის რექტორის 2003 წლის 20 ივლისის №14 ბრძანებით, ... ფაკულტეტის დღის განყოფილების პირველი კურსის (ჯგ. №2) სტუდენტი ა. ც-ე გადაყვანილ იქნა მეორე კურსზე. ... ინსტიტუტის რექტორის 2004 წლის 21 ივლისის №14 ბრძანებით, ... ფაკულტეტის დღის განყოფილების მეორე კურსის (ჯგ. №2) სტუდენტი ა. ც-ე ამოირიცხა ინსტიტუტიდან, სწავლის საფასურის გადაუხდელობის და აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოპასუხის (მოწინააღმდეგე მხარის) პოზიცია არსებითად ეფუძნება იმ გარემოებას, ... ინსტიტუტის რექტორის 2004 წლის 21 ივლისის №14 ბრძანებით, ... ფაკულტეტის დღის განყოფილების მეორე კურსის (ჯგ. №2) სტუდენტი ა. ც-ე ამოირიცხა ინსტიტუტიდან, შემდგომში კი, შპს „მა...ის ინსტიტუტის“ რექტორის 2006 წლის 7 ოქტომბრის №21 ბრძანებით ა. ც-ე ჩაირიცხა ამავე სასწავლებელში ... ის სპეციალობის მე-2 კურსზე, ხოლო, შპს „მა...ის ინსტიტუტის“ რექტორის 2008 წლის 24 მარტის №08/11 ბრძანებით ა.ც-ე ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის ... ფაკულტეტის მე-3 კურსზე, რაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შეფასებით, წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების გვერდის ავლას და ეწინააღმდეგება იმ დროისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ... ინსტიტუტში, 2002-2003 სასწავლო წლის ... ფაკულტეტის ...ის სპეციალობის დღის განყოფილებაზე, პირველი კურსის სტუდენტად ა.ც-ე ჩაირიცხა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „მა...ის ინსტიტუტის“ რექტორის 2006 წლის 7 ოქტომბრის №21 ბრძანებით ა. ც-ის ...ის სპეციალობის მე-2 კურსზე ჩარიცხვასა და შპს „მა...ის ინსტიტუტის“ რექტორის 2008 წლის 24 მარტის №08/11 ბრძანებით ა. ც-ის ... ფაკულტეტის მე-3 კურსზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმ პერიოდში უკვე მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (2004 წლის 21 დეკემბერი. №688 – რს) ადგენდა, რომ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლება ჰქონდა მხოლოდ შესაბამისი შედეგებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილ აბიტურიენტს (მუხლი 52.1). თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება გავრცელდა მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე (გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 2, 10/01/2005). შესაბამისად, მოცემული კანონის ამოქმედების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისთვის უკვე აუცილებელი იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება, მაგრამ აღნიშნული წესი არ ეხებოდა იმ პირებს, რომლებსაც ასეთი უფლება უკვე მოპოვებული ჰქონდათ.

შესაბამისად, 2006 წელს ა. ც-ის შპს „მა...ის ინსტიტუტში“ ...ის სპეციალობის მე-2 კურსზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით, საკასა-

ციო სასამართლო მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პოზიციას იზიარებს იმ ნაწილში, რომ ამ დროისთვის, უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის ჩასარიცხად უკვე აუცილებელი იყო ეროვნული გამოცდების ჩაბარება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის პოზიციას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, ა. ც-ის (რომელსაც უკვე მოპოვებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი და ის უფლებები, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სტუდენტს ენიჭებოდა) მე-2 კურსზე ჩარიცხვა/გადაყვანა განხორციელდა უკანონოდ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა უშვებდა უმაღლესი სასწავლებლის შეცვლის შესაძლებლობას. კერძოდ, „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (25/05/2006 – 28/03/2007) მე-40 მუხლის, პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს უფლება ჰქონდა ერთი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადასულიყო მეორე საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ამ უკანასკნელის თანხმობით) იმავე საფეხურზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ სადავო პერიოდის განმავლობაში (მოსარჩელე ა. ც-ის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განმავლობაში (28.03.2005 (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების მიღების თარიღი) – 27.01.2010 (დიპლომის გაცემის თარიღი)) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება მოქმედებდა გასხვავებული რედაქციით და ადგენდა სხვადასხვა წესებს სტუდენტის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღდგენის/ჩარიცხვის შესახებ. კერძოდ, პირველადი სახით, დებულების (მოქმედი რედაქცია – 01/04/2005 – 07/07/2005) 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად ადგენდა, რომ – სტუდენტის ჩარიცხვა სხვა, მათ შორის, არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის წესით ნებადართული იყო მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში. ჩარიცხვის იგივე წესი ვრცელდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სტუდენტების ამავე ან სხვა დაწესებულებაში ჩასარიცხად/აღსადგენად.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში“ ცვლილებებისა და და-

მატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 ივლისის №337 ბრძანებით განისაზღვრა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის გადმოყვანა დასაშვებია იყო მხოლოდ ამ ბრძანების მე-6 მუხლით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში... სტუდენტის ჩარიცხვა სხვა, მათ შორის არა-აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის წესით ნებადართული იყო მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღები სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში. ჩარიცხვის იგივე წესი ვრცელდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სტუდენტების ამავე ან სხვა დაწესებულებაში ჩასარიცხად/აღსადგენად (ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება, მუხლი 1.18).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 24 ნოემბრის №639 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში. დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტის ჩარიცხვა გადაყვანის წესით დასაშვებია იყო მხოლოდ ამ ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში, რაც აისახებოდა რექტორის ერთიან ინდივიდუალურ აქტში. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული პირების ამავე ან სხვა დაწესებულებაში ჩარიცხვა/აღდგენა, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულნი იყვნენ კანონმდებლობის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ნებადართული იყო მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში, გარდა ამ დებულების 23-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა (სტუდენტები, რომლებიც გაირიცხნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება).

ამავე ცვლილების საფუძველზე, დებულებაში, პირველად, ცალკე შემთხვევად გამოიყო – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე ჩარიცხულ სტუდენტთა გადასვლის საკითხი. კერძოდ, დებულების 23-ე მუხლის მე-5 პუნქტით განისაზღვრა,

რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ პირების ჩარიცხვა გადასვლის წესით, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე ჩაირიცხნენ საქართველოს (მათ შორის, არააკრედიტებულ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხორციელდებოდა ამ დებულების 22-ე მუხლის 3¹ პუნქტით განსაზღვრული წესით (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების ჩარიცხვები გადაყვანის წესით), აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული მისაღები სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში, თუ: ა) არსებობდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ, რითაც პირი სწავლობდა. პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითებოდა შესაბამისობები და შეუსაბამობები მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამასთან, რომელზეც პირს სურდა სწავლის გაგრძელება; ბ) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ჩატარებული წერილობითი გამოცდის შედეგად დასტურდებოდა, რომ პირს ათვისებული ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროგრამა.

ამდენად, მოცემულ ეტაპზე დადგინდა ორი განსხვავებული შემთხვევა – პირველი შემთხვევის მიხედვით – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული პირების, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულნი იყვნენ კანონმდებლობის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ამავე ან სხვა დაწესებულებაში ჩარიცხვა/აღდგენა, – ნებადართული იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ხოლო მეორე შემთხვევის მიხედვით, იმ პირების ჩარიცხვა – გადასვლის წესით, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებამდე, ჩაირიცხნენ საქართველოს (მათ შორის, არააკრედიტებულ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხორციელდებოდა ამ დებულების 22-ე მუხლის 3¹ პუნქტით განსაზღვრული – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების ჩარიცხვები/გადაყვანის წესით.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიერ შეაფასებელია ის გარემოება, ა. ც-ის მა.....ის ინსტიტუტში მე-2 კურ-

სზე ჩარიცხვა უნდა განხორციელებულიყო დებულების შესაბამისად გარიცხული პირებისათვის დადგენილი წესით თუ ამავე დებულების 23-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ჩარიცხვა/გადაყვანის წესით. აღნიშნული გარემოების დასადგენად კი არსებითად მნიშვნელოვანია შეფასდეს სადავო პერიოდში ა.ც-ის სტატუსი და მის მიმართ გამოცემული ... ინსტიტუტის რექტორის 2004 წლის 21 ივლისის №14 ბრძანების სამართლებრივი ბუნება. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ... ფაკულტეტის დღის განყოფილების მეორე კურსის (ჯგ. №2) სტუდენტი ა. ც-ე ამოირიცხა ინსტიტუტიდან სწავლის საფასურის გადაუხდელობის და აკადემიური ჩამორჩენილობის გამო.

საკაცაციო სასამართლო განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ 2004 წლის 21 ივლისის №14 ბრძანება გამოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე. ამდენად, სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობდა და არ მიჯნავდა ისეთ ტერმინებს და სტატუსს როგორიცაა – სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა. დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ორი შემთხვევისთვის, განსხვავებულია როგორც სამართლებრივი საფუძვლები, ისე შედეგები, რაც დეტალურად არის განერილი კანონმდებლობაში. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტატუსის შეჩერების საფუძველთაგან კი ერთ-ერთია – ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რაც გახდა ა. ც-ის სასწავლებლიდან ამორიცხვის საფუძველი, ხოლო ფინანსური დავალიანების თანმდევი შედეგი იყო საგნების გავლის შეუძლებლობა – ე.წ. აკადემიური ჩამორჩენილობა. კერძოდ, ფინანსური დავალიანების გამო არ ხდებოდა სტუდენტის საგნებზე დაშვება, რაც ავტომატურად მის აკადემიურ ჩამორჩენილობას იწვევდა. ამდენად, ცალსახაა, რომ ა. ც-ის მიმართ გამოცემული ბრძანება მისი ამორიცხვის შესახებ თავისი სამართლებრივი ბუნებითა და შინაარსით – დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – სტუდენტის სტატუსის შეჩერებას უთანაბრდებოდა.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ცალსახაა, რომ ა. ც-ის სწავლის პერიოდში, კანონმდებლობით არ იყო ცალსახად განსაზღვრუ-

ლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ამორიცხვის საფუძვლები და შედეგები, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების ცნებები, მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, ვალდებული იყო შეეფასებინა, რა შემთხვევაა სახეზე – სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, როდესაც მან, კონკრეტული მომენტისთვის დაკარგა სტუდენტად ყოფნის უფლება და თანმდევი უფლება-მოვალეობანი თუ სტატუსის შეჩერება, გამომდინარე მათი განსხვავებული საფუძვლებიდან და ასევე განსხვავებული სამართლებრივი შედეგებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 01/08/2006 – 11/10/2006 პერიოდში, როდესაც, ა. ც-ე 2006 წლის 7 ოქტომბერს მა...ის ინსტიტუტში მე-2 კურსზე ჩაირიცხა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მოქმედი რედაქციის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენდა, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული/ამორიცხული პირების ამავე ან სხვა დაწესებულებაში ჩარიცხვა/აღდგენა, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულნი იყვნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, ნებადართული იყო მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტად ჩარიცხვა). თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული შემთხვევა ეხებოდა სტუდენტის გარიცხვა/ამორიცხვის შემთხვევას, თუმცა გარიცხვა/ამორიცხვის სამართლებრივი საფუძვლები ბრძანებით განსაზღვრული არ ყოფილა. სტუდენტის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან გარიცხვა/ამორიცხვის საფუძვლები ასევე არ იყო განსაზღვრული „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დროს მოქმედი რედაქციით.

დებულების 22¹ მუხლის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვა გადაყვანის წესით) პირველი პუნქტი კი ადგენდა, რომ სტუდენტების ჩარიცხვები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით შესაძლებელი იყო სწავლების მეორე წლიდან კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 2-ჯერ, შესაბამისი სასწავლო წლის 1 ოქტომბრამდე ან სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტი კი უთითებდა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა, თუ მათი რა-

ოდენობა აღემატებოდა აკრედიტაციის შედეგად მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობას, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანა მიმღებ დაწესებულებაში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე შესაძლებელი იყო, თუ: ა) არსებობდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილება სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ; ბ) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ჩატარებული წერილობითი გამოცდის შედეგად დასტურდებოდა, რომ პირს ათვისებული ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროგრამა.

მოსარჩელე ა. ც-ის მ...ის ინსტიტუტში ჩარიცხვის ეტაპზე (24.04.2008), ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული/ამორიცხული პირები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულნი იყვნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, ამავე დაწესებულებაში შეიძლებოდა ჩარიცხულიყვნენ აღდგენის წესით მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა (უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება).

დებულების VI თავი ეხებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების გადაყვანის და აღდგენის წესის ჩარიცხვას. მოცემულ თავში არსებული 22² მუხლის (გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლების მქონე სტუდენტი) პირველი პუნქტის მიხედვით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება ჰქონდა აკრედიტებულ სტუდენტს, სწავლების მეორე წლიდან, კერძოდ, თუ იგი: ა) სწავლობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ბ) სწავლობდა იმ არაკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა მას კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებულად ეთვლებოდა. მუხლი 22⁷-ის (სტუდენტის გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის აუცილებელი მოთხოვნები) მე-2 პუნქტი კი ადგენდა, რომ ერ-

თიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვა, თუ მსურველთა რაოდენობა აღემატება მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის გამოქვეყნებული ადგილების რაოდენობას, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან არააკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვა მიმღებ დაწესებულებაში არსებულ გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის გამოყოფილ ადგილებზე შესაძლებელი იყო, თუ: ა) არსებობდა მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი მოტივირებული გადანაცვტილება სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ; ბ) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ჩატარებული წერილობითი გამოცდის შედეგად დასტურდებოდა, რომ პირს ათვისებული ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროგრამა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოთა და მოპასუხე მხარის პოზიციას, რომ ა. ც-ის მიერ უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა/გადაყვანა, აუცილებლად საჭიროებდა მის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას, ვინაიდან, ა. ც-ეს კანონის შესაბამისად უკვე მოპოვებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ ა. ც-ემ ჯერ 2006 წლის 7 ოქტომბერს მა...ის ინსტიტუტში მე-2 კურსზე, ხოლო შემდეგ, 2008 წლის 24 მარტს მ...ის ინსტიტუტის ... ფაკულტეტის მე-3 კურსზე განაგრძო – 2002 წელს, ... ინსტიტუტში დაწყებული სწავლა. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებათა სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე არ დგინდება, რომ ა. ც-ეს 2004 წელს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი და მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ ა. ც-ისთვის დიპლომის გაცემამდე (27.01.2010) დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად (4.12.2009 №1098), დებულების 22² მუხლით (გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლების მქონე სტუდენტი) დადგინდა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება ჰქონდა პირს, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს უმაღლეს საგანმანათ-

ლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, თუ გადაყვანის წესით ჩარიცხვამდე დაგროვებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული იქნება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომელშიც პირი აგრძელებდა სწავლას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით აღნიშნული დებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა).

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმ პერიოდში, როდესაც ა.ც-ემ ჯერ 2006 წლის 7 ოქტომბერს მა...ის ინსტიტუტში მე-2 კურსზე, ხოლო შემდეგ, 2008 წლის 24 მარტს მ...ის ინსტიტუტის ... ფაკულტეტის მე-3 კურსზე განაგრძო 2002 წელს, ...ინსტიტუტში დაწყებული სწავლა, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდის შესაბამისი შედეგებით ჩაბარება იყო სტუდენტის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისა და სწავლის დაწყების აუცილებელი წინაპირობა, თუმცა არ წარმოადგენდა ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაწყებული სწავლის სხვა სასწავლებელში გაგრძელების, ანუ სასწავლებლის შეცვლისათვის აუცილებელ წინაპირობას, იმ შემთხვევაში თუკი, პირს უკვე ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლება მოპოვებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, სხვა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისათვის, არ იყო აუცილებელი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. აღნიშნული გულისხმობს ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში გადაყვანის შემთხვევას და არ მოიცავს და არ მოიაზრებს იმ შემთხვევას, როდესაც პირს ერთხელ მოპოვებული სტუდენტის სტატუსი შეუწყდა და დაკარგა და ხელახლა სურდა უმაღლეს სასწავლებელში აღდგენა/ჩარიცხვა.

მოცემულ შემთხვევაში კი, ცალსახად დგინდება, რომ ა. ც-ეს სწავლა არ დაუწყია ხელახლა, პირველი კურსიდან, არამედ მან გააგრძელა მის მიერ დაწყებული განათლების მიღების პროცესი სხვა უმაღლეს სასწავლებელში. ფაქტობრივად მოხდა არა მისი ხელახალი ჩარიცხვა, არამედ გადასვლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს კიდევ ერთხელ მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობდა და მიჯნავდა ისეთ ცნებებს, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა. კანონმდებლობაში და როგორც საქმის მასალებიდანაც დგინდება, პრაქტიკაშიც გამოიყენებოდა ტერმინი – ამორიცხვა/გარიცხვა, თუმცა, მოქმედი კა-

ნონმდებლობის გათვალისწინებით და ა. ც-ის მიმართ გამოცემული ბრძანების შინაარსის გათვალისწინებით, მის მიმართ არსებობდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების (ფინანსური დავალიანება და მისგან გამომდინარე აკადემიური ჩამორჩენილობა) და არა შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები, რაც თავის მხრივ, ა. ც-ეს ანიჭებდა უფლებამოსილებას სწავლა გაეგრძელებინა სხვა უმაღლეს დაწესებულებაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებას, იმის თაობაზე, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ სწავლის გასაგრძელებლად მას აუცილებლად სჭირდებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, რის გამოც, მან 2005 წლის და 2006 წლის გამოცდებში მიიღო მონაწილეობა, თუმცა ვერ მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება არ ხდებოდა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მიზნით. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა ასევე გაითვალისწინა სახელმწიფო სასწავლო გრანტის ცნება, რომელიც ნიშნავდა – სახელმწიფოს მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტისათვის გადაცემულ თანხას, რომელიც განკუთვნილი იყო სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) დასაფინანსებლად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს სარწმუნოდ მიაჩნია, რომ მოსარჩელეს შესაძლოა სწორედ გრანტის მოპოვების მიზნით და უფასოდ/შელავათიანად სწავლისათვის სურდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ამასთან, შემდგომში, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 29 ივნისის ბრძანება №641-ით განსაზღვრულ იქნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უფლებამოსილი იყო გასულიყო ერთიან ეროვნულ გამოცდაზე. ამ სტუდენტზე ვრცელდებოდა ამ დებულების მე-20 მუხლის (ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების მოქმედების ვადა და მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების წესი) მე-4-

6 პუნქტები.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“ არეგულირებდა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და აბიტურიენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების პირობებს, აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზაციის საკითხებს. დებულების მე-9 მუხლის მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებამდე ეროვნული გამოცდების ცენტრი საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალობების/ფაკულტეტების ნუსხის, შესაბამისი საგამოცდო განრიგებისა და აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობარის შედგენის მიზნით უზრუნველყოფდა აბიტურიენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზების შექმნას. ამავე დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ცენტრი უზრუნველყოფდა აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობარების გამოცემას. ცნობარში აისახებოდა დაწესებულების სპეციალობა/ფაკულტეტი, რომლებზეც მიმდინარე წელს ინარმოებოდა აბიტურიენტთა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე. საქმეზე დადგენილია, რომ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2019 წლის №1755418 წერილის შესაბამისად, ბ...ის ინსტიტუტში (სახელის შეცვლის შემდგომ – შპს მ...ის ინსტიტუტი) 2005 წელს და 2006 წელს ჩარიცხულები არიან აბიტურიენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საქმეზე ასევე დადგენილია, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-18/155 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 18 იანვრის №11 ოქმის საფუძველზე, ბ...ის ინსტიტუტს (შემდგომში ეწოდა – შპს „მ...ის სასწავლო უნივერსიტეტი“) მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „მ...ის ინსტიტუტის“ აკრედიტაციის საკითხი ასევე ვერ გახდება ა. ც-ის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ც-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე მიღებულ იქნეს ახა-

ლი გადაწყვეტილება, რომლითაც ა.ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავდროულად მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების პირობებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ი ბ ა :

1. ა. ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 თებერვლის MES 6 20 00193345 გადაწყვეტილება;
5. მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა – შპს „მ...ის ინსტიტუტის“ მიერ ა. ც-ის სახელზე 2010 წელს გაცემული ბაკალავრის MMCI №... დიპლომის ნამდვილობის დადასტურების შესახებ;
6. მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დაეკისროს – ა. ც-ის სასარგებლოდ, მის მიერ საქა-

ლაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სა-
ხელმწიფო ბაჟის – ჯამში 550 ლარის (100 ლარი, 150 ლარი და 300
ლარი) ანაზღაურება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-
ბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო სკოლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობები

განცხადება საქართველოს სახელით

№ბს-586(კ-21)

07 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ბ. სტურუა

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. მ-მა 2018 წლის 20 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-
მინისტროს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ ქალაქ თბილისის №... სკო-
ლის დირექტორობის კანდიდატად დ.მ-ის წარდგენაზე უარის
თქმის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტუ-
რისა და სპორტის სამინისტროს მიერ, სასამართლო გადაწყვეტი-
ლების აღსრულების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 23 ივ-
ლისის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა
და მოპასუხისათვის სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტო-
რობის კანდიდატად მოსარჩელე დ.მ-ის წარდგენის თაობაზე ახა-
ლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება
მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლიდან იყო თბილისის №...
სკოლის დირექტორი და სერტიფიცირების ეტაპის წარმატებით

დასრულების საფუძველზე, 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გადაეცა საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით, დირექტორობის უფლების მქონე პირების საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის ასარჩევად წარდგენის მიზნით შექმნილ კომისიასთან მოსარჩელემ თბილისის №... სკოლის დირექტორის კანდიდატად შესარჩევად გაიარა გასაუბრება, თუმცა კომისიის 2014 წლის 25 აგვისტოს დაუსაბუთებელი და სუბიექტური გადაწყვეტილებით არ იქნა წარდგენილი სკოლის დირექტორის ასარჩევად სამეურვეო საბჭოსთვის. კომისიის შესაბამისი ოქმი გასაჩივრდა სასამართლოში. კანონიერ ძალაში შესული 2016 წლის 28 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული და ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელე დ.მ-ის მოთხოვნა, რომლითაც კომისიას დაევალა საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი აქტის გამოცემა.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით კომისიამ იმსჯელა, თუმცა მიიღო იგივე გადაწყვეტილება, რომლითაც არც ამ ეტაპზე მიეთითა დირექტორის კანდიდატად წარდგენაზე უარის კონკრეტული საფუძველი, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ დაირღვა როგორც საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლოსთვის მიმართვის, ასევე შრომის უფლება, ამასთან აღნიშნა, რომ საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება გამოინვევდა საქმის გაჭიანურებას და სადავო აქტის ბათილობასთან ერთად მოითხოვა ორგანოსათვის სკოლის დირექტორობის კანდიდატად მისი წარდგენის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხე მხარე და მოპასუხედ მიეთითა საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოპასუხე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სარჩელი არ ცნო, მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საქმეზე წარმოდგენილ შესაგებელს, განმარტა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნო-

ბისა და ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, დ.მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 23 ივლისის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად მოსარჩელე დ.მ-ის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ; მოპასუხეს დაევალა სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად მოსარჩელე დ. მ-ის წარდგენის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს ამ სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ პირველი და მე-2 მუხლების მიხედვით, ეს წესი განსაზღვრავს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობებს. შესარჩევი კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენას. შესარჩევი კონკურსის მიზანია, დირექტორობის მსურველის „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის №115/ნ ბრძანებასთან შესაბამისობის დადგენა.

მითითებული წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დირექტორობის უფლების მქონე პირთა სიას, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს სერტიფიცირების ეტაპი და მოიპოვეს დირექტორობის უფლება, რაც ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე დ. მ-ს, სერტიფიცირების ეტაპის წარმატებით დასრულების საფუძველზე, 2014 წლის 6 თებერვალს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

მიერ გადაეცა საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

„საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენის მიზნით დირექტორობის უფლების მქონე პირი ელექტრონულად ავსებს თანხმობის განაცხადს. თანხმობის განაცხადში დირექტორობის უფლების მქონე პირი უთითებს არა უმეტეს სამ საჯარო სკოლას, სადაც სურს წარადგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა კომისიამ დირექტორობის კანდიდატად. მითითებული წესის 20¹ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დირექტორობის უფლების მქონე პირი კომისიის წინაშე, გასაუბრებაზე, წარადგენს განაცხადში მითითებული სკოლის/სკოლების სტრატეგიული განვითარების ხედვას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე დ. მ-ი რეგისტრირებული იყო სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის მსურველ პირად და მას წარდგენილი ჰქონდა მის მიერ არჩეული სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვა.

„საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 20¹ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, გასაუბრების შედეგების მიხედვით კომისია შეარჩევს იმ დირექტორობის კანდიდატებს, რომლებიც ამ წესის შესაბამისად წარედგინებათ სამეურვეო საბჭოებს ასარჩევად. დირექტორობის უფლების მქონე პირის მიერ თანხმობის განაცხადში მითითებული საჯარო სკოლებიდან კომისია შეარჩევს საჯარო სკოლას, რომლის სამეურვეო საბჭოსაც დირექტორობის უფლების მქონე პირი წარედგინება ასარჩევად.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით შექმნილ კომისიასთან, მოსარჩელე დ. მ-მა 2014 წლის 25 აგვისტოს გაიარა გასაუბრება, თუმცა სტრატეგიული ხედვის შეფასების შედეგად კომისიამ უარი უთხრა მას სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად შესაბამისი სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენაზე. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებული იმ კანდიდატების სიაში, რომლებიც ასარჩევად შესაბამის სამეურვეო საბჭოებს უნდა წარდგენოდა, მოსარჩელე დ. მ-ი გათ-

ვალისწინებული არ ყოფილა.

სასამართლომ მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაევალა გამოეკვლია საქმისათვის ისეთი არსებით მნიშვნელობის მქონე გარემოებები, როგორიც იყო მოსარჩელე დ.მ-ის, დირექტორობის კანდიდატის წინასწარ დადგენილ სტანდარტებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობა და მისი დასაბუთება.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბრძანება მიღებულ იქნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, თუმცა აღნიშნული აქტის შინაარსზე მითითებით პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ რეალურად არ შესრულებულა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აუცილებელი პირობები – სადავო აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხის მიერ არ ყოფილა გამოვლენილი სხვა დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ ზოგადად მიუთითა „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის N№115/6 ბრძანებასთან მოსარჩელე დ. მ-ის შესაბამისობაზე, თუმცა სადავო გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია, მითითებული სტანდარტის კონკრეტულად რომელ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა იგი.

მოსარჩელე დ. მ-ის მიერ წარდგენილი სტრატეგიული ხედვის შეფასებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინებით კანონშეუსაბამოდ იქნა მიჩნეული წინასწარ შემუშავებული კითხვარის და შესაბამისი შეფასების მეთოდის (შეფასების კრიტერიუმების) არარსებობის პირობებში მოსარჩელე დ. მ-ის მიერ წარდგენილი სტრატეგიული ხედვის უარყოფითად შეფასება, თუმცა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ასეთ, წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებზე, რომელთა მოთხოვნებიც მოსარჩელე დ. მ-ის მიერ არ იქნა დაცული, არ მიუთითებია; შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გათვალისწინებული არ ყოფილა სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მითითებული გარემოებები, რაც გასაჩივრებუ-

ლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე მიიღო დ.მ-ის სკოლის დირექტორის კანდიდატად წარდგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, რომ არ გაითვალისწინა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები, რომლითაც დადგინდა, რომ საკონკურსო კომისიამ არ გამოიყენა წინასწარ შემუშავებული კითხვარი და შესაბამისი შეფასების მეთოდი (შეფასების კრიტერიუმები), რის გამოც კონკურსი და მისი შედეგები ვერ მიიჩნეოდა კანონმდებლობით დადგენილი კონკურსის პროცესის გამჭვირვალობის, საჯაროობის, თანასწორობისა და ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების რეალიზაციის გზით მიღებულ გადაწყვეტილებად. წინასწარ განუსაზღვრელი კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, კანდიდატთა სტრატეგიული ხედვების შეფასება და ცალკეული კანდიდატისათვის უპირატესობის მინიჭება, ხოლო ზოგიერთი მათგანისათვის კანდიდატად წარდგენაზე უარის თქმა ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი კონკურენციის პრინციპს, რადგან კანდიდატისათვის გაუგებარი იყო ის საფუძველი, რის გამოც მისი ხედვა უარყოფითად იქნა შეფასებული, ხოლო სხვისი - დადებითად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

ტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის (საქმე №3/3239-14), 2016 წლის 16 თებერვლის (საქმე №3/9124-15) და 2016 წლის 25 თებერვლის (საქმე №3/9123-15) გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით შექმნილმა კომისიამ იმსჯელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს №951 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 25 აგვისტოს სხდომის №3 ოქმთან მიმართებაში სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად დ. მ-ის წარდგენაზე უარის თქმის ნაწილში. კომისიის წევრებმა განალიზეს და შეაფასეს 2014 წლის 25 აგვისტოს გამართულ სხდომაზე გაკეთებულ აუდიო – ვიდეოჩანაწერში კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვა. ასევე, იმსჯელეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვის შესაბამისობის შესახებ „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის №115/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტთან.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ კომისიის თავმჯდომარემ, გ. მ-ამ მხარი დაუჭირა დ. მ-ის კანდიდატურის წარდგენას სსიპ – ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, გ. ს-მა და კომისიის წევრმა ნ. ს-ამ მხარი არ დაუჭირეს დ. მ-ის კანდიდატურის წარდგენას სსიპ – ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. ნ. ს-ამ განაცხადა, რომ დ. მ-ი აუდიო-ვიდეოჩანაწერში საუბრობდა და ფოკუსირებული იყო მხოლოდ სკოლის ინფრასტრუქტურაზე და საერთოდ არ ახსენებდა სწავლის პროცესის წარმართვისა და გაუმჯობესების საკითხებს, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მშენებლობა. მიუხედავად იმისა, კომისიის წევრებმა დაუსვეს თუ არა მას შეკითხვები, მას უნდა წარედგინა ხედვა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს გეგმავდა სწავლის პროცესის განვითარებისათვის. ნ. ს-ამ ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა, რასაც ხაზს უსვამდა დ. მ-ი, არ მიაჩნდა დადებით მოვლენად. გ.მ-ამ აღნიშნა, რომ ეს იყო 2014 წლისათვის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი მოსაზრება. მაშინ ყველა საუბრობდა იმაზე, რომ უნდა შექმნილიყო საკონკურენციო გარემო, რომელშიც მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა სკოლის წარმატების ერთ-ერთ სერიოზულ ნიშნად

განიხილებოდა. ინფრასტრუქტურის საკითხები სტრატეგიული განვითარების ნაწილია. ამასთან, დირექტორობის კანდიდატი მსჯელობდა და საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებდა იმ ლოგიკურ სივრცეში, რომელიც შეიქმნა კომისიის სხდომაზე. მისი სხვა არ-გუმენტები და განმარტებებიც მეტ-ნაკლებად ეხებოდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. გ. ს-მა განაცხადა, რომ დ. მ-ის ხედვა აცდენილი იყო რეალობას და მან ვერ წარმოადგინა სკოლის განვითარების საკუთარი კონკრეტული ხედვა. შესაბამისად, კომისიამ ხმათა უმრავლესობით დ. მ-ის კანდიდატურა არ წარადგინა ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია იმის გამო, რომ ერთი მხრივ, სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც უთითებს, რომ კომისიას არ უმსჯელია „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის №115/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის თუ რომელ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა მოსარჩელე, ხოლო, მეორე მხრივ, სამინისტროს ამავე გადაწყვეტილებით ავალებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის (საქმე №3/3239-14) გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 23 ივლისის №3 სხდომის ოქმის ბათილად ცნობასა და დ.მ-ის კანდიდატურის წარდგენას სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად. კასატორის მოსაზრებით, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ 2018 წლის 23 ივლისის №3 სხდომის ოქმი შეიცავს ამომწურავ დასაბუთებას, თუ რატომ ეთქვა უარი მოსარჩელეს სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად წარდგენაზე და აღნიშნული კანდიდატის შეფასება სწორედ 2018 წლის 19 მარტის №254 ბრძანებით შექმნილი კომისიის კომპეტენცია იყო და არა სასამართლოსი. ამასთანავე, თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, მაშინ ბუნდოვანია, რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ მოსარჩელის კანდიდატურა უნდა წარედგინოს სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლას. სასამართლოს ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში სადავო ოქმის დაუსაბუთებლობასთან მიმართებით, ამავე ლოგიკით შესაძლებელია დაუსაბუთებლად იქნეს მიჩნეული გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმის გამო, რომ იგი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას მოსარჩელის კანდიდატის შესაბამისობაზე საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის

30 ნოემბრის №115/6 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტთან. ადმინისტრაციულმა ორგანომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმით გადაწყვეტილება აღასრულა არა ფორმალურად, არამედ საფუძვლიანად გამოიკვლია და დაადგინა ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც სადავო საკითხის გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული, სწორედ ამ გარემოების დადგენის შედეგად იქნა მიღებული სადავო გადაწყვეტილება. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით დ.მ-ს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო საჩივარი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, არ ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

საქმის მასალებით დადგენილადაა ცნობილი, რომ დ. მ-მა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით შექმნილ კომისიასთან 2014 წლის 25 აგვისტოს გაიარა გასაუბრება. სტრატეგიული ხედვის შეფასების შედეგად კომისიამ უარი უთხრა მას სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად შესაბამისი სამეურვეო საბჭო-

სათვის წარდგენაზე. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებული იმ კანდიდატების სიაში, რომლებიც ასარჩევად შესაბამის სამეურვეო საბჭოებს უნდა წარდგენოდა, მოსარჩელე დ.მ-ი გათვალისწინებული არ ყოფილა, რაც მის მიერ გასაჩივრდა სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით, იმის გამო, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ შეიცავდა მისი გამოტანის საფუძვლებს და ასეთი საფუძვლები არც სასამართლოში საქმის განხილვის დროს ყოფილა გამოკვეთილი, მოსარჩელე დ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით შექმნილი კომისიის 2014 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მას უარი ეთქვა სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად შესაბამისი სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენაზე, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 აგვისტოს ბრძანება მოსარჩელე დ. მ-ის წარუდგენლობის ნაწილში და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, დ. მ-ის მიმართ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რამდენადაც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დაუსაბუთებლობის გარდა, საკონკურსო კომისიის მიერ არ იქნა გამოყენებული წინასწარ შემუშავებული კითხვარი და შესაბამისი შეფასების მეთოდი (შეფასების კრიტერიუმები), რის გამოც კონკურსი და მისი შედეგები ვერ იქნებოდა მიჩნეული კანონმდებლობით დადგენილი კონკურსის პროცესის გამჭვირვალობის, საჯაროობის, თანასწორობისა და ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების რეალიზაციის გზით მიღებულ გადაწყვეტილებადა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს ამ სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. მიუთითებული პრინციპების დაცვის უპირობო გზაა სათანადო წარმოების ჩატარება და კონკურსანტის კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვე-

ვების შესაბამისობის დადგენა სკოლის დირექტორის თანამდებობასთან.

საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობებს განსაზღვრავს „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი, რომლის პირველი მუხლის თანახმად, შესარჩევი კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენას. დ.მ-ის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, ის წარმოადგენს დირექტორობის უფლების მქონე პირს, რომელმაც მითითებული წესის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გაიარა გასაუბრება №... საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის მიზნით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილ კომისიასთან.

საკაცაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კომისიის 2018 წლის 23 ივლისის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება გამოიცა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. მითითებული ოქმის მიხედვით ირკვევა, რომ დ.მ-მა მონაწილეობა მიიღო სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით გასაუბრების ეტაპზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით შექმნილი ხუთი წევრისგან შემდგარმა კომისიამ, კერძოდ, კომისიის დამსწრე სამი წევრიდან კომისიის თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა დ. მ-ის სკოლის დირექტორის კანდიდატად წარდგენას, ხოლო კომისიის ორი წევრი ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო იმის გამო, რომ კანდიდატი გასაუბრებისას მხოლოდ სკოლის ინფრასტრუქტურაზე საუბრობდა და არ ახსენებდა სწავლის პროცესის წარმართვისა და გაუმჯობესების საკითხებს. ამასთან, კომისიამ იმსჯელა დ.მ-ის მიერ წარდგენილი სტრატეგიული განვითარების ხედვის შესაბამისობაზე „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 ნოემბრის №115/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტთან და საბოლოოდ, ორი წევრის უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება სსიპ ქალაქ თბილისის №... სკოლის დირექტორობის კანდიდატად მოსარჩელე დ. მ-ის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კომისიის ერთ-ერთი წევრის მითითებით, კანდიდატი გასაუბრებისას ვერ ფლობდა თავს და მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ნაკლებად შეესაბამებოდა

სკოლის ხელმძღვანელის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გასაუბრების პროცესი ემსახურება კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული თვისებების, მოტივაციის, პროფესიული ცოდნის დონისა და მისი უნარ-ჩვევების შეფასებას და თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრას. შეკითხვებზე პასუხის გაცემისას კანდიდატს შესაძლებლობა აქვს გამოავლინოს შესაბამისი ლოგიკური აზროვნება და მისი კვალიფიკაცია, ხოლო კონკურსის პროცედურული წესების, სათანადო ფორმალური მოთხოვნების დაცვის, კონკურსანტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრების შედეგად კომისია ადგენს კანდიდატის შესაბამისობას დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან. ამდენად, „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტთან“ შესაბამისობის შეფასება განეკუთვნება საკონკურსო კომისიის დისკრეციის სფეროს – მის კომპეტენციაში შემავალი საკითხი გადანყვიტონ როგორც კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, ასევე მიზანშეწონილობის კრიტერიუმებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისი უფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვიტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვიტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვაა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადანყვიტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამდენად, როდესაც ინტერესების დაპირისპირებას აქვს ადგილი, მნიშვნელოვანია, რომ დაცულ იქნეს მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი ბალანსი. „ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, თვითნებობის ფაქტების აცილების მიზნით, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქ-

მედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან ამ საკითხზე არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა. უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას“ (სუსგ №ბს-997(კ-18) 20.06.2019 წ.).

ზემოაღნიშნულის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორის შემარჩევი კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს: სერტიფიცირებასა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენას. მეორე ეტაპის წარმატების გადასალახად კანონმდებლობა ითვალისწინებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მხრიდან კანდიდატის მიმართ დადებითი გადაწყვეტილების მიღებას მასთან გასაუბრების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე დააკმაყოფილეს სარჩელი, რომ სათანადოდ არ შეუფასებიათ დ.მ-თან გასაუბრების ეტაპი; სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას გასაუბრების ეტაპზე დ.მ-ის, როგორც სკოლის დირექტორობის კანდიდატის მიერ გამოვლენილი კვალიფიკაციის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის, პროფესიული ცოდნის დონისა და მისი უნარ-ჩვევების შეფასების შესახებ და შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით. კონკრეტულ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია ის მტკიცებულებები, რაც დ.მ-ის მიმართ დირექტორობის კანდიდატის წინასწარ დადგენილ სტანდარტებთან (კრიტერიუმებთან) შესაბამისობაზე სასამართლოს მისცემდა ნათელ წარმოდგენას; სასამართლოს, კომისიის წევრთა მოწმედ დაკითხვის გზით, უნდა დაედგინა მათ გადაწყვეტილებებს შორის არსებული წინააღმდეგობრივი დასკვნის მიზეზი, დ.მ-ის მიმართ გაკეთებული ურთიერთგამომრიცხავი შეფასების არგუმენტები და მოპოვებული მტკიცებულებების ანალიზით მიეღო დასკვნა საკონკურსო პროცესის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული გასაუბრების ეტაპის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესატყვისობის თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავ-

შირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., Seryavin and Others v. Ukraine §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, §59; Perez v. France, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland § 21).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სააპელაციო პალატა არა მარტო უფლებამოსილია შეამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობა, არამედ თავად გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკაცო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში.

პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუსგ განჩინება საქმეზე №ბს-985(კ-20), 2021 წლის 24.11.2021 წ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადაწყვეტა, სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება. საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის აბსოლუტური საფუძველი – გადაწყვეტილება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც თავის მხრივ არის სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლო განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელება

საჯარო ინფორმაციის მიწოდების საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-314(კ-21)

01 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 28 მარტს ვ. კ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დავალებოდა სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციის მითითების გარეშე საჯარო ინფორმაციის სახით:

1. გაეცა ადმინისტრაციული წარმოების მასალები და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ასლები, რომლითაც დასტურდებოდა თელავის რაიონული პროკურატურის 2017 წლის 1 მაისის №13/1631466 კორესპონდენციით, მოსარჩელის 2017 წლის 02 ნოემბრის №5249 განცხადებითა და 2017 წლის 29 დეკემბრის №55481 განცხადებით მოთხოვნილი საკითხები 2015 წელს ჩატარებული შესწავლის შესახებ მოპასუხის მიერ 2018 წლის 27 თებერვლის №13/13-12 წერილით გაცემული ინფორმაციის უტყუარობა;

2. გაეცა ინფორმაცია შესწავლილი ჰქონდა თუ არა თელავის რაიონული პროკურატურის 2017 წლის 15 მაისის №13/1631466 კორესპონდენციით, მოსარჩელის 2017 წლის 02 ნოემბრის №5249 განცხადებითა და 2017 წლის 29 დეკემბრის №5 განცხადებით მოთხოვნილი საკითხები;

3. გაეცა ინფორმაცია 2015 წელს მოქმედი საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09

ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელთა საფუძველზე და ფარგლებშიც მოპასუხეს შესწავლილი ჰქონდა თელავის რაიონული პროკურატურის 2017 წლის 15 მაისის №13/1631466 კორესპონდენციით, მოსარჩელის 2017 წლის 02 ნოემბრის №52492 განცხადებითა და 2017 წლის 29 დეკემბრის №55481 განცხადებით მოთხოვნილი საკითხები 2015 წელს.

სარჩელის მიხედვით, ვ. კ-მა 2017 წლის 20 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო სამინისტრომ თელავის პროკურატურის კორესპონდენციით გათვალისწინებული იმ საკითხების შესწავლის შედეგად, რომელიც ეხებოდა სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „... სასწავლებლის“ მხრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ თელავის რაიონული სასამართლოს მიერ დაკისრებული საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის ფაქტს და ამასთან იმ ხელნაწერი დედანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ბრძანებების ... სასწავლებლიდან საეჭვო ვითარებაში გაუჩინარების ფაქტს, რომელთა ასლების გაცემა ზემოაღნიშნულმა სასამართლომ ... სასწავლებელს დააკისრა. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2017 წლის 07 სექტემბრის წერილით მოსარჩელეს აცნობა, რომ ამ საკითხების შესწავლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება არ დაუწყია, რადგან ეს საკითხები უკვე შესწავლილი ჰქონდა 2015 წელს. აღნიშნული წერილის საფუძველზე მოსარჩელემ 2017 წლის 02 ნოემბერს (ისევე როგორც 2017 წლის 29 დეკემბერს) კვლავ მიმართა მოპასუხეს და წერილში მითითებული ინფორმაციის მცდარობის მოტივით მოითხოვა შესაბამისი რეაგირება აღნიშნულ კორესპონდენციებში გათვალისწინებულ საკითხებზე.

აღნიშნულის მიუხედავად, 07.09.2017 – 09.02.2018 წლებში მოპასუხის მიერ გაიცა ერთი და იგივე შინაარსის ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მოცემული საკითხები უკვე შესწავლილი იყო 2015 წელს, თუმცა მოსარჩელის ის მოთხოვნა, რომ საიდუმლო ინფორმაციის გარეშე გაცემულიყო იმ ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლები, რომლებიც ცალსახად და უტყუარად ადასტურებდნენ ხსენებული საკითხების მოპასუხის მიერ შესწავლის ფაქტს, არ დაკმაყოფილებულა, შესაბამისად მიმართა სარჩელით სასამართლოს.

2018 წლის 26 აპრილს ვ. კ-მა დაზუსტებული სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეს დავალებოდა:

1. გაეცა 2018 წლის 16 თებერვლის №57914 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

2. გაეცა 2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია (ინფორმაცია 2015 წელს მოქმედი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტი-სა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც და ფარგლებშიც მოპასუხემ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით);

3. გაეცა 2018 წლის 12 აპრილის №61274 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ის ნაწილი, რომლის გაცემაზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხის 2018 წლის აპრილის №13/13-2270 წერილით;

4. მოსარჩელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით, ვ. კ-ის შუამდგომლობა სარჩელის გამოსმობის თაობაზე დაკმაყოფილდა; სასარჩელო მოთხოვნა – მოპასუხისათვის 2018 წლის 12 აპრილის №61274 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის იმ ნაწილის გაცემის დავალებაზე, რომლის გაცემაზეც მას უარი ეთქვა 2018 წლის 19 აპრილის №13/13-2270 წერილით, დატოვებულ იქნა განუხილველად ამ ნაწილში სარჩელის გახმობის გამო.

2018 წლის 10 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და საბოლოოდ ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

1. დაევალოს მოპასუხეს გასცეს 2018 წლის 16 თებერვლის №57914 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

2. დაევალოს მოპასუხეს გასცეს 2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია (ინფორმაცია 2015 წელს მოქმედი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც და ფარგლებშიც მოპასუხემ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით);

3. დაევალოს მოპასუხეს გასცეს 2018 წლის 03 მაისის №62793 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ სასარჩელო მოთხოვნებს და მათი უარყოფა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაევალა 2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა (ინფორმაცია 2015 წელს მოქმედი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც და ფარგლებშიც მოპასუხემ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით). ამავე გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (100 ლარი) 50 (ორმოცდაათი) ლარი ვ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და 42-ე მუხლებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილზე, განმარტა ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ცნება და აღნიშნა, რომ პირის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია დადგენილიყო არსებობდა თუ არა შესაბამისი დაწესებულებაში მოთხოვნილი ინფორმაცია.

სასამართლომ მიუთითა ვ. კ-ის 2018 წლის 16 თებერვლის №57914 განცხადების პასუხზე, რომლითაც მას ეცნობა, რომ განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროში არსებული საჯარო ინფორმაცია არაერთი მიმართვის საფუძველზე სამინისტროს მინოდებული ჰქონდა განმცხადებლისთვის. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს კულტუ-

რისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 28 მაისის №12/12-3049 წერილზე, რომლითაც საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ცალსახად მიუთითა, რომ სსიპ „... სასწავლებელში“ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2015 წელს ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ასლები და ინფორმაცია ვ. კ-ს გადაცემული ჰქონდა არაერთი მიმართვის საფუძველზე (2015 წლის 15 ივლისის №04/13-4025, 2015 წლის 23 ივნისის №12/12-3610, 2017 წლის 19 მაისის №13/132241, 2017 წლის 12 დეკემბრის №12/12-4764 და 2017 წლის 14 დეკემბრის №13/13-4864 კორესპონდენციები) და განცხადებით წარდგენილ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროში არ იყო დაცული რაიმე დამატებითი დოკუმენტი. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებდა ვ. კ-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის არარსებობაზე და განმარტავდა, რომ 2018 წლის 16 თებერვლის №57914 განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გარდა მოსარჩელისთვის გადაცემული დოკუმენტაციისა/ინფორმაციისა, სხვა რაიმე სახის დამატებითი დოკუმენტი/ინფორმაცია სამინისტროში არ ინახებოდა, ხოლო მოსარჩელე მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი არ იყო აღნიშნული გარემოების გამაბათილებელი შესაბამისი მტკიცებულებები, არ არსებობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის 2018 წლის 16 თებერვლის №57914 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება 2018 წლის 03 მაისის №62793 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების საფუძველიანობას, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული წერილით განმცხადებელს მოთხოვნილი ჰქონდა ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოცემული 2009 წლის 08 სექტემბრის №3/13 ბრძანებით დამტკიცებული „... სასწავლებლის“ წესდების იმ სამართლებრივი ნორმის ან/და ნორმათა ერთობლიობის შესახებ, რომლის საფუძველზეც: 1) სასწავლებლის პედსაბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების გარეშე შესაძლებელია „მისაღები გამოცდების მოთხოვნების“ დამტკიცება; 2) წესდებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების ან/და შესაბამისი თანხმობის გარეშე, შესაძლებელია თანადაფინანსების ჯგუფში (და არა წესდების 3.4. მუხლით გათვალისწინებულ 100%-იან უფასო ან/და 100%-იან ფასიან ჯგუფში) სწავლების განხორციელება. შენიშვნა: „მისაღები გამოცდების მოთხოვნებში“ იგულისხმება არა წესდების 3.6 მუხლით გათვალისწინებული „შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და შინაგანანესით განსაზღვრული ხელშეკრულების პირო-

ბები“, არამედ – შესაბამის კლასში შემსვლელთათვის მისაღებ გამოცდებზე ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით დაწესებული საკონკურსო მოთხოვნები (მათ შორის: კონკურსანტის მიერ შესასრულებელი ნაწარმოებების დასახელება, თეორიულ საგნებში ზეპირი და წერილობითი ფორმით შესასრულებელი დავალებების დასახელება, თეორიულ საგნებში ზეპირი და წერილობითი ფორმით შესასრულებელი დავალებების დასახელება და სხვ.).

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2018 წლის 03 მაისის №62793 განცხადებაში მითითებული საკითხი განმცხადებლის მიერ იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოითხოვდა კონკრეტული საკითხის სამართლებრივ შეფასებას და შესაბამისი ნორმების განმარტებას. ამდენად, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ ექცეოდა ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრულ კატეგორიაში, არ წარმოადგენდა საჯარო დაწესებულებაში შეგროვებულ, დამუშავებულ ან შენახულ მონაცემებს და ვერ იქნებოდა განხილული ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გასაცემ საჯარო ინფორმაციად. შესაბამისად, არ არსებობდა მოპასუხისთვის 2018 წლის 03 მაისის №62793 წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩლეს 2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ჰქონდა ინფორმაცია 27/01/2015-31/12/2016 წლების ჩათვლით პერიოდზე მოქმედი, სამინისტროს 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ იმ კონკრეტული სამართლებრივი ნორმის ან/და ნორმების შესახებ, რომლის (რომელთა) საფუძველზეც და ფარგლებშიც სამინისტრომ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სასამართლოს განმარტებით, ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობდა საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მიღების უფლებას, თუ ის არ წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას და კანონით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული.

სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო თავად მიუთითებდა, რომ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტს შესწავლილი ჰქონდა სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებული მდგომარე-

ობა, 2018 წლის 30 იანვარს №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია „შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ კონკრეტული სამართლებრივი ნორმის ან/და ნორმების შესახებ ექცეოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დეფინიციამ და განიხილებოდა საჯარო ინფორმაციად, რომლის გაცემაც ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენდა. შესაბამისად სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო მოსარჩელეზე გაეცა 2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ვ. კ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 მაისის განჩინებით, ხარვეზის შეუესებლობის მოტივით ვ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 08 დეკემბრის განჩინებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით განმარტა, რომ საჯარო ინფორმაციის არაერთხელ გაცემა არ ათავისუფლებდა საჯარო დაწესებულებას ინფორმაციის კვლავ გაცემის ვალდებულებისგან, შესაბამისად მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი აღნიშნული საფუძვლით და სამინისტროს 2017 წლის 12 დეკემბრის №13/13-4764 წერილზე მითითებით, უარი ეთქვა ვ. კ-ისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა), მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმას განსაზღვრავდა თავად განმცხადებელი, ხოლო დაწესებულება ვალდებული იყო გაეცა იგი სრულყოფილი სახით, სწორედ განმცხადებლის მიერ არჩეული ფორმით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა მასზედ, რომ სადავო ინფორმაცია წარმოადგენდა რა საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციას, მისი

გაცემის ვალდებულება გააჩნდა ამ დაწესებულებას. შესაბამისად, მობასუზე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გაეცა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ყოველგვარი შინაარსობრივი თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების სამართლებრივი შეფასების გარეშე, რის გამოც არსებობდა სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 08 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსაცვლის მიერ.

კასატორის – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ის, რომ ვ. კ-ის მოთხოვნა 2015 წელს მოქმედი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც და ფარგლებშიც სამინისტრომ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, არათუ სცდება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საგანს, არამედ ატარებს უსაგნო ხასიათს, ვინაიდან, სამინისტროს მიერ სსიპ „... სასწავლებლის“ საქმიანობის კანონიერების შემოწმება განხორციელდა სამინისტროს მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რაც განემარტა მოსარჩელეს სამინისტროს 2017 წლის 25 დეკემბრის №13/13-5021 კორესპონდენციით და რომლის სამართლებრივი საფუძვლებიც რეგულირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავში. ასევე დაუდგენელია, როგორ უნდა აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, როდესაც ის ინფორმაცია, რასაც ვ. კ-ი ითხოვდა, მოსარჩელეს ფაქტობრივად მიღებული აქვს, რის შესახებაც არაერთხელ იქნა განმარტებული როგორც წარდგენილ შესაგებებელში, ასევე სააპელაციო საჩივარში და სხდომებზეც.

კასატორმა მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა სახის ინფორმაციის

დიფერენცირება 4 ჯგუფად: „პირველ ჯგუფში შედის ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება. ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს. მეორე ჯგუფს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მათი მიღებაც, ასევე შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით. მესამე ჯგუფში შედის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე დახურული ინფორმაცია და მისი მიღება ნებისმიერი მსურველი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის შეუძლებელია. ინფორმაციის მეოთხე ჯგუფი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით. ეს არის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება ისეთ კერძო საკითხებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, ფინანსები და ა.შ. ეს ინფორმაცია ავტომატურად გასაიდუმლოებულია და კონსტიტუციით დადგენილია მისი განსაიდუმლოების წესი და კონკრეტული შემთხვევები.“

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში ასახული მსჯელობით მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დიფერენცირება და დაადგინა მოცემული ჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი, კერძოდ, მათში შემავალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. კერძოდ, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კონკრეტული სამართლებრივი ნორმის მითითების და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების სამართლებრივი შეფასების შესახებ (იგი ითხოვს კონკრეტული სამართლებრივი ნორმის მითითებას, ასევე, განმარტებას, რის საფუძველზე მოახდინა ადმინისტრაციულმა ორგანომ სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებული მდგომარეობის შესწავლა), არ ჯდება ინფორმაციის ცნების დიფერენცირების არცერთ კატეგორიაში, მოსარჩელეს მიღებული და განმარტებული აქვს ის ინფორმაცია/საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ითხოვს ინფორმაციას/სამართლებრივ მსჯელობას, ამასთან არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას. სადავო სასამართლო გადანყვეტილებით არ იკვეთება, რა ინფორმაციის გაცემა ევალება ადმინისტრაციულ ორგანოს, მაშინ როდესაც მოსარჩელისთვის ცნობილია და სამინისტროს მიერ განმარტებულია გარემოება იმის თაობაზე, რომ სსიპ „... სას-

წავლების“ საქმიანობის კანონიერების შემოწმება განხორციელდა სამინისტროს მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. სასამართლო ამ შემთხვევაში ამკვიდრეს ნორმის ისეთ ინტერპრეტირებას და საფუძველს უყრის ისეთ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანოსთვის დავალე-ბული აქვს ისეთი ხასიათის ინფორმაციის გაცემა, რასთან დაკავ-შირებითაც უკვე ინფორმირებულია მოსარჩელე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2021 წლის 23 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის შესაბამისად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალ-გაზრდობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შე-სამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2023 წლის 17 იანვრის განჩინებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საკასა-ციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მიღებულ იქნა არსე-ბითად განსახილველად; ამასთან გადაწყდა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

ვ. კ.-ს საკასაციო შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-მაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხ-ლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩა-ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტი-ლების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ამავ კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბ-რუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არას-წორი გადაწყვეტილების მიღება დადგენილი ფაქტობრივი გარე-მოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებუ-ლი, რაც საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებას ანიჭებს, თა-ვად მიიღოს გადაწყვეტილება.

უპირველეს ყოვლისა საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნა 2018 წლის 16 თებერვლის №57914 განცხადებით და 2018 წლის 03 მაისის №62793 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის მოპასუხეზე დავალების შესახებ არ დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება 2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის მოპასუხეზე დავალების ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა საჯარო ინფორმაციის სახით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულიყო ინფორმაცია 2015 წელს მოქმედი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც და ფარგლებშიც მოპასუხემ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას.

საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

მსგავსი შინაარსის დანაწესია გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დანესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წე-

სით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის ყურადღების ცენტრშია სუბიექტი, რომელიც დაინტერესებულია ინფორმაციის მიღებით ოფიციალური წყაროებიდან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). „სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საქართველოს კონსტიტუციის ამ დანაწესით გარანტირებული უფლება „გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას შესაბამისი გარანტიები, რათა შესაძლებელი გახადოს საჯარო საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქის ინფორმირებულობა. სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, გამოიკვლიოს მისთვის საინტერესო საჯარო მნიშვნელობის საკითხები, დასვას კითხვები, განიხილოს, რამდენად ადეკვატურად ხორციელდება საჯარო ფუნქციები და თავად იყოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესის აქტიური მონაწილე. ინფორმაციის ღიაობა ხელს უწყობს სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების ამალვებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. ღია მმართველობის პირობებში სახელმწიფო ორგანოებს/თანამდებობის პირებს აქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა, მათი საქმიანობა გადამოწმდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ და გადაცდომების აღმოჩენის შემთხვევაში დაექვემდებარონ როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული საჯარო ინფორმაციის ღიაობა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე ეფექტიანი საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელოვან წინაპირობას. ღია მმართველობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევების (მაგალითად, კორუფცია, ნეპოტიზმი, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა) პრევენ-

ციისა და არსებული დარღვევების დროულად გამოსავლენად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5).

გარდა საქართველოს კონსტიტუციისა, ინფორმაციის თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლებათა შორის უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური უფლება, გარანტირებულია არაერთი საერთაშორისო აქტით, მათ შორის აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, წარმოადგენს საჯარო წესრიგის დაცვის კონსტიტუციურ დებულებას. კონვენციის მე-10 მუხლი აღიარებს ადამიანის უფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. თუმცა დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის მოცემულობიდან გამომდინარე, კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რადგან იგი შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ასეთივე განმარტებას იძლევა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც, რომლის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით.

დასახელებული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მაშასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენი-

ლი და აუცილებელი სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის და სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებს ასევე არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. საჯარო დაწესებულებებში არსებული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია, თუკი მისი გაცემა კანონით არ არის შეზღუდული (სზაკ-ის 28.1 მუხ.), ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი უშვებს პერსონალურ მონაცემთა გაცემას, უკეთეს ეს კანონით არის გათვალისწინებული და აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვ.პ.). პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას, მონაცემი დაცვას ექვემდებარება, უკეთეს შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (იხ. სუსგ 28.03.20186. №ბს-936-932(კ-17)).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოვლინებაა. საქართველოს კონსტიტუციაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განმტკიცებით სახელმწიფომ უზრუნველყო საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის შესაბამისი, დაშვებული მოცულობით ღიაობა, ამასთანავე, საზოგადოების ინფორმირებულობა ამგვარ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ზემოხსენებული უფლება წარმოადგენს სახელისუფლებო საქმიანობის კონტროლის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რამდენადაც საჯარო ინფორმაციაზე წვდომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საჯარო ფუნქციათა შესრულებაზე სრულყოფილი საზოგადოებრივი ზედამხედველობის განხორციელება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო

რო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელის 2018 წლის 30 იანვრის №56668 განცხადების მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაცია შეეხება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (ძალადაკარგულია 2016 წლის 1 ივლისიდან) იმ სამართლებრივი ნორმების მითითების დავალებას, რომელთა საფუძველზეც და ფარგლებშიც ადმინისტრაციულმა ორგანომ შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება სსიპ „... სასწავლებელში“ 2009-2010 წლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია და მოსარჩელის მიერ საპირისპირო შეპასუხება არ არის წარმოდგენილი იმ გარემოებაზე, რომ თავად ადმინისტრაციული წარმოების მასალები და გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის სახით გადაცემული აქვს მოსარჩელეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ნორმატიული აქტი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 იანვრის №05/09 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება“ თავადვე შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას სასარჩელო მოთხოვნაში მო-

ცემულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით; კერძოდ, დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაზე. დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს სამინისტროს სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დეპარტამენტი უფლებამოსილია: სამინისტროს სისტემაში განახორციელოს შიდა აუდიტორული შემოწმება აუდიტის შემდეგი სახეების გამოყენებით: სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი („ა“ ქვეპუნქტი); ჩაატაროს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსპექტირება, მოამზადოს ინსპექტირების დასკვნა და წარუდგინოს მინისტრს („ბ“ ქვეპუნქტი) და სხვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ფუნქციის განხორციელების პროცესში მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მათ შორის ადმინისტრაციული წარმოების მასალები, სავალდებულოა შეიცავდეს მისი მიღების სამართლებრივ საფუძვლებს (ზაკ-ის 53-ე მუხლი), შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტების, როგორც საჯარო ინფორმაციის დაინტერესებული პირისათვის გადაცემა, ადმინისტრაციულ ორგანოს დამატებით არ ავალდებულებს საჯარო ინფორმაციის კონტექსტში მიაწოდოს ინფორმაცია მისი მიღების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაში წარმოდგენილი ფორმულირება, მისი მიზნობრიობის გათვალისწინებით, არ ექცევა საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას, შესაბამისად ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მისი საჯარო ინფორმაციის ერთ-ერთ სახედ განხილვა, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა, შესაბამისად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივ-

რებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

კასატორი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 08 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge